მარტი
23
1996

კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 51 (345)
ფასი 40 თეთრი

სამშვიდობო ძალებიც ამას პქვია!

რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთში ყოფნის პერიოდში გა-ლის რაიონში დამწვარია 12.500 სახლი, საკუთარ სახლში დაიწვა 193 ადამიანი, — მათ შორის 15 ბავშვი, მოკლულია 1.100 ქართვე-ლი — ითქვა საპარლამენტო ფრა-ქცია „აფხაზეთის" მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ჩამოვლენ პრიმაკოვი და გრაჩოვი

უახლოეს დღეებში საქართვე-ლოში ჩამოვლენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკო-ვი და თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. ვიზიტის დროს, რომლის მთავარი მიზანია ქართულ-აფხაზუ-რი კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის გააქტიურება, გამორიც-ხული არ არის, რომ რუსი მინის-ტრები სოხუმსაც ეწვევიან, იტყო-ბინება იტარ-ტასი.

იპრინდა

ტყვეები გათავისუფლდნენ

აფხაზურმა მხარემ წინა დღეს ენგურის გასაშვებ საკონტროლო პუნქტთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლა აფხაზების მიერ მძევლად აყვანილი 10 წლის თემურ ჯგერენაია და სოფელ სიდიდან გატაცებული პროფი, იკოტი და კახა წულაიები, ასევე გიგლა აბლოთია და ოთარ ქარდავა. სამაგიეროდ, აფხაზურ მხარეს გადაეცა აფხაზი ტყვეები — ზური კუტარბა და სტასი ძაძაევი. როგორც ცნობილი გახდა, აფხაზურ მხარეს 40-მდე ქართველი მძევალი ჰყავს ოჩამჩირეში. მათ აიძულებენ შეასრულონ მძიმე სამუშაოები. ტყვეებს დღეში მხოლოდ 100 გრამ პურს აძლევენ.

„ალიონი"

ადა მარშანია ნანობს...

„მე ძლიერ ვნანობ, რომ ხელი მოვაწერე 1994 წელს ჟენევის ხელშეკრულებას აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შემოყვანასთან დაკავშირე-ბით", — განაცხადა ფრაქცია „აფხაზეთის" პრეს-კონფერენციაზე ამავე ფრაქციის წევრმა ადა მარშანიამ. მისივე თქმით, რომ არა ქართული მხარის თანხმობა, რუსეთი აფხაზეთთან დაკავშირე-ბით არანაირ მოლაპარაკებაზე არ მოდიოდა. უფრო მეტიც, როგორც მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა განაც-ხადა, „სანამ რუსეთი არსებობს, ნატოს ვერცერთი ჯარისკაცი კავკასიაში ფეხს ვერ დადგამს". რაც შეეხება რუსეთის დღევანდელ დამოკიდებულებას აფხაზეთის საკითხისადმი, ადა მარშანიას მიაჩნია, რომ რუსეთში გამოჩნდნენ „კულტურულ-იმპერია-ლისტი დემოკრატები", რომლებიც ამზადებენ ნია-დაგს აფხაზეთის ტერიტორიის მითვისებისთვის.

იპრინდა

...ის ილიესკუს ვიზიტთან დაკავშირებით

26 მარტს თბილისში ჩამოდის რუმინეთის პრეზიდენტი ...ილიესკუ. რუმინეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის ...ამაში შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, მთა-...ის წარმომადგენლებთან, საქართველოს კათალიკოს-პატ-...ილია მეორესთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპ-...ატიურ მისიათა ხელმძღვანელებთან. ვიზიტი ორ დღეს ...ტანს.

კონფერენცია მაინც ჩატარდება?

...აკრძალვის მიუხედავად, ჩვენი კონფერენცია მაინც დათქ-...ულ დღეს გაიმართება" — ნათქვამია საქართველოს ეროვნულ-...დამოუკიდებელ მოძრაობაში გაერთიანებულ პოლიტიკურ პა-...ის გუშინ გავრცელებულ განცხადებაში. საქმე ეხება კონფე-...ციას, რომლის ჩატარებაც გათვალისწინებულია 25 მარტს თბი-...ლისის ჭადრაკის სასახლეში. გუშინ ჭადრაკის ფედერაციის პრეზი-...დენტმა ვაჟა შუბლაძემ განაცხადა, რომ საქართველოში რუმინე-...თის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით ქალაქის ... სახალხო შეკრებები აკრძალულია. ზემოთ აღნიშნულ ...ცხადებაში კი გამოთქმულია აღშფოთება ხელისუფლების ქმე-...დებით და ხაზგასმულია, რომ კონფერენცია მაინც გაიმართება ...დათქმულ ადგილზე და დროზე.

BGI

ნომერში

ისევ თურქული უნივერსიტეტის შესახებ

ბატონი რევაზ გაჩეჩილაძე — «რამდენიმე შეკითხვა ბატონ გურამ მამულიას გაზეთ «კავკასიონში» მისი წერილის გამო»

იხილეთ მე—4 გვ

პარლამენტი

კანონი უკვე მოქმედებს

გუშინ საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მიწაზე კერძო საკუთრება. მიღებულ კანონს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურამ ჟვანიამ ისტორიული უწოდა. გუშინვე მიიღეს დადგენილება კანონის ძალაში შესვლის შესახებ. საგაზაფხულო სესიების მიწურულს პარლამენტი მოისმენს მთავრობის ინფორმაციას ამ კანონის მოქმედების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

პარლამენტის განცხადება და ედპ-ს პროტესტი

საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ბელოვეჟის შეთანხმების დენონსაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადების მიღებით შემოი-ფარგლოს. მასში ნათქვამია, რომ სათათბიროს გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე სამართლებრივი ძალა და გავლენა იქონიოს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, რომელიც მისი ხალხის ნებასუ-რვილს ეფუძნება. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციამ კი მიიჩნია, რომ საჭირო იყო არა განცხადების, არამედ დადგენილების მიღება და პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი. პარლამენტის თავმჯდო-მარემ ზურაბ ჟვანიამ ამ ჟესტს გაუგებარი დემარში უწოდა.

— ჩვენმა პრეზიდენტმა უარი თქვა მოსკოვში სახელმწიფო სათათბიროს სპიკერთან შეხვედრაზე. ამის შემდეგ, უბრალოდ, უხერხულია გავეჯიბროთ მას რადიკალობაში. არ არის საჭირო რუსეთის მოვლენების ავანგარდში ჩვენი ყოფნა, უმჯობესია, იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამუ-ლეებზე ვიფიქროთ, — განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

BGI

ნომერში



დღეს საქართველოდან ატლანტას მიემგზავრება „პირველი ოლიმპიელი“

იხ. მე—2 გვ.

ახალი საზღვარგარეთი

მზადდება „დიდი რანდევუ“

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს უორენ კრისტოფერს. გუშინვე, საპატიო ამერიკელი სტუმარი მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა. ვიზიტის მთავარი მიზანია ბორის ელცინის და აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის შეხვედრის მომზადება, რომელიც ატომური უსაფრთხოების შესახებ სამიტის ფარგ-ლებში, აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება.

დემოკრატები — ელცინის გვერდით!

გუშინ რუსეთის დემოკრატიული ძალების წარმომადგენლებმა სახელმწიფო სათათბიროს შენობის პიკეტირება მოაწყვეს. მათი აზრით, ბელოვეჟის ხელშეკრულების ფაქტობრივი დენო-ნსაციის შესახებ გადაწყვეტილების შესრულება ჩეჩნეთის მსგავს ახალ სამოქალაქო ომს გამო-იწვევს, ოღონდ ამჯერად, ყოფილი სსრკ-ს მასშტაბით. ამიტომ, ისინი მოუწოდებენ რუსეთის საზოგადოებას, მხარი დაუჭირონ ბორის ელცინს და არ დაუშვან გენადი ზიუგანოვის მიერ პრეზიდენტის სავარძლის ხელში ჩაგდება.

„... თუ დენონსაციაა, დენონსაცია იყოს!“

საკმაოდ ორიგინალურად გამოეხმაურნენ სახელმწიფო სათათბიროს ამასწინდელ დადგე-ნილებას უკრაინელი პატრიოტები. მათ მოითხო-ვეს პერეიასლავის რადის, 1654 წლის გადაწყ-ვეტილების დენონსაცია. ამ შემთხვევაში საუ-ბარია ბოგდან ხმელნიცკის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც, უკრაინა რუსეთს შეუერთდა, რათა პოლონელთა ბატო-ნობას გადარჩენოდა. უკრაინელ პატრიოტთა წარმომადგენლის თქმით, ამ წინადადების მი-ზანია, ცხადი გახადოს ისტორიის შეცვლის მცდელობის უაზრობა.

კანონი თქვენი, ფული ჩვენი!

უკრაინას წლის ბოლომდე შეუწყდება საე-რთაშორისო ფინანსური დახმარება, თუ ქვეყნის პარლამენტი არ დაამტკიცებს კანონს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, განაცხადა უკრაინის მთავრობის მეთაურმა ევგენი მარჩუკმა. მისივე თქმით, საერთაშორისო სავა-ლუტო ფონდმა, ამის შესახებ უკვე აცნობა უკრაინის ხელისუფალთ.

ნომერში

$ 61,4 მილიონი თოთხმეტი ტოპ— მოდელისთვის

იხ. მე—7 გვ.

საქართველო

გეპატიჟებით ... სასამართლო დარბაზში!

27 მარტს შედგება სასამართლო პროცესი კინორეჟისორ რეზო ჩხეიძესა და კინოსტუდია „აისი"-ს ხელმძღვანელობას შორის. განიხილება კინოთეატრ „ამირანი"-ს იჯარით გაცემის საკითხი.

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, კინოსტუდია „აისი" არის „ევროპული კინოდისტრიბიუტერის ასოციაციის" წევრი. ეს არის ერთ-ერთი სტუდია, რომელიც საქართველოში დღესდღეობით დაკავებულია ფილმების გადაღებით. მათ მიერ გადაღებულია ბოლო წლებისთვის ერთადერთი ისტორიულ — სათავგადასავლო ფილმი. კინოსტუდიის ხელმძღვანელობის თქმით, მათ გაიმარჯვეს კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე, რის შედეგადაც რეზო ჩხეიძემ მათზე იჯარით გაცა კინოთეატრი „ამირანი". ხელშეკრულების მიხედვით, შენობა იჯარით გაცემულია 2010 წლამდე. კინოსტუდიის მიზანია შენობაში კულტურული ცენტრის გახსნა, სადაც აღორძინდება ჭეშმარიტი ქართული ხელოვნება (მოწვეულნი იქნებიან მხახიობები, პოეტები, გაიმართება სიმფონიური მუსიკის კონცერტები და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება უკვე ძალაშია, რეკეზ ჩხეიძემ გადაწყვიტა მისთვის ხელახლა გადაეხედა, იმ მიზეზით, რომ მის მიერვე დაწესებული საიჯარო თანხა ეცოტავა. მიზეზმა მხარეებს შორის უთანხმოება გამოიწვია, რის გამოც საქმე სასამართლომდე მივიდა.

* * *

21 მარტს ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში უნდა შემდგარიყო სასამართლო პროცესი ყოფილ ვიცეპრემიერ ავთანდილ მარგიანსა და გაზეთ „მიმომხილველს" შორის — 1996 წლის 3 თებერვლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებული სტატიის „თემიდამ ისინი ვერ დაივიწყა" გამო, სადაც ა.მარგიანის თქმით, შელახულია მისი პატივი და ღირსება. სასამართლოში გაზეთ „მიმომხილველი-ს" წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო პროცესი გადადებულია 3 აპრილისთვის.

ამერიკული კომპანია მზად არის...

თბილისში ჩამოდის ამერიკული კომპანია „Howe Bake Development Company"-ის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან კომპანიის გამგეობის თავმჯდომარე უილიამ უაიტი, ვიცეპრეზიდენტი რობერტ ბერნსი, საოპერაციო სამუშაოთა მთავარი შემსრულებელი ლენ ბენტსენი. კომპანია დაინტერესებულია საქართველოზე გამავალი ნავთობსადენის მშენებლობით. ვიზიტის მსვლელობისას დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტ გიორგი ჭანტურიასთან. 25 მარტს დელეგაცია ეწვევა ბათუმს. სავარაუდოა, რომ კომპანია ან ახალ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ააშენებს, ან რეკონსტრუქციას გაუკეთებს სამგორის ნავთობგადამამუშავებელ სადგურს. დელეგაციის ვიზიტი 26 მარტამდე გატანს.

ᲘᲤᲠᲘᲜᲓᲐ

«ძვირფასი» «ტარხუნა»

ლიმონათი „ტარხუნა" 8 ლარი ეღირება. იგი სამამულო ნელეულით იწარმოება, ჩამოსხმა კი — პოლანდიაში ხდება. საქართველო-ჰოლანდიის ერთობლივმა ფირმა „GWS" უკვე შემოიტანა ლიმონათის პირველი პარტია, რომლის ფასის დანამატმა პროდუქტის ღირებულების 169 პროცენტი შეადგინა. „ძვირფასი" სასმელი სუპერმარკეტებში განაწილდება, სადაც, როგორც ფირმა იმედოვნებს, იპოვის თავის მყიდველს.

პურის მარაგი მთელ წელს გვეყოფა

საქართველო 2-3 თვით უზრუნველყოფილია მარცვლეულით. კორპორაცია „პურპროდუქტების" ინფორმაციით, ფოთისა და ბათუმის პორტებში მიმდინარეობს ევროგაერთიანების პუმანიტარული დახმარებით სავსე ოთხი ხომალდის გადმოტვირთვა. ხომალდებზეა 20 ათასი ტონა ხორბალი, 7 ათასი ტონა ფქვილი, 2,5 ათასი ტონა ჭვავის ფქვილი. უახლოეს დღეებში აშშ-დან ფოთის პორტში შემოვა 51 200 ტონა ხორბალი, ხოლო აპრილში კიდევ 30 ათასი ტონა. ამგვარად, ხორბლის მარაგი მთელი წლის საკმარისი იქნება.

BGI

დღეს საქართველოდან ატლანტას მიემგზავრება «პირველი ოლიმპიელი»

ერთ-ერთი პირველი, ვინც მძაფრ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კრიმინოგენულ ვითარებაში საკუთარი რისკის და თავგანწირვის ფასად დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაა". თავის დროზე ამ ფირმის დამკვიდრებას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ნაკლებად წაადგებოდა „კოკა-კოლას" საქართველოში მოღვაწეობა. ხშირად გამოითქმოდა მოსაზრება, რომ ამ წამოწყებას მხოლოდ ავანტურისტული, სარეკლამო კამპანია ედო საფუძვლად.

„კოკა-კოლა" სადღეისოდ, ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და ეკონომიკურად რენტაბელურ ფირმად მიიჩნევა. დასაქმდა მუშახელი, მოქმედებს ინდივიდუალურად შემუშავებული სოციალური პროგრამა. ამ ფირმის პრეზიდენტი მრავალი სასიკეთო საქმის მეცენატია.

დღეს ფირმა „კოკა-კოლას" მსოფლიო გაერთიანებაში ჩართული „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" ატლანტის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ გვევლინება.

„კოკა-კოლას" ეგიდით „პირველი ოლიმპიელი" მიემგზავრება ატლანტაში.

ამერიკული ფირმა „კოკა-კოლა" ატლანტის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ძირითადი სპონსორია.

წელს ოლიმპიური თამაშების ასი წლისთავია და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამერიკული ფირმა „კოკა-კოლას" ინიციატივით მრავალი ღონისძიება ჩატარდება ოლიმპიადაზე. „კოკა-კოლას" ეგიდით ბევრი ხატოვანი იდეა განხორციელდება. ატლანტაში გაიმართება კონკურსი, რომელზეც წარმოდგენილი იქნება 195 ქვეყნიდან ჩამოტანილი „კოკა-კოლას" ბოთლის კონტურებში გამოსახული თითოეული ქვეყნის ფოლკლორული ხელოვნება, ისტორია.

„კოკა-კოლას" ბოთლის ქართული ვარიანტის ავტორები გიორგი გორდეზიანი და ყარამან ქუთათელაძე არიან.

სიმბოლური ბოთლი ატლანტის ოლიმპიადაზე ცენტრალურ ადგილზე დაიდგმება, შემდეგ მას საქართველოს დელეგაციის სასტუმროს წინ დამონტაჟებენ, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ კი სტადიონზე გაიმართება კონკურსი, რომელშიც 195 ბოთლი მიიღებს მონაწილეობას, გამარჯვებული მიიღებს პრიზს. მისი ესკიზებით გამოვა სარეკლამო საქონელი.

დღეს „კოკა-კოლას" ქართული ბოთლი ატლანტაში მიემგზავრება.

თემურ ჭყონია — „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტი საქართველოში:

„ატლანტის ოლიმპიური თამაშების ძირითადი სპონსორი „კოკა-კოლა" გახლავთ. „კოკა-კოლას" მწარმოებელი ქვეყნები ოლიმპიადაზე წარდგებიან საკუთარი ქვეყნის ისტორიის, ფოლკლორის ამსახველი „კოკა-კოლას" სიმბოლური ბოთლით. ატლანტაში გაიმართება ბოთლების შეჯიბრი. გამარჯვებული ქვეყნის ბოთლი „კოკა-კოლას" მუზეუმში შეინახება, ერთი წლის მანძილზე ტელევიზიით გადაიცემა ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრების, ისტორიის, დღევანდელობის ამსახველი სიუჟეტები.

ქართველი მხატვრების ძალისხმევით, „კოკა-კოლას" ბოთლი სიმბოლურად ასახავს ქვეყნის სულიერ საგანძურს.

ამ ღონისძიებას ძალზე დიდი დატვირთვა ენიჭება. საქართველო კიდევ ერთხელ წარმოჩინდება მსოფლიო ასპარეზზე თავისი მდიდარი კულტურით, ისტორიით, ხელოვნებით.

მენარმეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ ყველა ფირმა შეძლებს მსოფლიო ასპარეზზე საკუთარი ქვეყნის წარდგენას და ამ ტრადიციის დანერგვას, საქართველო მსოფლიო ბიზნესსისტემაში შეძლებს გაერთიანებას".

ნონა გაფრინდაშვილი — საქართველოს ეროვნული ოლიმპიურკომიტეტისთავმჯდომარე:

„საქართველოში „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" შეძლებისდაგვარად ეხმარება სპორტს. თავად თემურ ჭყონია — ფირმის პრეზიდენტი — ერთ-ერთი სპორტული ფედერაციის პრეზიდენტია. ამიტომ, ბუნერივია, „კოკა-კოლას" აქტიური მონაწილეობა ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში.

„კოკა-კოლას" ქართული ბოთლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელის საერთაშორისო სპორტულ, კულტურულ, ეკონომიკურ წრეებში დასამკვიდრებლად.

აღფრთოვანებული ვარ ქართველი მხატვრების შემოქმედებით. ბოთლში ასახულია ქვეყნის ისტორიის ძირითადი ასპექტები. იმედი მაქვს, ბოთლს გამარჯვებულთა შორის ვიხილავთ.

ატლანტაში მალე ქართული სპორტის სახლი გაიხსნება. იმედი მაქვს, რომ ეს ბოთლი ამ სახლის თვალსაჩინო ბინადარი იქნება".

ნიკო ლეკიშვილი — სახელმწიფომინისტრი:

„მიხარია, რომ ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველო მთელი თავისი შინაარსით, კულტურით იქნება წარმოდგენილი. სიმბოლური ბოთლის გამგზავრება დასაწყისია დამოუკიდებელი საქართველოს მსოფლიო სპორტულ ორბიტაზე დამკვიდრებისა და გაგრძელება ჩვენი ქვეყნის კულტურის, ისტორიის, ხელოვნების მოღვაწეთა საქმიანობის, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცდილობენ ქვეყნის სულიერი სიმდიდრის მსოფლიო ასპარეზზე გატანას.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" ბევრი სირთულის გადალახვა მოუხდა. ჩვენში ბევრი პესიმისტურად უყურებდა, უიმედოდ მიიჩნევდა ამ საქმის საქართველოში დამკვიდრებას, მაგრამ წლების მანძილზე ფირმის საქმიანობამ ყველას დაანახა, რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება ძალუძს მას.

რესპუბლიკაში სპორტის მეცენატად „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" გვევლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ოლიმპიური თამაშების ეგიდით პირველი სერიოზული ღონისძიება გაიმართა. ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველო ფართო ჭრილში — სპორტით, კულტურით, მენარმეობით იქნება წარმოდგენილი".

კოტე მახარაძე:

„ამ ფაქტის განხილვა მხოლოდ ერთი თვალთახედვით შეიძლება. საქართველო კიდევ ერთხელ გაიელვებს მსოფლიო სარბიელზე. 195 ქვეყნის წარმომადგენლობა მიიღებს მონაწილეობას „კოკა-კოლას" გამოფენაზე. წარმოდგენილი იქნება წარსული, აწმყო, ჩვენი ქვეყნის არსი და ვინაობა. ამ თვალსაზრისით ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქართველი მხატვრების ნამუშევრით მოხიბლული ვარ. ბოთლი ძალიან მომწონს. ნამუშევარში ჩანს თბილისი, საქართველო, ჩვენი სულიერება.

მინდა მოგახსენოთ, რომ „კოკა-კოლას" მთელ საქმიანობას გულის სიღრმეში მე მაინც „ლაღიძის წყლების" საერთაშორისო სარბიელზე ერთ-ერთ პირველ წარმდგენად მივიჩნევ. როგორც ვიცი, ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" კონცეფციაში ჩადებული აქვს ეს იდეა. ეს მართლაც დიდი სამსახურია ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიკისთვის. ბოლოსდაბოლოს, უნდა დაიწყოს აღმასვლის პროცესი. არ შეიძლება გაუთავებლად საუბარი, რომ უფსკრულის წინაშე ვდგავართ. დროა, დაისახოს ეკონომიკის აღორძინების გზები.

ქართველი კაცის მრავალ ღირსებათა შორის ერთი უპირველესი თვისება ენთუზიაზმი, სულიერი აღფრთოვანება, აღზევება გახლავთ და ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს ჩვევები".

დღეს „კოკა-კოლას" ეგიდით „პირველი ქართველი ოლიმპიელი" ატლანტაში მიემგზავრება. საქართველო ოლიმპიური თამაშების მზადებაში ჩაერთო.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

არჩევნები

როს პერო კვლავ სტარტზეა

რობერტ დოულის ტრიუმფით „გაღარიბებულ“ აშშ-ს „საარჩევნო ლანდშაფტი“, შესაძლოა, მალე კვლავ „მრავალფეროვანი“ გახდეს და მას „ახალი სურნელება“ შეემატოს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ტეხასელი მილიარდელი როს პერო, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, კვლავ ჩაებმება თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის დაპატრონებისთვის გაჩაღებულ ორომტრიალში.

წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს როს პერომ 70 მილიონი დოლარი დახარჯა და თავის კონკურენტებს, ბილ კლინტონსა და ჯორჯ ბუშს, ხმების 19 პროცენტი „ჩამოაჭრა“. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. და, აი, არჩევნების ახალი ციკლის გადამწყვეტ ფაზაში შესვლის კვალობაზე, ტეხასელი ნავთობის მაგნატი კვლავ გააქტიურდა — რეიტერის სააგენტოს ცნობით, პერომ თანხმობა განაცხადა, რომ როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, კვლავ შეიყვანონ ბიულეტენში ფლორიდასა და ტეხასში, ე.ი. იმ შტატებში, სადაც გასულ წელს მის მიერ შექმნილი რეფორმისტული პარტია რეგისტრაციასთან დაკავშირებით სირთულეებს განიცდის.

საბოლოო გადაწყვეტილება — მიიღებს თუ არა როს პერო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას — გაირკვევა „რეფორმისტების“ პარტიულ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში გაიმართება. მაგრამ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველთა აზრით, პარტია უარს არ ეტყვის თავის „მამამთავარს“. მითუმეტეს, რომ ტეხასელს უკვე აუარებელი ფული აქვს დახარჯული სხვადასხვა შტატში თავისი პარტიული ორგანიზაციების სრულყოფისთვის.

ზაფხულამდე როს პერო დროის დაკარგვას არ აპირებს და გამალებით ეძებს მოკავშირეებს. თავდაპირველად, იგი ვარაუდობდა ერაყის ომის გმირის, პოპულარული გენერლის კოლინ პაუელის მიმხრობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავი შორს დაიჭირა. ამის შემდეგ „ტეხასელი მოხუცი“ რესპუბლიკელების მიერ „განწირულ“ პატრიკ ბიუკენენს „შეუჩნდა“ და, აღბათ, არც თუ უსაფუძვლოდ.

როს პეროს განზრახვა, ჩაებას საპრეზიდენტო მარათონში, სასიამოვნო სიურპრიზი უნდა იყოს, პირველ რიგში, აშშ დღევანდელი პრეზიდენტისთვის, რადგან მიიჩნევენ, რომ „მესამე ძალის“ ლიდერი, უპირატესად, განბილებული რესპუბლიკელების ხმებზე „ინადირებს“.

მოამზადა

ბიორგი ასანიშვილმა

ამერიკელების ახალი „მესია“

დღეისთვის, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატთა რიცხვი, ფაქტობრივად, ორამდე შემცირდა, მათ „ახალი კონკურენტი“ გაუჩნდათ.

მექსიკელმა სპორტსმენმა, საზოგადოებრივმა აქტივისტმა გომესმა, მეტსახელად „სუპერ მარიომ“ სერიოზულად გამოთქვა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. მთავარ ლოზუნგად გომესმა ანტირასიზმი გაიხადა. ის მოითხოვს, რომ არჩევნებში ორივე — სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობამ მიიღოს მონაწილეობა. ახალმა კანდიდატმა საშინლად გააკრიტიკა მეტოქეები: დოული და კლინტონი — რასიზმისთვის, პაუელი — მილიტარიზმისთვის, პატრიკ ბიუკენენი კი, საერთოდ, ფსიქიურად დაავადებულ ადამიანად მონათლა.

ბიუკენენის ბოლო იმედი

72 წლის ამერიკელმა სენატორმა ბობ დოულმა, პრაქტიკულად, გაინაღდა აშშ პრეზიდენტობის კანდიდატობა რესპუბლიკური პარტიიდან. მან ქვეყნის დასავლეთ, — ვისკონსინის, ილინოისის, მიჩიგანისა და ოჰაიოს, — შტატებში ჩატარებული პრაიმარიზის — პირველადი არჩევნების — დროს კიდევ 200 თანაპარტიელი ამომრჩეველის მხარდაჭერა მოიპოვა. პრაიმარიზის შემდეგი რაუნდის წინ დოულის აქტივში უკვე არის აგვისტოს თვეში ქალაქ სან-დიეგოში დანიშნული რესპუბლიკელთა ყრილობის ათასი დელეგატის მხარდაჭერა. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებას დოულმა მიაღწია ოჰაიოს და ილინოისის შტატებში. აქ მან, შესაბამისად, ხმების 66 და 65 პროცენტი მოაგროვა.

მისმა მოწინააღმდეგემ, კონსერვატორმა ტელეკომენტატორმა პატრიკ ბიუკენენმა მიჩიგანისა და ვისკონსინის შტატებში თავის მომხრე დელეგატთა რიცხვი მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცით გაზარდა. თუმცა, ასეთ მოკრძალებულ მაჩვენებლებს გავლენა არ მოუხდენია მის ამბიციებზე. იგი აცხადებს, რომ იმედს ამყარებს „კალიფორნიულ სახნაულზე“. საქმე ისაა, რომ კალიფორნიაში 26 მარტს 165 დელეგატი უნდა აირჩეს. რადგან ამერიკის შეერთებული შტატების ამ უდიდესი შტატის ყველაზე მწვავე პრობლემა არალეგალური იმიგრაციაა, ბიუკენენი იმედოვნებს, რომ მისი იდეა — აღმართოს „ჩინური კედელი“ მექსიკის საზღვარზე, მოწონებას დაიმსახურებს და, შესაბამისად, ახალ მომხრეებსაც შესძენს. ამჟამად კი ბიუკენენს მხოლოდ 112 დელეგატი ქომაგობს.

დაველოდოთ, მოხდება თუ არა კალიფორნიაში „ღვთიური“ სასწაული, თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული სასწაულებისა და ზღაპრების ბევრს არ სჯერა.

პრეზიდენტი პოსტზე რჩება

ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე კვლავ დარჩება ქვეყნის მეთაურად. ეს ნათელი გახდა გასულ კვირას ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. ამ მონაცემების თანახმად, მუგაბემ, რომელიც პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო, მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 92,7 პროცენტი. თუმცა ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ოპოზიციის მოწოდების გამო, არჩევნებში მხოლოდ მოსახლეობის მესამედზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა. მიმომხილველთა აზრით, ეს გარემოება სათუოს ხდის პრეზიდენტის ლეგიტიმურობას და გამოიწვევს ქვეყანაში სიტუაციის გამწვავებას.

ინა ყოფილ იუგოსლავიაში

პოლონეთი — ძალადობის წინააღმდეგ

პოლონეთის დედაქალაქის ქუჩებში ათასობით პოლონელმა სტუდენტმა მოაწყო სამგლოვიარო მსვლელობა, რომელიც, ამავე დროს, მწვავე კრიმინოგენული მდგომარეობის გამო, საპროტესტო აქციის ხასიათსაც ატარებდა. დემონსტრაციის ძირითადი მიზეზი იყო 20 წლის სტუდენტის მკვლელობა, რომელიც ქუჩაში დაცხრილეს მძარცველებმა. დემონსტრანტები სამთავრობო დანესებულებისკენ გაემართნენ, სადაც აღშფოთება გამოხატეს ქვეყანაში ძალადობის მომძლავრების გამო და მოითხოვეს კანონის ეფექტურობის გაძლიერება. თუმცა, მსვლელობის ორგანიზატორებს ოფიციოზისთვის რაიმე კონკრეტული ზომები არ შეუთავაზებიათ. ზოგიერთმა სტუდენტმა დამნაშავეთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გატარება მოითხოვა. პოლონეთის უზენაეს სასამართლოს ამ საქმის თაობაზე, ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, ისე კი, ბოლო წლების განმავლობაში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოტანაზე, პოლონეთში, ფაქტობრივად, მორატორიუმია გამოცხადებული.

ბელგიის პოლიციას უჭირს

ბელგიის პოლიციის მუშაობა სულ უფრო დაძაბული ხდება, რის გამოც კანონის გუშაგთა შეიარაღება ერთი-ორად იზრდება. პოლიციის „მილიტარიზაციის“ მიზეზია ქვეყნის შიგნით ბოლო ხანებში შეიარაღებულ ძარცვათა რიცხვის მკვეთრი ზრდა. ჯერ კიდევ იანვარში აღირიცხა ნი შემთხვევა შეიარაღებული თავდასხმისა, როგორც სბანკო დაწესებულებებზე, ისე სავაჭრო ცენტრებზე. ამჟამად შეიარაღებულ თავდასხმათა რიცხვმა უკვე 70-ს გადაჭარბა.

აშშ თავს იცავს... აზიელებისგან

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა რობერტ გინგრიჩმა და სენატში რესპუბლიკელთა ლიდერმა რობერტ დოულმა განსახილველად წარადგინეს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, 2003 წლისთვის ამერიკის ყველა შტატის ტერიტორიაზე უნდა განლაგდეს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ახალი სისტემა. ეს კი, რესპუბლიკელთა ლიდერის აზრით, ირანის, ერაყის, ლიბიისა და ჩრდილოეთ კორეის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხითაა გამოწვეული. ექსპერტთა მონაცემებით, ამ სისტემის განლაგება 6 მილიარდი დოლარი დაჯდება.

მესუთ ილმაზის პირველი ბარიერი

თურქეთის პრემიერმინისტრმა მესუთ ილმაზმა განაცხადა, რომ იგი მთელი სერიოზულობით განიხილავს ქვეყანაში მცხოვრებ ქურთთა პრობლემებს. მან ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქურთთა ენის გამოყენებაზე მოხსნა ყოველგვარი შეზღუდვა. მესუთ ილმაზი ქურთთა მასიური განადგურებით ძალზე შეშფოთებულია, მაგრამ აღნიშნავს, რომ კრიზისის გადაჭრის ერთადერთი გზა მაინც ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებაა. მესუთ ილმაზმა ქურთ მოსახლეობას, რომელიც ამჟამად ანალი წლის, — ნავრუზის, — დღესასწაულის დადგომას ზეიმობს, გადასცა პირადი მილოცვა. ერთადერთი, რაშიც ამჟამად გამოიხატება თურქეთის სიმკაცრე, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციაში, რომელიც, ძირითადად, ქურთთ მოსახლეობით კომპაქტურად არის დასახლებული, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების გადავადებაა.

ქურთებს ეჭვით უყურებენ...

გერმანიის რიგ ქალაქებში გააძლიერეს უშიშროების სამსახურების მუშაობა ქურთთა დაჯგუფება PKK-ის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო. PKK-ის წევრები იმუქრებიან, რომ გააგრძელებენ ძალადობის კამპანიას, თუ ქურთთა მიმართ არ შეწყდება აგრესია. პოლიცია და თავდაცვის რიგი სამსახურები ფხიზლობენ. მათ დაიკავეს ქურთ მუშათა პარტიის 77 ეკვმატანილი, რომელთაც ბრალს სდებენ საპროტესტო აქციებისა და მოძრაობების ორგანიზებაში.

გერმანიაში დაახლოებით 600 ათასი ქურთი ცხოვრობს, რომელთა შორის 7 ათასამდე PKK-ის მხარეზეა და ფარულად იბრძვის სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში დამოუკიდებელი სამშობლოს დაფუძნებისთვის. ახლა წლამდე რამდენიმე დღით ადრე, ქურთები მიზანმიმართულ საპროტესტო აქციებს აწყობდნენ, რათა ყურადღება მიეპყროთ თურქეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე და ევროპის დემოკრატიულ ძალებს დახმარებას სთხოვდნენ. ახლა კი, გერმანია უკვე ეჭვის თვალით უყურებს ქურთებს, მათი მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო აქციების გამო.

მაფიის მსხვერპლთა ხსოვნა

სკალფარო

იტალიამ პატივი მიაგო ორგანიზებული დანაშაულის მსხვერპლთა ხსოვნას. ორი მოკლული მოსამართლის — ჯოვანი ძელკონისა და პაული ბოსელინის — საფლავის ქვები ყვავილებით შეამკეს. მკვლელობებმა, რომლებიც 1992 და 1993 წლებში მოხდა, თავის დროზეც საყოველთაო აღშფოთება და მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება გამოიწვია. იტალიის პრეზიდენტმა სკალფარომ მონაწილეობა მიიღო რომში გამართულ შეხვედრაში, რომელიც ქალაქის მერიის ინიციატივით გაიმართა. ყოველმა იტალიელმა, იქნება ეს ქალი თუ კაცი, რომელსაც შესწევს ძალა, დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს მაფიის წინააღმდეგ — ასეთი განცხადება გააკეთა ამ შეხვედრაზე რომის მერმა ფრანჩესკო მუსელიმ. მიუხედავად ამგვარი ლონისძიებებისა, წლები მიდის, მაფიის ძალადობა კი ჯერაც არ შეჩერებულა.

მუსელი

ევროპა ეხმარება ცენტრალურ ამერიკას

ხუთშაბათს, საფრანგეთში გამართული ორი კონტინენტის მინისტრთა შეხვედრაზე დღის წესრიგში ძირითად საკითხად იდგა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საკითხი. შეხვედრაზე მიღებული დეკლარაცია ითვალისწინებს ფინანსური სტაბილურობის მიღწევას „სან-ხოსეს“ ჯგუფში შემავალ, ცენტრალური ამერიკის 6 სახელმწიფოში: კოსტარიკაში, სალვადორში, გვატემალაში, ჰონდურასში, ნიკარაგუასა და პანამაში. ევროპულმა მხარემ, თავის მხრივ, აღუთქვა ამ ქვეყნებს, რომ ინვესტიციებს ცენტრალური ამერიკის განვითარების ბანკში დაბანდებს.

ხელი ხელს ბანს...

ბოსნიის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად გამოიყვანოს მრავალწლიანი ომით გამოწვეული კრიზისიდან. სარაევოს მუსლიმანური ხელისუფლების მეთაურმა ჰასან მურატოვიჩმა თხოვნით მიმართა ევროპის კავშირის საგარეო საქმეთა კომისარს ვან დენ ბრუკს, რომ კიდევ 3 წლით გააგრძელოს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება ბოსნიასა და ევროკავშირს შორის. ვან დენ ბრუკის თქმით კი, ხელშეკრულება გახანგრძლივდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარაევოს მხრიდან შესრულებული იქნება დეიტონის შეთანხმების ყველა პუნქტი და რაც ყველაზე აუცილებელია, — ქვეყანაში ჩატარდება თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები.

რამდენიმე შეკითხვა ბატონ გურამ მამულიას გაზეთ „კავკასიონში“ მისი წერილის გამო

ბატონო გურამ!



იმ ნეგატიური გამოხმაურებების საერთო ფონზე, რომელიც მოჰყვა ინფორმაციას დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის პირად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მშენებლობის შესახებ, თქვენი წერილი სხვა თვალსაზრისს გამოხატავდა: თქვენ გსურდათ დაგემტკიცებინათ, რომ „თურქული უნივერსიტეტი“ საქართველოში (რომელსაც „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ უწოდეს) არ წარმოადგენს საფრთხეს ქართული კულტურისა და საერთოდ, საქართველოსთვის. ველოდი, რომ დაასაბუთებდით სხვების მიერ გამოთქმული ეჭვების უსაფუძვლობას. სამწუხაროდ, ასეთი ეჭვები თქვენმა წერილმა ვერ გაფანტა. უპასუხოდ დარჩა ბევრი კითხვა. კარგი იქნებოდა, თუ თქვენ, ან თქვენი კოლეგები პასუხს გაგვცემთ ასეთ კითხვებზე:

1. რა ამოძრავებთ თურქულ კომერციულ (აშკარად არასაქველმოქმედო) ფირმებს „ჩაღლარსა“ და „მარსს“, რათა სულ ცოტა 40 მილიონი დოლარი დააბანდონ (თქვენივე მონაცემებით) უნივერსიტეტის მშენებლობაში. თუ მოგების ნახვა უნდათ, ასეთ მოგებას მშენებარე უნივერსიტეტიდან კარგა ხანს ვერ მიიღებენ. თუ თავიდანვე ცნობილია, რომ აქ სწავლა ძალიან ძვირი იქნება, ბევრი ქართველისთვის უნივერსიტეტი ხელმიუწვდომელი იქნება და ის მართლაც უცხოელთა თავშესაყარად იქცევა. თუ ხსენებულ ფირმებს „საქართველოს სიყვარული“ ამოძრავებთ, ეს არასერიოზული არგუმენტია კომერციული ფირმებისთვის. ბოლოს და ბოლოს, თუ ასეთი „სიყვარული“ აქვთ, ბევრად ნაკლები კაპიტალდაბანდებაა საჭირო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომ ის ფეხზე დადგეს. ვალს კი, გარწმუნებთ, გადავიხდით.

2. როგორც წინა კითხვიდან ჩანს, ამ ფირმებს უკან უნდა იდგეს უფრო სერიოზული ორგანიზაცია და ინტერესები. რატომ გამორჩცხავთ ასეთი ორგანიზაციისა და ასეთი ინტერესების არსებობას?

3. რატომ არის ასეთი დიდი დაინტერესება თურქეთის მხრიდან (როგორც თქვენ ბრძანეთ, სახელმწიფოს პირველი პირების დონეზე), რათა სწორედ საქართველოში აშენდეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი? ხომ არ აგვიხსნიდით ასეთი დაინტერესებული „ძალად მაცხონეობის“ პოლიტიკურ მოტივებს?

4. რატომ უნდა იყოს საქართველოში მდებარე, როგორც თქვენ ბრძანეთ, საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ უნივერსიტეტში სწავლება უცხო ენაზე, ვთქვათ, ინგლისურად. თუ თურქეთის ქართულენოვან მოქალაქეებს ჩვენთან უნდათ განათლების შეძენა, მათ ეს ქართულ ენაზე სწავლის მიზნით უნდა უნდოდეთ. თუ ინგლისურად სურთ დაეუფლონ ცოდნას, გარწმუნებთ, ანკარასა და სტამბულში მშვენიერი ინგლისურენოვანი უნივერსიტეტებია.

5. რატომ ხდება ამხელა გარიგება (50 პექტრის არენდა 99 წლით, 40 მილიონი დოლარის კაპიტალდაბანდებები და ა.შ.) საჯარო განხილვის გარეშე, ფაქტობრივად, საზოგადოების ზურგსუკან. ხომ არ იყო აქ ჩადებული საქართველოს ზოგი მოქალაქის პირადი დაინტერესება?

6. როგორ ფიქრობთ, რატომ არიან ყველაზე მეტად შეშფოთებული თურქული უნივერსიტეტის მშენებლობით ქართველი თურქოლოგები? იმიტომ ხომ არა, რომ მათ სხვებზე უკეთ უწყიან თურქიზმისა და ისლამიზმის არსი? რუკაზე ერთი დახედვითაც კი ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური აზიის მუსლიმურ მონოლითს „აფუჭებენ“ საქართველო და სომხეთი. განა გასაკვირია, რომ სპეციალისტებმა გამოთქვან ეჭვი, რომ ასეთი „ანომალიის“ აღმოსაფხვრელად მზადდება „მეხუთე კოლონა“, რომლის ორგანული ნაწილია შუა საქართველოში უცხოენოვანი საუნივერსიტეტო ქალაქი, დასახლებული უცხო ულემენტით, რის შექმნასაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხელს უწყობს საქართველოს ზოგი მოქალაქე. მინდა ვინმემ დამარწმუნოს, რომ ეს ახე არაა, მაგრამ თქვენი წერილი სპეციალისტებში ამ ეჭვს ვერ გაფანტავს.

7. როგორ ფიქრობთ, საქართველოში მდებარე თურქულ (ინგლისურ, რუსულ და ა.შ.) კოლეჯებში და სკოლებში სერიოზულად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია? დაინტერესდით ამით? საქმე მხოლოდ სკოლის გათბობაში ხომ არ არის. ხომ ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული სკოლა ქართველს ზრდიდა, რუსული სკოლა კი, ძირითადად, საბჭოთა მოქალაქეებს. ვის მივიღებთ ინგლისურენოვანი თურქული კოლეჯებიდან? ინგლისურენოვანი თურქული უნივერსიტეტიდან?

დაბოლოს, თქვენი წერილიდან ერთი საინტერესო ინფორმაციაც მივიღეთ: თურმე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის საქართველოს განათლების სამინისტროც ყოფილა. აქამდე ჩვენ გვეგონა, რომ ამ სამინისტროს არც საქართველოსთვის, არც განათლებისთვის, კარგი არაფერი გაუკეთებია. ახლა კი დავრწმუნდით, რომ ეს მართლაც ასე ყოფილა.

რევაზ გაჩეჩილაძე

ახალი საზღვარგარეთი

ჩეჩნური კვანძის გახსნა ჯერ შორსაა

გენერალი ტიხომიროვი

მნიშვნელოვნად გართულდა სიტუაცია ჩეჩნეთის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ფედერალური ძალების ავიაციამ დარტყმები განახორციელა ურუს-მარტანის რაიონის რამდენიმე დასახლებულ პუნქტზე, სადაც დუდაევის მომხრე ფორმირებებია გამაგრებული. გამოყენებული იყო, აგრეთვე, ტანკები და სხვა მძიმე ტექნიკა. ჩეჩნეთში განვითარებული მოვლენების რეალურ სურათს იძლევა, თუნდაც, რამდენიმე მშრალი ციფრი: ბოლო 2 დღის მანძილზე დაიღუპა 28 რუსი სამხედრო მოსამსახურე, 96 — დაიჭრა. საერთოდ კი სამაშკის ოპერაციას 70 რუსი ჯარისკაცი შეეწირა.

რუსეთის ჯარები აგრძელებენ სოფელ სამაშკის ბლოკირებას, სადაც, სამხედროების მტკიცებით, რამდენიმე ასეული ჩეჩენი მებრძოლი იმყოფება. ფედერალური ძალების ხელმძღვანელობის თქმით, სამაშკიში გაიხსნა უსაფრთხოების დერეფანი, რომლის საშუალებითაც ბრძოლების ეპიცენტრი 2 ათასამდე ადგილობრივმა მშვიდობიანმა მოსახლემ დატოვა. თუმცა, აჩხოი-მარტანის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თარხან ხაზაევმა განაცხადა, რომ ეს აქცია ორმხრივი მასიური სროლების დროს მიმდინარეობდა და უკიდურესად არაორგანიზებული იყო. ზოგიერთი მოსახლე კი, რომლებმაც მოასწრეს სოფლის დატოვება, აცხადებს, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი ჯერ ისევ სამაშკიშია.

ამ მონაცემების გადამოწმება არ ხერხდება, რადგან ჟურნალისტებსა და საერთაშორისო დამკვირვებლებს სოფელში კვლავაც არ უშვებენ.

იტარ-ტასის ცნობით, სარაკეტო დარტყმები განხორციელდა ბამუტის, ორეხოვოს, კომსომოლსკისა და ალხაზუროვის მიმართულებითაც. ჩეჩნეთში ფედერალური ძალების დაჯგუფების ხელმძღვანელის ვიაჩესლავ ტიხომიროვის მტკიცებით, აღნიშნულ რაიონებში საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის გამო, პასუხისმგებლობა მთლიანად დუდაევის მომხრეებს ეკისრებათ, რადგან პირველად ცეცხლი რუს სამხედროთა პოზიციებს სწორედ მათ გაუხსნეს.

რთული ვითარებაა გროზნოშიც. თითქმის ყოველდღე იცხრილება ფედერალური ძალების ბლოკპოსტები. ამის გამო, ჩეჩნეთში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით შტაბ-ბინასთან თავმოყრილია დამატებითი მძიმე ტექნიკა.

ასე რომ, ჩეჩნური კვანძის გახსნა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორსაა.

მოამზადა

ირინე დეკანოიძემ

პერვომაისკოეს ხელახლა აშენებენ

ჩეჩნეთში სიტუაციის რადიკალურად გართულებამ, უკანა პლანზე გადასწია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. თუმცა, დაღესტნის სოფელ პერვომაისკოეში, რამდენიმე თვის წინ აქ დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, მაინც მოხერხდა აღდგენითი სამუშაოების დაწყება. ამისთვის, ფედერალური ბიუჯეტიდან 200 მილიარდი რუბლი გამოიყო. ამჯერად, გახარჯულია 68 მილიარდი, რომელიც, ძირითადად, მოსახლეობისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას მოხმარდა. სოფელში მცხოვრები 330 ოჯახიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ 40 დაბრუნდა. მიზეზი კი საცხოვრებელი სახლების უქონლობაა.

სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, სამუშაოების დროული დაფინანსების შემთხვევაში, სოფლის ხელახალი მშენებლობა 15 ივნისისთვის დამთავრდება.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში

გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მუშაობა დნესტრისპირეთის საკითხის განხილვით დაიწყო. შემდეგ დეპუტატებმა იმსჯელეს ქვეყნის შეიარაღებული ძალების დაფინანსების პრობლემებზე. ცხარე მსჯელობა მიდიოდა, აგრეთვე, საინფორმაციო საშუალებების მიერ „სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ირგვლივ, არასწორი ინფორმაციის გავრცელების“ თაობაზეც. „განრისხებულ“ დეპუტატთა კითხვებზე საპასუხოდ „ხალიჩაზე“ იხმეს რუსეთის ტელევიზიის ხელმძღვანელები სერგეი ბლაგავოლინი და ედუარდ სოგალაევი.

სახელმწიფო სათათბიროს სხდომის დროს არ განხილულა ფედერაციის საბჭოს მიმართვა და პრეზიდენტ ბორის ელცინის კანონპროექტი, რომელიც ბელოვეჟის შეთანხმებათა დენონსაციას ეხება. ეს დოკუმენტები გასაცნობად დაურიგდათ სათათბიროს ცალკეულ კომიტეტებსა და კომისიებს.

დელეგაციათა გაცვლა

სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე იგორ სტროევი მეთაურობდა, ოფიციალური ვიზიტით ეწვია ბელარუსს, შეხვდა ამ ქვეყნის პრეზიდენტსა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

გუშინვე ბელარუსის ლიდერი მოსკოვს ეწვია. კრემლში ის შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს. განხილულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს მიერ ამასწინათ მიღებული გახმაურებული დადგენილება და დოკუმენტების პაკეტი, რომლებიც ორ ქვეყანას შორის ინტეგრაციას შეეხება.

მსოფლიო

ოლბრაიტს ქვებით „გაუმასპინძლდნენ“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აშშ ჭუდშივი წარმომადგენელი მადლენ ოლბრაიტი ეწვია რამდენიმე დასახლებულ რაიონს, რომლებიც იუგოსლავია-ხორვატიის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს და ზაგრების იურისდიქციაში უნდა გადავიდეს. ამერიკელ დიპლომატს მოლაპარაკებები ჰქონდა სერბიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გადაწყდა, რომ ამ რაიონებში სამშვიდობო მისიას განახორციელებენ რუსული და ბელგიური სამშვიდობო ბატალიონები. აპრილში იქვე ჩავლენ, აგრეთვე,

მადლენ ოლბრაიტი

იორდანიელი, პაკისტანელი და უკრაინელი სამხედროები. გაეროს უშიშრების საბჭოს გადაწყვეტილებით, „ცისფერჩაფუხტელთა“ რაოდენობამ 5 ათასს არ უნდა გადააჭარბოს. მათი განლაგების შემდეგ კი რაიონების დემილიტარიზაცია დაიწყება, თუმცა, შეთანხმების ეს დეტალები ჯერ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. აქ მცხოვრებ 200 ათას სერბს არანაირი სურვილი არ აქვს, მომავალში ხორვატიის ხელისუფლებას დაემორჩილოს. მათ ოლბრაიტის თანმხლებ ესკორტს პიკეტი მოუწყვეს, მის ავტომანქანას კი ქვებით „გაუმასპინძლდნენ“.

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

ალილი

23 მარტი, 1996 წ.

ესეისტიკა

ედუარდ ჰორგან ფორსტერი

1879-1970

ნაშრომიდან- «რომანის ასპექტები»

IV

ვახტანგ კომახიძე

ლექსები

თეონა ბექიშვილი

* * *

წვიმის წვეთები ეცემიან ჩემს თბილ სხეულზე,
მე სახლისაკენ მივეჩქარები.
ვაღებ კარებს, გამოვიცვლი სველ ტანისამოსს, სკამზე გადავდებ,
ჩამოვივარცხნი მერე ნაწნავს და ვიფიქრებ ფანჯრის იქით გამოკეტილ
წვიმის წვეთებზე.
ხოლო ესენი,
ჩემს ოთახში შემოყუჟულნი, წვიმის წვეთები, ნაწნავებში ნათამაშებნი,
ნებიერად აორთქლდებიან
და საიდანღაც გაძვრებიან მაღლა, ზეცისაკენ,
და ღრუბლებს ისევ მოჰგვრიან ურჟოლას.
მაგრამ,
როდესაც მხიარულნი მიწისაკენ დაეშვებიან,
იქნება გვიან,
რადგან მე ახლა დიდი გოგო ვარ, სათამაშოდ არა მცალია.
ნაწნავებიც კი მოვიკვეცე და ვოცნებობ ლამაზ ქოლგაზე,
რათა წვიმაში თავმომწონედ გავისეირნო.

III

ცოდნა ჩემი

VI

თვალსაზრისი

მანანა კვაჭანტირაძე
თამაშის თეორია და პოეზია

თამაშში გაცხადებულია კაცობრიობის ძირძველი ლტოლვა, უოფიერება დაუკავშიროს სცენას, სადაც ადამიანის ცხოვრება თამაშდება და სადაც თამაშის „გემო“ — საკუთარი როლის მიგნებაა. თამაშში ჩაძირვა ნიშნავს, აღარ იკითხო, სინამდვილეა თუ არა ის, რადგან უველაფერი, რაც თამაშში ხდება და თამაშში შეიგრძნობ: უფრო მეტი და ჭეშმარიტი მნიშვნელობის შემცველია, ვიდრე ის, რასაც ცხოვრება გვამცნობს.

II IV

ზვიად რატიანი

ამერიკული ლექსი

თუ გაეცანით ჩემს პირველ წერილს („არილი“ 17.II,96; „ამერიკული ლექსი“. წერილი პირველი), რომელშიც საუბარი მჭონდა ამერიკული პოეზიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდზე — XVII-დან XIX საუკუნის მიწურულამდე, — შეამჩნევდით, რომ გარკვეულ სულსწრაფობასაც კი ვიჩენდი, განგებ ვაჩქარებდი თხრობის ტემპს, ცალკეულ პოეტთა შემოქმედების მხოლოდ ზოგადი ანალიზით ვკმაყოფილდებოდი; მინდოდა, რაც შეიძლება მალე გადავსულიყავი ჩვენი საუკუნის ამერიკელ პოეტთა შემოქმედების განხილვაზე, ვინაიდან:

სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ამერიკელ პოეტთა სალექსო მემკვიდრეობის გამაერთიანებელ ნიშნად თავისუფლება მესახება, და ამ ვარაუდის დადასტურებად სწორედ XX საუკუნეში მოღვაწე ამერიკელი პოეტების შემოქმედება მიმაჩნია.

კარლ სენდბერგი
1878 — 1967

ოღბალი

ოღბალი მოდის დოლარებად ანდა ცენტებად.
ინდიელის თავი, თავისუფლების ქალღმერთი,
ერთიც და ნეორეც — ოღბალია.
დღეისთვის სპილენძი, ხვალისთვის ვერცხლი,
აი ნიმუშებიც:
მოთმენილი ქვითინი,
შეკავებული კოცნა,
გულში ჩაკლული სიმღერა,
ჩაფარცხული სურვილი.
ეს უველაფერი. უველაფერი — ცენტებია და დოლარები.
მათ იცნობს გოგონა, ჭურჭელს რომ რეცხავს.
მათ იცნობს გოგონა, საწოლში რომ მიირთმევს ყავას.

VI VII

საკვირაო საკითხავი

ედმუნდ პრისპინი



VIII

მანანა კვაჭანტირაძე

თამაშის თეორია და პოეზია

როცა 1945 წელს ფრანგმა მათემატიკოსმა ჟაკ ადამარმა კითხვით მიმართა მათემატიკოსებს, თუ რა სახეები და ასოციაციები ჩნდებოდნენ მათ ცნობიერებაში მათემატიკური ამოცანების ამოხსნის დროს, ალბერტ აინშტაინმა ასე უპასუხა: „სიტყვები იმ სახით, როგორც ისინი იწერება და გამოითქმის, როგორც ჩანს, არავითარ როლს არ თამაშობენ ჩემი აზროვნების მექანიზმში. აზროვნების ელემენტებად გვევლინებიან მეტ-ნაკლებად მკაფიო სახეები და ნიშნები ფიზიკური რეალობისა. ეს სახეები და ნიშნები თითქოს თავისთავად წარმოიქმნებიან და კომბინირდებიან ცნობიერების მიერ. ბუნებრივია, აზროვნების ამ ელემენტებსა და შესაბამის ლოგიკურ ცნებებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. მისწრაფება იმისკენ, რომ ბოლოს და ბოლოს შეიქმნას ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ცნებათა რიგი, გვევლინება, ემოციურ საფუძვლად ცნობიერების საკმაოდ გაურკვეველი თამაშისა ზემოთ ნახსენებ აზროვნების ელემენტებთან. ფსიქოლოგიურად ეს კომბინაციური თამაში პროდუქტიული აზროვნების არსებით მხარეს წარმოადგენს“.

ეს შემთხვევა იმისთვის გავიხსენეთ, რომ მკითხველის ყურადღება მიგვეპყრო მეცნიერული წარმოსახვის თამაშებრივ ხასიათზე, მის ემოციურ საფუძველზე და განწყობის ფაქტორზე, როგორც ცნობიერების ურთიერთსაპირისპირო ელემენტების შეკავშირების იმთავითვე მოცემულ ინტუიციურ იმპულსზე. ერთი სიტყვით, ცოტათი მაინც მივახლოვებოდით მოვლენას, რომელსაც თამაშს ვუწოდებთ.

ადამიანის ნიშანთა შემქმნელი მოღვაწეობის ყველა ძირითადი სახე იმთავითვე გამსჭვალულია თამაშით. მით უფრო შეიძლება ამის თქმა პოეტურ ენაზე, რომელიც ადამიანის სემიოლოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. როგორც პოლანდიელი კულტუროლოგი იოპან ჰოიზინგა თვლის, „ენის შემოქმედებითი გონი მუდამ თამაშით გადადის ნივთიერიდან აზრისეულზე“.

აინშტაინის მიერ აღწერილი პროცესი ძალზე გვაგონებს პოეტურ ენაში მიმდინარე მოვლენებს. ხატი, რომელიც მეტაფორულ სიტყვათა თამაშის საფუძველზე აღმოცენდება, სხვა არაფერია, თუ არა კვაზისენსორული, კვაზივიზუალური რეალობა, ანუ ნიშანი, გამოხატულება ცნობიერებაში მიმდინარე ფარული პროცესებისა. სულხან-საბას ლექსიკონში ნიშანი განმარტებულია, როგორც „სასნაული“. შილერისადმი მიძღვნილ წერილში გოეთე წერდა: „... თვალყური ვადევნოთ, როგორ დაიბადება ხელოვნების უმშვენიერესი ქმნილება ბუნების ასევე მშვენიერი შემონაქმედის ბადლად ენით უთქმელი სასნაულის ნყალობით“.

განწყობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აინშტაინის ასოციაციურ სახეებსა და ცნებათა ლოგიკურ რიგს, იმავე ტიპისაა, რაც ის განწყობა, რომლის წყალობითაც ენა გადალახავს უფსკრულს განცდასა (აზრსა) და სიტყვას, შეგრძნებასა და ლოგიკურ ცნებას შორის, ან კიდევ ერთმანეთთან შესახვედრად ამზადებს სემანტიკურად დაშორებულ სიტყვებს და ამ არჩევანში არ ტყუვდება. ენის ამ ინტუიციური თამაშისას იგი გადადის სასაუბრო ენის საზღვრებიდან პოეტურ სამყაროში ისევე, როგორც თამაშის აქტში მოთამაშე გადადის რეალური ცხოვრებიდან „საკუთარი გამიზნულების მქონე აქტივობის დროებით სფეროში“ (ჰოიზინგა).

სასაუბრო ენის საზღვრებიდან „გასვლა“ პოეტური ენის არსებითი ნიშანია. ენის სათამაშო განწყობა სხვა არაფერია, თუ არა რეალობიდან „ამორთვის“, მისგან გათავისუფლების აქტი და იგი ხატის შექმნაში ვლინდება. ხატის მეშვეობით გათავისუფლებული ენა თვითონვე იქცევა ხდომილებად, მოვლენად. იმდენად, რამდენადაც ხატი კვაზირეალობაა, იგი ქმნის განცდათა გაცილებით ფართო სპექტრს, ვიდრე რეალური საგანი ან მოვლენა. „პოეტური სამყაროს“ მეტაფორა მიგვითითებს ფუნქციონალურ შესაბამისობაზე პოეტურ და თამაშებრივ მდგომარეობათა შორის. იგი ზუსტად ახასიათებს პოეტურ ენას, როგორც ხდომილებათა გათამაშების დროებით სამყაროს.

როგორც რომან იაკობსონი მიიჩნევს, „პოეტურობა ნიშნავს შეტყობინების განსაკუთრებულ ტიპს, რომლის საგანს წარმოადგენს მისი საკუთარი ფორმა და არა შინაარსი“. პოეტურ ენაში სიტყვა გვევლინება ობიექტად და არა შუამავლად. ანუ, სხვა სიტყვებით: ნაცვლად იმისა, რომ ენა იყოს გზა, საშუალება რეალობისკენ, იგი თვითონვე იქცევა საკუთარი თავისკენ მიმართულ რაგვარობად. არა შუამავლად, არამედ თვითგანმსაზღვრელად და თვითწარმომჩენად. ზუსტად იგივე ხდება თამაშში. თამაში ჩაკეტილია საკუთარი წესებით, დრო-სივრცული მოდელით და მიმართულია თავისი თავისკენ. სათამაშო მოედანი ისეთივე საკრალური სივრცეა მოთამაშისთვის, როგორც სანერი მაგიდა და ფურცელი — შემოქმედისთვის (პაოლო იაშვილი: „მაგიდა — ჩემი პარნასი“).

პოეტურ ენაში, ისევე, როგორც თამაშში ხდება რეალობის „გამოცდა“. გამოცდა ნიშნავს ცდის ჩატარებას, შესაძლებლობათა მოსინჯვას, განცდაში განმუხტვას. თამაშს რაღაც ისეთი შემოაქვს ცდაში, რაც ადამიანის უძირითადეს სასიცოცხლო იმპულსს აკმაყოფილებს. „მოთამაშემ იცის, რომ ეს მარტოოდენ თამაშია, მაგრამ ის კი აღარ იცის, სახელდობრ, რას თამაშობს იგი ამ დროს“ (გადამერი). თუკი ასეა, თამაში არის ბუნდოვანი, ფარული, დაუსახელებელი მნიშვნელობის მქონე ნიშანი ისევე, როგორც ტექსტი, როგორც ამას თანამედროვე სემიოლოგია მიიჩნევს. თამაშს აქვს თავისი საკუთარი არსი: სიცოცხლის მთლიანი შეგრძნების, მთლიანი სასიცოცხლო განწყობის მოხელთება, „დაჭერა“. ცხოვრებისეული ფორმებიდან სიცოცხლის უშუალო, თავისუფალი ფორმებისკენ მიბრუნება. პოეტური ეწა, ისევე, როგორც თამაში, არის მოძრაობა ვირტუალურ განცდათა სივრცეში.

> ადამიანის ნიშანთა შემქმნელი მოღვაწეობის ყველა ძირითადი სახე იმთავითვე გამსჭვალულია თამაშით. მით უფრო შეიძლება ამის თქმა პოეტურ ენაზე, რომელიც ადამიანის სემიოლოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა.

მართლაცდა, რით არ არის მხატვრული სამყარო თამაშის სამყარო, მისტიფიკაცია, სადაც ყველაფერი — პერსონაჟი, მოვლენა, საგანი — არსებობს მხოლოდ ენობრივად, ან სულაც, სცენა, სადაც სიტყვები იშორებენ თავიანთ ჩვეულ მნიშვნელობებს (ან „იხსენებენ“ ფარულს) და გვევლინებიან რაღაც სხვის გამოხატულებად? რით არ გავს შემოქმედებითი პროცესი თამაშს, როცა ენა თავისუფლდება ყოველდღიური ყოფიერებისგან თავისი ფარული ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ან კიდევ თამაშებრივი ესთეტიკური იმპულსი“. თამაშის თავისთავადი წესრიგი ათავისუფლებს ენას კომუნიკაციური მიზანდასახულებისა და იმ სხვადასხვაგვარი შეზღუდვებისგან, რომელთა შესრულებაც მას ამ დროს უხდება. პოეტური ენა ავლენს არაცნობიერის ლოგიკურ წესრიგს, თუმცა ლიტერატურული ნაწარმოები ისევე, როგორც თანამედროვე კულტურულ-სოციალური და ინტელექტუალური თამაშები არანაკლებ ემორჩილებიან ცნობიერ ლოგიკურ წესრიგსაც. მხატვრული ცნობიერება ქმნის ზუსტად განსაზღვრულ დრო-სივრცულ მოდელს, სიუჟეტურ-კომპოზიციურ სისტემას, რითაც აკმაყოფილებს თამაშის მისწრაფებას წესრიგისკენ.

ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქას ლიტერატურაში თამაშის ახალი წესები შემოაქვს. ჟანრები, მიმართულებები, დარგები სხვა არაფერია, თუ არა ენობრივ თამაშთა სისტემების ახალი, ისტორიული ეპოქების განვითარების კვალდაკვალ შექმნილი ვარიანტები.

> პოეტური ენის თამაშში ნაციონალური შემოქმედებითი გონის ფარული და სიღრმისეული მოთხოვნილება კმაყოფილდება. თამაშში ჩართული ენა თავის იდუმალ ფესვებს უახლოვდება, საკუთარ არსს შეიმეცნებს.

პოეტური ენა ისევე დაძაბულია, როგორც თამაში. ინტენსიურობა, დაძაბულობა გულისხმობს ენის უჩვეულო მდგომარეობას, მოულოდნელობების შეტანას ენობრივ თამაშში. მაგალითად, სინესთეზია, ოქსიუმორონი, მეტაფორა არის სიტყვათა „გათამაშება“, ლოგიკური შესაბამისობის დაძლევა კლასებს შორის. ტროპები ენობრივი თამაშის ელემენტებია. მოვიტანთ სიტყვის ასოციაციურ მნიშვნელობათა „გათამაშების“ ერთ მაგალითს გალაკტიონის „ლურჯა ცხენებიდან“: „არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი / ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“. „შენაპირის“ ერთი მნიშვნელობა უკავშირდება სივრცულ წარმოდგენებს: ნაპირს, მიჯნას, კიდეს, საზღვარს და ა.შ. მეორე — დანაპირებს, აღთქმულს, მოსალოდნელსა და შესაძლებელს. „ვერ ვნახე ვერაფერი“ შესაბამისობაშია ორივე მნიშვნელობასთან. სწორედ მეორე მნიშვნელობით (დანაპირები, შეპირება) შემოდის სივრცულ აღქმაში (ნაპირი) სასოწარკვეთის ასოციაციური ნაკადი მოლოდინის იმედგაცრუების გამო, რადგან ეს მარტოოდენ ნაპირი კი არ არის, არამედ აღთქმული ნაპირია. რომ არა სიტყვის ეს უცნაური ფორმა „შენაპირი“ — ვერ მოხდებოდა სივრცული აღქმისა და იმედგაცრუების ემოციის თანხვედრა შეგრძნების დონეზე.

პოეტური ენა „კოდირებულია“. მისი „გახსნა“ მხოლოდ ამ კოდის მცოდნეთ, ანუ თამაშის მონაწილეთ ძალუძთ.

> პოეტური ენა ისევე დაძაბულია, როგორც თამაში. ინტენსიურობა, დაძაბულობა გულისხმობს ენის უჩვეულო მდგომარეობას, მოულოდნელობების შეტანას ენობრივ თამაშში.

პოეტური ენის ის განწყობა, რომელიც ენის პირველად სასიცოცხლო ფორმათა ციმციმს ინვევს? მხატვრული ტექსტი ისეთივე განმეორებადია, გადაცემადი და განუყოფელია, როგორც თამაში. ენობრივ თამაშში ჩაბმა, სხვა ტიპის თამაშების მსგავსად, სიამოვნების, სიხარულის, ექსტაზის მომენტებსაც გულისხმობს.

ყველაზე ღრმა საფუძველში ესთეტიკურთან თამაშს ქმნადობის იმპულსი აახლოებს. როგორც შილერი შენიშნავდა, „ქმნადობის იმპულსი თავისთავად ყველაფერი, რაც ამ სივრცის გარეთ (ანუ რეალურ სამყაროში) ხდება, თამაშის მონაწილეთა ინტერესის მიღმა რჩება. გავიხსენოთ, როგორ კარგავენ აზრს სოციალური ცხოვრების კანონები მნიშვნელოვანი საკულტო-სადღესასწაულო თამაშების დროს. ამ რიგის არაერთი ფაქტი (თვით ომების დროებით შეწყვეტამდეც კი), რომელიც ისტორიიდან არის ცნობილი, ამ დღესასწაულების უღრმეს სერიოზულობაზე, კაცობრიობისთვის მათ უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს.

„თამაშდება რაღაც ისეთი, რაც აღემატება სიცოცხლის განმტკიცების ლტოლვას და თავად ანიჭებს საზრისს სასიცოცხლო მოღვაწეობას“ (ჰოიზინგა). ეს კი იმიტომ ხდება, რომ თამაში თვითონვე ქმნის სიცოცხლის ახალ ფორმებს. აი, ამ ახალ ფორმებს ჭვრეტს ელექტრომაგნიტური ტალღების ციმციმში აინშტაინი. ამიტომ ხედავს პლატონი ადამიანის სასიცოცხლო დანიშნულებას „ღვთაებრივ თამაშებში“: „ყველა უნდა ეცადოს, რაც შეიძლება კარგად გაატაროს მშვიდობიანი ცხოვრება. კარგი რაღას ჰქვია? ცხოვრება თამაშით უნდა იყოს სავსე, გარკვეული თამაშები უნდა ითამაშო, მსხვერპლი უნდა შესწირო, იმღერო და იცეკვო რათა ღმერთების მადლი მოიხსა, მტრები მოიგერიო და ბრძოლებში გაიმარჯვო“. (მკითხველს შევახსენებთ, რომ სულხან-საბას ლექსიკონში ცეკვა და სიმღერა თამაშებრივ ქმედებებადაა განმარტებული).

ენობრივი თამაშით მწერალი, უზენაესი შემოქმედის მსგავსად, რაღაც ახალს ქმნის, ანუ რაღაცით უბრისპირდება უკვე არსებულს. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ეს შემოქმედთან შეჯიბრების, ღვთიური ძალების მოსინჯვის იმპულსია. ხომ ცხადია, რომ თამაში მეტწილად შეჯიბრების ფორმებს განასახიერებს, ღმერთის (თუ ბუნების) „დარად“ და „კვალად“ „ღვთაებრივ თამაშებში“ ჩაბმას. აკი მწერლები და პოეტები აშკარად აცხადებენ ხოლმე პრეტენზიას შემოქმედთან მოცილეობაზე. ღვთაებრივის ემანაციის შეყოვნება შემოქმედებით აქტში, თამაშში — აქ, ამ მოედანზე, ამ დაფასთან, ამ რიტუალში თუ ამ მაგიდასთან.

კითხვის პროცესი თამაშის მსგავსად, მკითხველს ექსტატიურ მდგომარეობაში მოაქცევს. მისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ შეიძლება დახასიათდეს არა როგორც ინტერპრეტაცია, არამედ — იდენტიფიკაცია. ნამდვილობის რწმენა კითხვის პროცესის, ისევე, როგორც თამაშის არსებითი პირობაა.

თამაში მოძრაობს სერიოზულობასა და ბუნებრიობას შორის. მოთამაშე დარწმუნებულია, რომ ყველაფერს აკეთებს არა „განგებ“, არამედ „ისე, უბრალოდ“, ანუ ნინასწარი განზრახვის გარეშე, ბუნებრივად. ძალდაუტანებლობა, რომელსაც მშვენივრად გამოხატავს ჰოიზინგას განსაზღვრება — „ისე-

დასასრული IV გვერდზე

თეონა ბექიშვილი

— დაიბადა 1973 წელს
— 1990 წელს დაამთავრა ქ.თბილისის 112-ე საშუალო სკოლა
— 1995 წელს — თ.ს.უ.ფილოლოგიის ფაკულტეტი
— ამჟამად მუშაობს 165-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ღალატის წინ

გამოვლილია ყველა მდინარე, ყოველი ფონი ზეპირად ვიცით,
აღარაფრის არ გვეშინია.

სადღაც ბუყბუყებს ჩვენი ვნების მწვანე ჭაობი,
მაგრამ იქამდე გრძელი გზებია და უსურვილოდ გავცქერით შარას.

ხანდახან ვუსმენთ ძველი ფირფიტის შეჩვეულ ხრიალს
და გვიკვირს ხოლმე,
თუ იქიდან მუსიკამაც გამოაღწია.

რაღაცა კიდევ დარჩენილა წაუშლელი, დაუჩხაპნავი,
და იმისი ძალაც ჰქონია, რომ დავესვი ლექსის საწერად,
რადგან სხვაგან არსად არის მხარმისაყრდნობი.

ქვეყანა ავად განაბულია,
სურს გაიგონოს უცხო ჭრიალი და ჭორებად მოჰფინოს ქალაქს,
რომ გული თურმე აიწონა-დაიწონას მეთამაშეა.



სტუმრად უცხო მხარეში

რისთვის მივდივართ უცხო მხარეში, როცა მეტი სიყვარული არ შეგვიძლია?
ნუთუ იმისთვის,
რომ სიბერეში, დასამარხად სამშობლოში დაბრუნებულებს,
არ შემოგვაკლდეს თავშესაქცევი მოგონებები!
ჩემი სამშობლო აქედან ხომ უფრო შორია...
შენ მკიდებ ხელებს და მარიდებ აღგზნებულ სუფრას,
და გაგყავარ უცხო ღამის მდუმარებაში,
რათა მიჩვენო ვარსკვლავებით გავსილი ზეცა.
ჩვენ ამ ცას ერთურთს ვერ ვუსახსოვრებთ.
ეს უცხო ცაა.
ბერე რა მოხდა, თუკი ესეც ჩვენს ქვეყანას ახურავს თავზე?
ჭე პატარა ვარ ამსიდიდე სიყვარულისთვის;
ჭე პატარა ვარ და სამშობლოდ ჩემი ერთი სოფელიც მყოფნის.

ისთვის მივდივართ უცხო მხარეში,
როცა მეტი სიყვარული არ შეგვიძლია?

უსაშველოდ გაიზარდა მთელი ქვეყანა,
მაგრამ მე მაინც ვერ გავიოცებ უცხო ზეცის მშვენიერებას,
არ გავამართლებ შენს მოლოდინს:
მე პატარა ვარ, და პატარის სიჭიუტით
ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ გეტყვი —
რომ ჩემს სოფელში ყველაფერი უფრო კარგია,
და ყველაფერი არის ბევრად უფრო ლამაზი..
და ჩემი ძალლიც ამ უცხო ძალლზე ბევრად უფრო ლამაზი იყო,
მაგრამ ისიც ვერ გაექცა ძალლურ კანონებს და იმანაც მიაშურა უცხო მხარეს.
ოღონდ, განა სამოგზაუროდ,
— სიკვდილისათვის,
რადგან არ ეყო ათი წელი ერთგულებით ნამსახურები,
რომ მოეპოვა თავის სადგომში სიკვდილის ნება
და გინდაც ოცი ემსახურა, ამ უფლებას ვერაფრით ვერ მოიპოვებდა.
როგორ მივდივართ უცხო მხარეში, როცა მეტი სიყვარული არ შეგვიძლია?
ნუთუ მართლა ის გვაიმედებს,
რომ ძალლებისგან განსხვავებით ჩვენ ვერავინ ვერ აგვიკრძალავს ჩვენს სახლში სიკვდილს?
არა სჯობია, ამ უფლებით გახარებულნი მშვიდად ვისხდეთ ჩვენ-ჩვენს კერაზე
და კი არ ვუეფოთ, ვიგალობოთ მშობლიური ტკბილი სიმღერა,
რომ ჩვენს სოფელში ყველაფერი ძლიერ კარგია,
რომ ყველაფერი არის მართლა ძლიერ ლამაზი.

* * *

ახლა ღამეა. გვიანია. ის დროა, შენც კი უნდა გეძინოს.
მაგრამ იქნებ მაინცა გღვიძავს.
მაშინ მისმინე:
მე ავადა ვარ, ვსნეულდები საკუთარი ამონასუნთქით,
ჩემს სხეულზე გამოდიან შავ-ყვითელი ფიგურები
და ხატავენ ავადმყოფობას —
ჩემსას, შენსას, იმისას, სხვისას.
მე ავადა ვარ ერთი ღამით, რათა დილას დარცხვენილმა გამოვიღვიძო.

მე არ მოვდივარ ბავშვობიდან.
საიმედოდ დაგმანულა ყოველი კარი, რომ იქიდან ნიავმაც ვერ შემოუბეროს.
მე მოვდივარ გალმა სოფლიდან,
სადაც მითხრეს — ქალი ხარო, და გამომიშვეს,
მეტი სიტყვაც არ დასცდენიათ.
ლექსის წერა თავად ვისწავლე.
მე მოვდივარ გალმა სოფლიდან
და ამ წუთას აქა ვზივარ, სნეულებით ამოქარგული,
და ვერ ვიხსენებ ვერც ერთ ნაბიჯს, ვერც ერთ ტკივილს, ვერც ერთ სიხარულს,
და ვტივტივებ ამაღამინდელ სინამდვილეში.

ეს არის ღამე, ყველაზე ბნელი, ყველაზე გრძელი, ყველაზე ძნელი,
და მაინც, არის ყველაზე წმინდა,
ღამე, რომელშიც სიცოცხლე მინდა.
მიშველე რამე,
მიშველე ჩქარა,
მე ამ ღამეში საშველი მინდა!

ათასი კოღო, ათასი ბუზი, ათასი ჭია, ათასი ღუა
მოცოცავს, მოფრენს, მოიწევს ჩემსკენ —
ჩემი სხეული მაგათთვის ღრუა,

სადაც კვერცხს დებენ და სადაც ჩეკენ,
და სადაც მწუხრის ზარებსა რეკენ,

როცა დილაა, ან როცა დღეა,
რადგან მაგათი მხოლოდ ღამეა
და ამ ღამეში მიშველე რამე!

დილა გათენდება, თბილი და მზიანი,
კოდალა მოფრინდება მჭრელნისკარტიანი,

ამომაცლის სხეულიდან პაწაწინა მწერებს
და წაუღებს წასაკითხად მკითხველებს და მწერლებს.

დიდი ხანია დამეკარგა სიყვარული, ამგვარი ღამის გამთენიისული.
და სურათზეც კი ვეღარ ვუსწორებ თვალს ძვირფას თვალებს,
რადგან, უცებ რომ დაბრუნდებოდეს,
ჩემი კოღო-ბუზებიანად მოუსავლეთში გავხდებოდი დასაკარგავი.

მე ავადა ვარ,
მოვირწევი გალმა სოფლიდან,
და არაფერი არ მახსენდება,
რადგან შორია დაბადებამდე, სიკვდილამდე, სიყვარულამდე,
რადგან ჰაერში იკარგებიან აბსტრაქციები.

მიწის დაკარგვის გამო

როგორ გაგიბედავ, როგორ შეგაწუხებ...
ბალახი არ ვარ, ფესვებიდან ამოგიცურდე.
მოწყვეტილია ეს ზამთარი შენს მუუდრო საყრდენს
და ვაკვირდები:

როგორ ირწევიან ხეზე ბელურები,
შენი მოლოდინით გაბეზრებულები.

სულ ყველაფერს ეკარგება თვისი წარსული
და ირწევა შეშინებული დედაბუნება.
თუ სადმე ხარ, დააკვირდი:

უსიტყვო ვედრებით სავსეა თვალები,
თვალები — მთვარეულის, თვალები — მთვრალები,
შენზე ოცნებებით და შენი სურვილით,
მზეზე დარჩენილი მთვარის ასულივით.

არაფერს არ გთხოვ, მაგრამ სადა ხარ?
ზამთრის ბურანში მყოფ ხამყაროს სად გაეპარე?
ოღონდ დაბრუნდი და გპირდებით, არ დაგამძიმებთ,
ზეციხ თაღზე მივაბჯენთ ფეხებს,
სალოცავად თვალებს შენსკენ ამოვაბრუნებთ,
სველ ღრუბლებში დავიმარხებით
და მსუბუქნი, ხორცის გარეშე, ამოვფრინდებით
და უფალსაც შენს წიაღში დავუდებთ ბინას.

აღარ გაგიბედავთ, აღარ შეგაწუხებთ...

ფერბადასულთა მაჯანკალი

განა როდისმე მითქვამს შენთვის, ლექსებს ვწერ მეთქი?
მხოლოდ და მხოლოდ ბალახს ვაგროვებ,
რათა დავდგა პაწაწინა ბულულები მოთიბულ მთაზე,
ჩამოვვარცხნო, გავალამაზო.
მოვა ზამთარი და დეკემბრის მთვარიან ღამეს
დაუხვდებიან თეთრ ტანსაცმელში მორცხვად მბზინავნი,
თითქოს ქვრივ ქალს გახადეს ძაძა და საპატარძლო ტანსაცმელში
გამოწყობილი წაიყვანეს ეკლესიაში.
მე ვწერ თივის ბულულებზე, ყვავილობა მე არ მინახავს.
განა ღმერთი ვარ, სიყვარული ჩამოვარიგო.
მე ვმაჭანკლობ ფრთადაცვენილებს,
ფურცლებდამჭკნარებს, ფერგადასულებს.
ქორწილებში მე არავინ არა მპატიჟებს,
გავხდი ვაჭარი გულში თივაჩაბურდულების,
ლექსის საწერად სადა მცალია.
ჭიუტად ვდგავარ მაყრიონის მოლოდინით სულგანაბული.
გამომივა გარიგება?

თამაშის თეორია და პოეზია

თამაში მოძრაობს სერიოზულობასა და ბუნებრივობას შორის. მოთამაშე დარწმუნებულია, რომ ყველაფერს აკეთებს არა „განგებ“, არამედ „ისე, უბრალოდ“, ანუ წინასწარი განზრახვის გარეშე, ბუნებრივად.

„ისე, უბრალოდ“ არის სწორედ თამაშის თვითმოძრავი სული, ბირთვი, ენერგია. „ისე, უბრალოდ“ — არის სათამაშო განწყობა, შთაგონების იმპულსი, რომლის დროსაც ენა გადადის თვითრეფერენციაში, „თავდავიწყებაში“, საკუთარი თავით ტკბობაში. აქვს თუ არა რაიმე წინასწარი მიზანი ამ თამაშს? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, თუკი მიზნის ცნებაში რაიმე მორალურს ვიგულისხმებთ. პოეტური ენის „სიკეთე“ გაცილებით უფრო ღრმადაა ჩაფესვებული, ვიდრე ამას მისი სოციალური გაგება და კომუნიკაციური ფუნქცია გულისხმობს. სახელდობრ იქ, სადაც ენისქმნადობის აქტში ერთმანეთს ბუნებრივად მსჭვალავენ სიკეთის, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების მოდუსები.

• დღესასწაული და მათთან დაკავშირებული საზეიმო განწყობა აერთიანებს თავისუფლების, სიყვარულის, ამაღლებულის, ღიაობის მოთხოვნილებას თამაშში. „სადღესასწაულო განწყობა“ არის სათამაშო განწყობა, ანუ განწყობა თავისუფლების მომლოდინე, გამარჯვებისთვის შემართული ადამიანისა. დღე-სასწაული ნიშნული დღეა, ანუ განსაკუთრებული, დროის ჩვეულებრივი დინებიდან ამოვარდნილი. დღე, როცა ყოველდღიურობას ადამიანი რაღაცას, თავისთვის ძალზე აუცილებელსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს გამოსტაცებს. დღე, როცა ბედნიერების, სიხარულის, ხალისის ნიშნით აღბეჭდილი სხვა დაძაბულობის, რიტმის, ინტენსივობის მქონე სამყარო იქმნება.

საზეიმო განწყობა ნიშნავს უმიზეზოს და უშედეგოს, მიზანმიუმართავსა და იმპულსურს. „ვარ ბედნიერი და უმიზეზო“ (პ.იაშვილი, „ორი ნამლევა“) — საზეიმო, ამდენად თამაშებრივი განწყობის გაცხადებაა. „სადღესასწაულო განწყობა — არის თამაშის — შინაგანი თავისუფლების, უმიზეზო სიხარულისა და უზრუნველობის ფორმა, ანუ, როგორც პოიზინგა უწოდებს — „ნივთი თავისთვის“. ზედნიერების განცდა სხვადასხვა შემთხვევაში ასოციაციურად უკავშირდება დრო-სივრცულ თავისუფლებას; გარდასახვის შესაძლებლობას (ტიციან ტაბიძე: „ვარ გაუთავლელი ლერწამის ღერი...“); რეალური გაურკვეველობიდან დროებით გარკვეულობაში გადასროლას და სასწაულებრივად ემსგავსება იმ თამაშებრივ განწყობას, რომლის განცდისთვის ზრდასრული ადამიანი მარად მზადაა მთელ დანარჩენ სამყაროსთან ერთად. ისიც გავიხსენოთ, რომ თამაშის განწყობა ერთნაირად არის დამახასიათებელი პოეტის, ბავშვის, ცხოველის, ველური და ინტელექტუალური ადამიანისთვის, რადგან თამაშში ადამიანი ყოველთვის „შინაა“, სიხარულის, სიამოვნებისა და თავისუფლების სამყაროში.

ასეთი დღე მართლაც არის სასწაულებრივი დღე, ანუ ნიშანი, რომლითაც ყოფიერების მეტაფიზიკური გონი ადამიანს რაღაცაზე მიანიშნებს. იქნებ, იმ ხვედრს შეახსენებს, რომელიც, პლატონის აზრით, საუკეთესოა, რაც კი ადამიანს გააჩნია: „კაცი იმისთვის არის შექმნილი, რომ ღმერთის სათამაშო იყოს და ეს ხვედრი საუკეთესოა, რაც მას აქვს. ასე რომ, ყოველი, კაცი იქნება თუ ქალი, ამ წესს უნდა გაჰყვეს და მთელი ცხოვრება ულამაზეს თამაშში გაატაროს, საპირისპიროდ იმისა, რასაც ახლა ფიქრობენ“.

თამაშში გაცხადებულია კაცობრიობის ძირძველი ლტოლვა, ყოფიერება დაუკავშიროს სცენას, სადაც ადამიანის ცხოვრება თამაშდება და სადაც თამაშის „გემო“ — საკუთარი როლის მიგნებაა. თამაშში ჩაძირვა ნიშნავს, აღარ იკითხო, სინამდვილეა თუ არა

თამაშში გაცხადებულია კაცობრიობის ძირძველი ლტოლვა, ყოფიერება დაუკავშიროს სცენას, სადაც ადამიანის ცხოვრება თამაშდება და სადაც თამაშის „გემო“ — საკუთარი როლის მიგნებაა.

ის, რადგან ყველაფერი, რაც თამაშში ხდება და თამაშში შეიგრძნობ: უფრო მეტი და ჭეშმარიტი მნიშვნელობის შემცველია, ვიდრე ის, რასაც ცხოვრება გვამცნობს.

კულტურის თანამედროვე და ისტორიული ფორმები თამაშის იმპულსიდან იღებენ სათავეს, თამაშს ორიენტირებულნი. წარმოსახვის თამაში, რომელსაც კულტურის ფორმები ეყრდნობა, ნაკარნახევია ძირეული სასიცოცხლო განწყობით — შეცვალოს არსებული სასურველით. თამაშთან კულტურის ესოდენ მჭიდრო კავშირი უთუოდ ნიშნავს იმას, რომ თამაშში ბუნება ნაბიჯს დგამს კულტურისკენ, „ესთეტიკურისაკენ“ ისე, რომ არც თავის ბუნებრიობას კარგავს, რადგან თვით თამაშის მოთხოვნილება — სინამდვილის ჩანაცვლება სიცოცხლის ახალი ფორმებით, სწორედ თავისუფალი ქმნადობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა.

თამაშის სტრუქტურა პოეტურ ენაში საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება. პოეტური ენა მოწესრიგებული საზრიანი თამაშია, რომელშიც ენის სასიცოცხლო ფუნქციები განსაკუთრებული ძალით ამოიფრქვევა. ხატში კმაყოფილდება ახალი სასიცოცხლო ფორმების შექმნის ენობრივი იმპულსი, ანუ თამაშის იმპულსი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სიღრმისეული განწყობის რეალიზაცია, მოახდინოს იდენტიფიკაცია სამყაროს შემოქმედთან, იგრძნოს თავი ახალ, შესაძლო ცხოვრების შემოქმედად. სწორედ ამ იმპულსის კარნახით ცვლის წარმოსახვა რეალობას.

ედუარდ მორგან ფორსტერი

1879-1970

ნაშრომიდან — «რომანის ასპექტები»

... რა განასხვავებს რომანის მოქმედ პირებს რეალური, თვით რომანისტის მსგავსი ადამიანებისგან, ოქმეფგან. ეჭვგარ, ასეთ დეკლარაციებ ვიქტორიანელ?

განასხვავება აუცილებლად უნდა არსებობდეს, თუ რომანის გმირი დედოფალ ზუსტი ასალია — ესე იგი, მოახლეებით ისეთივ ... არ არის, არამედ ზუსტად ასეთია. მაშინ იგი დედოფალი ვიქტორია ყოფილა და წიგნი უკვე რომანი კი აღარაა, არამედ მემუარები. მემუარები ისტორიას ეკუთვნის და ზუსტ ფაქტებზეა დამყარებული, რომანი კი დამყარებულია ფაქტებზე პლუს-მინუს რაღაც უცნობი. ხოლო ეს ზაღაც უცნობი, რომელიც რომანისტის პიროვნებასაც მოიცავს, გარდუვალად ცვლის ფაქტების ხასიათს, ხოლო ზოგჯერ სრულიად გარდაქმნის მათ.

ისტორიკოსი აღწერს მოქმედებებს, ხასიათს კი გამოიკვლევს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუძლია იმსჯელოს პიროვნებაზე მის მოქმედებათა მიხედვით. ხასიათები მას რომანისტზე ნაკლებად არ აინტერესებს, მაგრამ მათ შესახებ შეიძლება იცოდეს მხოლოდ ის, რასაც ისინი აშკარად ამჟღავნებენ. დედოფალ ვიქტორიას რომ არ ეთქვა: „რა მოწყენილობაა“, მასთან ერთად სუფრაზე მსხდომებს არ ეცოდინებოდათ, რომ ის მოწყენილია და ეს ამბავი არ გახმაურდებოდა. დედოფალი შეიძლებოდა მოლუშულიყო და კარისკაცებს ამით ამოეცნოთ მისი განწყობილება; გამოხედვა და უესტიც ისტორიული მოწმობაა. მაგრამ დედოფალს თავი რომ შეეკავებინა, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. — სულის ფარული ცხოვრება ხშირად ამიტომ არის ფარული. როგორც კი ფარული ცხოვრება თავის თავს ეკარგებულ გამოვლინებებში ამჟღავნებს, იგი უკვე აღარ არის ფარული და მოქმედებათა სფეროში გადადის. რომანისტის ამოცანაც ის არის, რომ სულის ფარული ცხოვრება აჩვენოს მის პირველწყაროში. ესე იგი, მოგვითხროს დედოფალ ვიქტორიაზე მეტი. ვიდრე მის შესახებ ფაქტებიდან არის ცნობილი და ამგვარად შექმნას ხასიათი, რომელიც არ აღმოჩნდება ისტორიული დედოფალი ვიქტორიას ტოლფარდი.

ფრანგ კრიტიკოსს, რომელიც ალენის ფსევდონიმით წერს ... ჭკვიან და გამჭრიახ კრიტიკოსს — ამის თაობაზე რამდენიმე სასარგებლო, თუმცა ექსცენტრული შენიშვნა აქვს გამოთქმული. ალენი გვარწმუნებს, რომ ყველი ადამიანი თითქოს ორი ჰიპოსტასით გვევლინება, რომელთაგან ერთი ისტორიის საგანი შეიძლება გახდეს, მეორე — მხატვრული ლიტერატურის. ადამიანის არსებობის ხილული მხარე, ესე იგი, მისი ქცევა და სულიერი ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც ქცევაში გამოსჭვივის. ბოლოს ... ისტორიის ხელოვნებ ... ბატონ ... „მეორე“ მხარე მოიგვარ. „ბოლოს ... ბრძოლებს, ანუ ოცნებებს, ხიხარულს, მწუხარებას და დაკვირვებებს „საკუთარ თავზე, რომელთა გამხელას აღარ და სასიცოცხლე ... ალენი ... ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ადამიანის ... ...

ავშვები კიბის ქვეშ იყვნენ და გზისკენ იყურებოდნენ. გოგო ბოკონთან მიმჯდარიყო, ხელში ჭადის ნატეხი ეკავა. ბიჭს თავისი ნილის უკანასკნელი ლუკმაც შეეჭამა, უძილობისგან და სრესვისგან ქუთუთოები შესნოთლებოდა. გოგოსთვის სვიტერი ისე ჩაეცმიათ, რომ ნაკერები გარეთ მოქცეოდა. ნელზე კი ფოჩებიანი თავშალი შემოეკრათ. იქვე მამალი ბალახს ქექავდა. გზაზე ლაფში ჯარისკაცები მოაბიჯებდნენ.

კიბის პირას მწკრივად ჩაყოლებულ დაფნის ღეროებს ნიავი აცახცახებდა. გოგოს ეგონა, რომ ნიავს დაფნის ღეროების ცახცახი აჩენდა, ქარს — ფორთოხლის ან გრეიპფრუტის ფართე ფოთლები. ეგონა, ზღვაზე ტალღებს დიდრონი თევზები მოაგორებდნენ, სნორედ ისინი, იოსებ ქარცხია. რომ იჭეოდა და ლაყუჩებში მავთულს უყრიდა. კერ გაეგო, რატომ აყრიდნენ თევზებს ბარილს, რის შემდეგაც მათი ფარფლები ბზინვარებას კარგავდა და ზღვისფერ-ამშრალი კენჭებივით უფერულდებოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ქარს ფორთოხლისა და გრეიპფრუტის ფოთლები აქროლებდნენ. ამ დროს იოსებ ქარცხიას სანვიმარის გრძელი ფოთლები უფრიალებდა.იგი ყოველ დილით პლანტაციებისკენ მიაბიჯებდა, ოოგო კი ფანჯრიდან თვალს აყოლებდა და კიბორჩხალასავით მოკაკვული თითებით ემშვიდობებოდა. ასე იყო ყოველდღე. დილით ქალი ბავშვებს ფლავს ეუხამდა, ხელში ცხელი ქვაბი და ციცხვი ეკავა. ბავშვები მაგიდასთან ისხდნენ და ფეხებს ისე იქნევდნენ, თითქოს ზღვის ქაფში ტერფებს ატყლაშუნებდნენ. იოსებ ქარცხია არ საუბრობდა, იგი ფანჯარასთან პაპიროსს ეწოლებდა. ნასვლის დროს ქალი სანვიმარს მხრებზე მოასხამდა ხოლმე, ფეხზე და ბადეს უმზადებდა, რადგან პლანტაციებიდან ყოველთვის ზღვისკენ მიუსურებოდა, საღამოს შინ თევზი რომ მოეტანა, რა თქმა უნდა, სანამ აფხაზეთს მხარე ომს წამოიწყებდა.

ოდიდან მეელი სოფელი ერთსულოვანი იყო კაქციელი პრეზიდენტის [illegible] და ამბობდნენ, ომი აფხაზებს [illegible]ამოუწყვეთო. სწორედ იმას იმეორებენ, რასაც პრეზიდენტის ნათქვამიჩნევდნენ. ამ უკანასკნელმა კი, [illegible]ორც მისი მომხრეები ადასტურებდ[illegible] განაცხადა, ომი ჩემმა გამძეგებ[illegible] წამოიწყესო. მოხუცები ამბობდ[illegible] ომი ვისი წამოწყებულიც გინდათ, [illegible] იყოს, ამით ჩვენს ჭადს არც [illegible]ელი გაუჩნდება და არც რამე [illegible]ატებაო. გაზეთები და პოლიტიკო[illegible] ისეთი იმედით შეპყურებდნენ [illegible]ამარ მოქმედებებსა და თავიანთ სა[illegible]ობას, როგორი იმედითაც გლეხი [illegible] თოხს შეპყურებს სიმინდის ყანის [illegible]ასწყისში, თუმცა მალე აფხაზები [illegible]ეზე გადავიდნენ და ერთი ქალაქი [illegible]. მაშინ პოლიტიკოსებს ადამიანე[illegible] თვალზე ცრემლი მოადგათ, გა[illegible]ბმა კი ნეკროლოგები ძაძებივით [illegible]ძარცვეს. სოფელში მოხუცებმა ოქ[illegible] და ფული მინაში დაფლეს, ჯველები [illegible]ოფლის განაპირას შეიკრიბნენ, [illegible]ბები გავთხაროთო.

[illegible]ანგარი სოფლისთვის ოთხივე [illegible]ან ხომ არ შემოგვევლოო, თქვა [illegible] და პაერში ნიჩბით წრე შემო[illegible] მაგრამ არ დაეთანხმნენ, აფხაზე[illegible] რომ დაგვეხმარონ, ოთხივე მხარეს [illegible]ავნვდებითო. ჯერ თქვეს, რომ [illegible] ზღვის მხრიდან უნდა გამოე[illegible] მერე ჩრდილო-დასავლეთიც [illegible]ცხეს, რადგან ამ მხრიდან სო[illegible]ლანტაცია იფარავდა. დაბოლოს, [illegible] აფხაზური სოფლის მხრიდან [illegible]ეს. მიიტანეს სანადირო თოფები, [illegible] დასხდნენ და ძველსა თუ ახალ [illegible]ობაზე ლაპარაკს შეუდგნენ. ზოგი [illegible]ობდა, რომ ომი აფხაზების წამო[illegible]ული არ იყო, ზოგი არასამთავრო[illegible] სარდლობას უჭერდა მხარს და [illegible] ყოფილ პრეზიდენტს. მალე [illegible]ში სამთავრობო ჯარები შეეიდ[illegible] რომლებსაც წვერგაუპარსავი კაპი[illegible] მეთაურობდა. სამხრეებზე კაპიტ[illegible] შეიდქიმიანი ვარსკვლავები დაემა[illegible]ნა, გენერლის კანტიანი შარვალი [illegible]ცა და მისი აღმატებულება პეტ[illegible] დაბიჯებდა. ჩამოსვლისთანავე [illegible]ური მდგომარეობა გამოაცხადა. სა[illegible]ები მოინახულა, სანადირო თოფები [illegible] გაატანა და მოხალისეებს „კალა[illegible]ოვები" დაურიგა, სანაცვლოდ არ[illegible]ერაგი შეაესებინა და პოლიტიკაზე [illegible] აკრძალა, რის შემდეგაც, [illegible]ლიტიკური აზრები თავიდან

ღალატი

ვახტანგ კომახიძე

გამოიბერტყა, ზოგმა კი კატარი თუ ბუასილი მოიმიზეზა და ზურგში გადავიდა. დარჩენილები ისხდნენ სანგარში და ახალი სარდლობის ნაცვლად აფხაზებს აგინებდნენ.

— ომის შემდეგ ეს სანგარი კი არ გავაუქმოთ, აფხაზებისაგან სამახსოვრო სასაფლაო ბორცვად ვაქციოთო, — თქვა ერთმა მესანგრემ.

— აქამდე თუ ვერ მოაღწიეს, — იკითხა ბართლომე სამუშიამ.

— ცხედრებს ვიშოვით და ჩამოვზიდავთ, — უპასუხეს.

— უნიფხვოდ არიან დასამარხი, მაგრამ ნიფხვებით დავმარხოთ, — თქვა იოსებ ქარცხიამ.

ბიჭი კიბის ქვეშ იჯდა და იოსებ ქარცხია ახსენდებოდა. ზღვიდან მოგრუნებულს მავთულზე ასხმული თევზები ზურგზე მოეგდო. თევზებს ფარფლები ულაპლაპებდათ და ყოველ ნაბიჯზე ისე სხმარტალებდნენ, თითქოს ლაყუჩებში მავთული კი არ ჰქონდათ გაყრილი, ზღვაში უპირებდნენ ჩაშვებას. სახლის უკან, მორზე ჯდებოდა, წინ, ვედროზე, ბართლომე სამუშია უჯდებოდა. დამარილებული თევზი და არაყი ჰქონდათ ხოლმე. იოსებ ქარცხიამ იცოდა, რომ არყის ბოთლის დანახვა ცოლს გუნებას უფუჭებდა და ბოთლს ბართლომე სამუშიას ვედროს ქვეშ ადგმევინებდა.

— არა, — ამბობდა ბართლომე სამუშია, — აღარც ღმერთი და აღარც ეშმაკი ჩვენსკენ აღარ იცქირებიან. ალბათ ჩვენი დანახვაც აღარ უნდათ.

— პირიქით, — პასუხობდა იოსებ ქარცხია, — პირიქით, ორივე ჩვენთანაა, რადგან არც არაყი გვაკლია და არც ბედის უკუღმა ტრიალი.

და იოსებ ქარცხია უძირო, ჩალურჯებულ სიერცეს გაპყურებდა. მყავე გამომეტყველებას და პაპიროსს არასოდეს იშორებდა. დროა, წამოინიეო, წარმოთქვამდა ბოლოს. ბართლომე სამუშია წამოინეოდა, ვედრის ქვემოდან ბოთლს იღებდა, იოსებ ქარცხია კი ჭიქებს აწვდიდა და სვამდნენ. მალე მათი თვალები ზღვაში ჩამავალ მზესთან ერთად თავის ჩასაძირავში იძირებოდა.

ჭიშკრიდან გამობრუნებულ იოსებ ქარცხიას ქალი მხარს აშველებდა და სახლის კიბისკენ მიჰყავდა. მიჰყავდა და მუხლიც არ ეკვეთებოდა.

აი, მაგ ჯანმრთელი მუხლების გამო მომეწონეო, ამბობდა იოსებ ქარცხია, მაგ ჯანმრთელი ბარძაყების გამო ვიქორწინე შენზეო. ქალი ოთახში ვახშამს უმზადებდა. იმ საღამოს ძროხის ძვლის ნახარში დაუსხა. კაცმა ჯერ ნვენი შესვა, მერე ძვალი აიღო, შეათვალიერა და ხორცი რომ ვერ აღმოაჩინა, თეფშზე დააგდო. ლოგინში ასანთი გაკრა და პაპიროსს მოუკიდა.

— დაიძინე, — უთხრა ქალმა, — რატომ არ იძინებ? — შენ თვითონ რატომ არ იძინებ?

— მე შენი პაპიროსი უნდა ჩავაქრო, რომ ჩაგეძინოს.

— კარგი, — თქვა იოსებ ქარცხიამ, — თუ გინდა, შენც ნუ დაიძინებ.

ქალს აღარაფერი უთქვამს.

ყველა სანგარში იმყოფებოდა. სრული ნამითაც არ ნყდებოდა. ტყვიები სიბნელიდან მოემართებოდნენ, და სიბნელეს ტყვიებსვე უბრუნებდნენ. ჯარისკაცები ისროდნენ და იგინებოდნენ. რამდენიმე მებრძოლმა სანგრის კედელს მიაშარდა.

— ამ სანგრისაგან სამახსოვრო სასაფლაო კი არა, სამახსოვრო ფეხსაღაგი გავაკეთოთ, — ჩაილაპარაკეს.

— პლანტაციებისკენ! — დაიძახა კაპიტანმა განთიადზე. მებრძოლებმა სანგარი დატოვეს და პლანტაციებისკენ გაფორთხდნენ. მიფორთხავდნენ ჯარისკაცები, დაჭრილებს მიათრევდნენ და წითელ კვალს ტოვებდნენ. ყვითელი ფორთოხლები მოჩანდა პლანტაციებში. მიფორთხავდა იოსებ ქარცხია და საკუთარ ნელს მიათრევდა.

— არა, — ეუბნებოდა მას ბართლომე სამუშია, — არც ღმერთი და აღარც ეშმაკი ჩვენსკენ აღარ იყურებიან, ალბათ ჩვენი სახელის გაგონებაც არ უნდათ, — ამბობდა იგი და მლაშე სისხლს სველ ბალახს ახოცავდა.

— პირიქით, — პასუხობდა იოსებ ქარცხია, — ორივე ჩვენთანაა, რადგან სასულეში სული გაგვჩრია და ნეკნებში ტყვია.

განთიადზე პლანტაციებში სროლა მინელდა.

მერე ისევ ნამონვიმა, სიჩუმე ჩამოდგა, ნვიმა კი არა, თითქოს ბარბიტალი წვეთავდა. ქალი ფანჯარასთან იდგა და იოსებს ელოდებოდა, რომელსაც ასე აგვიანდებოდა. ერთადერთი ის ამშვიდებდა, რომ კარი ჩაკეტილი იყო, თუმცა, ვერ გაეგო, რატომ უნდა დაემშვიდებინა ჩაკეტილ კარს, როცა ქმარს ელოდებოდა. გადაწყვიტა, საკეტი გაეხსნა. გულისპირზე საკინძეც უნდოდა შეეკრა, მაგრამ შეკრული ჰქონდა. საკინძე გაიხსნა და ისევ შეიკრა, რომ იოსებს რიგიანად შეყროდა. ქალმა ფანჯრიდან გაიხედა და ფუთააკიდებული ნაცნობი სახეები დაინახა. ამ დროს ქუჩის სიღრმეში „პაზი" დაიქოქა, მაყუჩმა პაერის ჭავლი გამოხეთქა და ზურგის მიმართულებით დაიძრა. მალე მისი ბოლო, ბებრის კეფასავით მოეფარა მოსახვევს. ქალმა ახლაღა მოიაზრა, გარდერობს მივარდა, საბუთები გადმოქექა, მერე ჩანთა გამოიღო და რაც ხელთ ხვდებოდა, შიგ აწყობდა. ლამპისა და კლოდტის იაფფასიანი პასპარტუს შემდეგ ღამის ქოთანსაც ხელი წამოავლო. ბიჭს იოსებ ქარცხია გაახსენდა: იგი ღამის ქოთანის დანახვასაც ვერ იტანდა, ყოველთვის ფეხს ურტყამდა და იძახდა, ამ ღამის ქოთანს ვინმეს თავზე დავამხობო. მართალია, თავზე არავის ამხობდა, მაგრამ ყოველთვის ფეხს ურტყამდა და იმუქრებოდა.

ქალს ხელთ იოსებ ქარცხიას სანვიმარი მოხვდა. კაცს სანვიმარი შინ დაეტოვებინა.

— ღმერთო, სახელდალოცვილო, იოსები!.. — ისე ჩაილაპარაკა ქალმა, თითქოს აქამდე ქმარი გადავინყებოდა. კართან მივიდა, საკეტი გახსნა და გამოაღო. ოთახში ნოტიო პაერი შემოიჭრა. გარეთ მამალი ყიოდა.

სართანიებმა რომ შემოსძახეს და ფუთააკიდებული დედაკაცები დაინახა, ხალათიც გამოიცვალა. ბავშვების ტანაცმელი წამოკრიფა, გოგო სკამზე შემოსვა, ტანთ გადააცვა და ნელზე ფოჩებიანი თავშალი შემოაკრა, მაგრამ ნაბიჯგანქარებულ სარეანიებს უკან არ გაპყოლია.

ქალმა იცოდა, რომ ყოველთვის, როცა იოსებ ქარცხია ზღვიდან თევზით ბრუნდებოდა, მარილი უნდა მოემზადებინა, როცა უხეშ სიტყვებს ეუბნებოდა — შენი ჯანმრთელი ბარძაყებისთვის მომენონეო, მხარი უნდა მიეშველებინა და კიბემდე მიეყვანა, მაგრამ ახლა არ იცოდა რა ექნა. ისიც ვერ გაეგო, უნდა ლოლოდებოდა თუ უნდა ეგლოვა, ქმარს უნდა დალოდებოდა, თუ ამბის მომტანს.

— ნუთუ ამ სატანჯველისთვის ამირჩია იოსებმა! — გაიფიქრა ქალმა და იოსებ ქარცხიას თევზის სუნით გაჟღენთილი მხრები გაახსენდა.

— რატომ ამირჩია იოსებმა! — გაიფიქრა ქალმა და იგრძნო, რომ, როცა იოსები უხეშ სიტყვებს ეუბნებოდა, გულში ფაქიზი გრძნობები ჰქონდა. უფრო მეტიც, უხეშად იმიტომ ლაპარაკობდა, გულში ფაქიზი გრძნობები უტრიალებდა.

მერე ქალმა ჭადი გამოიღო და ბავშვებს შუაზე გაუტეხა. ნვიმას გადაეფარა [illegible] ტოტებს ჩამოსდიოდა. [illegible] და ეზო გადაჭრა. ჭიშკართან შეჩერდა, ბავშვებისთვის რომ შეეხედა. [illegible] გულისპირს ისწორებდა და ისე ძიღიოდა, არც იცოდა, ამბის გასაგებად თუ დასატირებლად, და ლაფში სანგრებისკენ, იოსებისკენ მიაბიჯებდა.

ნიავი კიბესთან მწკრივად ჩაყოლებულ დაფნის ღეროებს აცახცახებდა.

ბავშვები ვზას გაპყურებდნენ. მოსახვევიდან, სადაც ქალმა შეუხვია, ჯერ სროლის ხმა გაისმა, მერე საბარგო მანქანა გამოჩნდა. ძარიდან ჯარისკაცები ჩამოხტნენ და ქუჩას ფეხით დაუყვნენ. ბავშვები ეზოში გამოვიდნენ. გოგოს ჭადის ნატეხი ეკავა, ჯარისკაცები მესერ-მესერ მოაბიჯებდნენ, ფოსტალიონებივით ყველა ჭიშკართან ჩერდებოდნენ, სახლებში შედიოდნენ და უკან გამობრუნებულები შემდეგი ჭიშკრისკენ ინაცვლებდნენ.

ჯარისკაცის შეძახილზე ყველა მესერს ამოეფარა და მხოლოდ ლულები გამოაჩინეს. ეზოში სამი შეეიდნენ. ორი მათგანი სახლისკენ გაიქცა, ერთი კი ბიჭს მიეარდა და საკელოში ხელი ჩაავლო. საფეთქლები ძლიერად უცემდა, გაფართოებული ნესტოებით სველ პაერს ისრუტავდა, ცალ მუხლზე ჩაკეცილიყო და ბიჭს ეფარებოდა. ტანსაცმელი ლაფში ამოგანგლოდა და კარაბინზე დენთის სუნი უდიოდა, რომელიც ცალ ხელში ჩაეხლუჯა. ბიჭი მაშინლა გაათავისუფლა, ორნი რომ სახლიდან გამობრუნდნენ. ერი-ეროს იოსებ ქარცხიას სანვიმარი ეკავა და ათვალიერებდა. კიბეები ჩაიარა, სანვიმარს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, დაყნოსა და დაფნებთან მიაგდო. მესერის უკან ჩამალულებიც გამოჩნდნენ. იმათაც სველი პაერი შეისრუტეს.

გოგოს თავი დაეხარა. ნუხელ იოსებ ქარცხიას სანვიმარი სახლში დაეტოვა, რომელიც ახლა დაფნებთან ეგდო. გოგოს რაღაც გაახსენდა, სულ უმნიშვნელო რამ — არყით მთვრალი იოსებ ქარცხია ოთახში დააბიჯებდა. სიმთვრალისაგან თავს ვერ იმაგრებდა და იქით-აქეთ ირნეოდა. მერე გოგოლოგინიდან ამოიყვანა, საცვლების ამარა მხრებზე შეისვა. თავისი სანვიმარი ეცვა და თევზის სუნი უდიოდა. დადიოდა და ქანაობდა. პოი, პოი, არ გადმოვვარდეო, ფიქრობდა გოგო.

ჯარისკაცებმა თავიანთ ენაზე ჩაილაპარაკეს, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდათ. ჩაილაპარაკეს და ეზოდან გავიდნენ. ის კი, კარაბინიანი, უკან მიბრუნდა, ბიჭს თითი დაუქნია და ჩექმიანი ფეხი ჭის პირზე შეეშოდო. გამიწმინდეო, ანიშნა თითით. როცა ბიჭი მიუახლოვდა. ბიჭმა წყლიანი ვედრო ახლოს დაიდგა, ჩვარი ჩაასველა და ჩექმიდან ტალახი ჩამორეცხა. მეორე ჩექმაც რომ გაუწმინდა, ჯარისკაცმა ფეხსაცმელი მწვანეზე დაიფერთხა, შებრუნდა და სხვების კვალდაკვალ ჭიშკრისკენ გაემართა. მიაბიჯებდა და ჩექმებზე შეფდებული ლაფი ეცრობოდა. ბიჭმა ჯარისკაცს, უფრო სწორედ, მის ჩექმებს გააყოლა თვალი.



23 მარტი, 1996 წ.

ზვიად რატიანი

ამერიკული ლექსი

წერილი მეორე

თავისუფლება ზოგადი ცნებაა და მოცემულ შემთხვევაში გარკვეულ დაკონკრეტებას საჭიროებს. უნდა ითქვას, კერძოდ რაში გამოვლინდება იგი. XX საუკუნის ამერიკულ პოეზიასთან მიმართებაში, თავისუფლებას, ჩემი აზრით, ერთადერთი ძირითადი გამოხატულება აქვს — ესაა მარტივი აზრის მარტივად გადმოცემის კულტურა. სახეზია შემდეგი ფორმულა:

პოეტის დაკვირვების ობიექტი = რეალური, ყოველდღიური ყოფა.
სათქმელის გადმოცემის ფორმა = მსუბუქი, გასაგები ენა.

ამ მხრივ ნიშანდობლივია XX საუკუნის გარიჟრაჟზე ამერიკულ პოეზიაში თითქმის ტენდენციად ქცეული „პორტრეტ-ლექსების“ მთელი სერიალი, რომელმაც, ყველაზე მეტად, ედვინ ალდინგთონ რობინსონისა და ედგარ ლი მასტერსის შემოქმედებაში იჩინა თავი. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პორტრეტული ლირიკა არც XIX საუკუნის ამერიკული პოეზიისთვის ყოფილა უცხო ხილი; მაგალითისათვის გავიხსენოთ ჰენრი ლონგფელოს მიერ შექმნილი ციკლი — „შექსპირი“, „ჩოსერი“, „რობერტ ბერნსი“, „კითსი“ და სხვანი. მაგრამ საქმეც ისაა, რომ რობინსონი და მასტერსი, ლონგფელოსგან განსხვავებით, ქმნიან არა გამოჩენილ მწერალთა ან სხვა ცნობილ პიროვნებათა პოეტურ სახეებს, არამედ რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანების პორტრეტებს. ორივე პოეტმა, რობინსონმა და მასტერსმა (მართალია, გადმოცემის სხვადასხვა ფორმებით: რობინსონმა ტრადიციული ლექსით, მასტერსმა კი ვერლიბრით), შექმნეს წარმოსახვითი, ირეალური ქალაქები, ტილბიური-თაუნი და სპუნ-რივერი, რომლებშიც ცხოვრობენ მათი ლექსების გმირები, წარმოსახული მოქალაქენი. უნდა ითქვას, რომ ედგარ ლი მასტერსმა ეს იდეა გაცილებით წარმატებულად განახორციელა, ვიდრე რობინსონმა. ამ უკანასკნელის ლექსებში თვალშისაცემია ქაოტურობა, ტილბიური-თაუნის სერიით შექმნილ ნაწარმოებებს ნამდვილად აკლიათ ის შეკრულობა, რომელიც ზოგადი იდეით მოეთხოვებათ. ლაპარაკია წიგნის მთლიანობაზე, თორემ თითოეული ცალკეული ლექსი თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს. მასტერსის „სპუნ-რივერის ანთოლოგია“ კი სწორედ რომ დასრულებული და კომპოზიციურად შეკრული წიგნია. პოეტი ხატავს პატარა ამერიკული (გამოგონილი) ქალაქის სასაფლაოს და თითოეული ლექსი აქ განსვენებულ მოქალაქეთა ავტოეპიტაფიებს, უკეთ — მცირე მონოლოგებს წარმოადგენს, სადაც მკვდრები იგონებენ თავიანთ წარსულს, საუბრობენ ერთმანეთზე, და ამ მონოლოგებით იხატება პატარა ქალაქი, სპუნ-რივერი, იქმნება ის ინტიმი, რომელიც, ალბათ, მიუღწეველია ტრადიციული, მაღალფარდოვანი პოეზიისათვის. „სპუნ-რივერის ანთოლოგია“ სრულიად მოულოდნელად იქცა ბესტსელერად, ხოლო პორტრეტული ლირიკა დამოუკიდებელი ჟანრის სტატუსით დამკვიდრდა ამერიკულ პოეზიაში. ამ ჟანრმა — მართალია, უკვე სხვა, არამასტერსისეული კუთხით — საგულისხმო ადგილი დაიკავა ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ეზრა პაუნდი და ტომას ელიოტი. საცხოვრებლად ინგლისში გადასულმა პაუნდმა 1909 წელს გამოსცა კრებული „მოქმედი პირნი“, რომელშიც წამყვანი ადგილი სწორედ პორტრეტ-ლექსებს ეკავა. 1917 წელს, ასევე ინგლისში, გამოდის ტომას ელიოტის პირველი წიგნი, „პრუფროკი და სხვა დაკვირვებანი“. წიგნის ცენტრალური ნაწარმოები — „სამიჯნურო სიმღერა ჯ.ალფრედ პრუფროკისა“ — პორტრეტული ლირიკის ერთ-ერთ შედევრს წარმოადგენს. ამავე წიგნში ვხვდებით ამ ჟანრის სხვა ნაწარმოებებს — „კუზინა ნენსი“, „მისტერ აპოლინაქსი“, „დეიდა ჰელენი“.

ედგარ ლი მასტერსი
1868-1950

ფრენკ დრამერი

ბნელი სენაკიდან ამ ნესტიან საპყრობილეში —
ოცდამეხუთე გაზაფხულზე დახუჭო თვალი!
უძლური იყო ჩემი ენა, რომ გადმომეცა ყოველივე, რაც დუღდა ჩემში,
ამიტომ იყო, რომ ქალაქში გიყადა მთვლიდნენ.
და მაინც, ერთხელ, თუნდაც ერთხელ,
რაღაც მაღალი, ზენამდვილი მიზანი გაკრთა
და ჩემს სულში გაიბრწყინა მკაფიო ხილვად.
ბუნდოვანი გახსენებით გაოგნებული,
დიდხანს ვცდილობდი,
რომ ზეპირად დამესწავლა „ბრიტანული ენციკლოპედია“.

პორტრეტ-ლექსებზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ ეს მიმართულება, გარკვეულწილად, მეტაფორულ მოვლენად მეჩვენება: XX საუკუნეში იწყება ამერიკული ლექსის „დამიწების“, დემოკრატირების პროცესი, პოეზიაში მკვიდრდება რიგითი ამერიკელის სახე.

რადგან ვახსენეთ ტომას ელიოტი, ისიც უნდა განიმარტოს, რომ სრულებით არ ვაპირებ მისი შემოქმედების მოქცევას მოცემული წერილის კონტექსტში. ეს შეუძლებელია. ჩემს მიერ ხსენებული ტენდენციები ელიოტის პოეზიის მხოლოდ პირველ ეტაპზე შეინიშნება, თუმცა ამ პერიოდის ლექსებშიც იგრძნობა, რომ პოეტი გვთავაზობს შარჟებს და არა პორტრეტებს, და თითოეული ლექსი გულისხმობს ფონს — სწორედ რომ არაპერსონიფიცირებულს, ზოგადს. ელიოტის მთელი შემდგომი შემოქმედება, მისი პოეტური სიმწიფის ხანა, თანამედროვე ეპოსის შექმნის მცდელობას წარმოადგენს, და თუ ზოგჯერ, იშვიათად, მისი ლექსი კონკრეტულ ადამიანს, პერსონაჟს ჰგუობს, ეს პერსონაჟი მხოლოდ სიმბოლოა, სხვა არაფერი. ასეთ სიმბოლურ პერსონაჟებს წარმოადგენენ მისტერ შენიდან“ და ა.შ. პაუნდის მსგავსად, ევროპაში გადასახლებული ელიოტი ზოგადევროპული და მსოფლიო კულტურის ტრადიციებს მემკვიდრე და გამგრძელებელი უფროა, ვიდრე რომელიმე ქვეყნის (იქნება ეს ამერიკა თუ ინგლისი) ლიტერატურის წარმომადგენელი. შესაბამისად, მისი შემოქმედების გავლენის მასშტაბები ამერიკულ (და არა მარტო ამერიკულ) პოეზიაზე საკმაოდ არაადეკვატურია. ელიოტის შემოქმედება თავისთავად თვითკმარ მოვლენას წარმოადგენს, ერთჯერადი აქტია, თავადაა მიმდინარეობა, რომელიც ერთი ადამიანის ფარგლებში ჩაისახა, განვითარდა და დასრულდა. ასეა თუ ისე, ამერიკულ პოეზიაში, 30-იან წლებამდე მაინც, ტომას ელიოტის აშკარა გავლენაზე ვერ ვისაუბრებთ, თუ არ ჩავთვლით ჰართ ქრეინის, მერიენ მურისა და კიდევ რამოდენიმე პოეტის ადრეულ ლექსებს, რომლებშიც ელიოტის მხატვრული ესთეტიკის ზეგავლენა იგრძნობა.

რობერტ ფროსტი
1874 — 1963

საძოვარზე

დღეს გადავწყვიტე, ამოვწმინდო პატარა წყარო,
გადავაცალო დაცვენილი მასზე ფოთლები
(და გამჭვირვალე წყლის ცქერით ვხარობ).
ჩამომაკითხე, — მე აქ დიდხანს არ შევყოვნდები.

გავასეირნო ხბო მინდორში, მე გადავწყვიტე.
პატარაა და მეშინია, რომ არ დამიფრთხეს.
სულ დედას ეკვრის და მის ძუძუს ძლივს ავაწყვიტე.
არ შევყოვნდები მე აქ დიდხანს, — ჩამომაკითხე.

ეზრა პაუნდი
1885 — 1972

მისალმება

ო, თაობებო, გემოვნებით შემოსილთა და ცხოვრების
უგემოვნოდ გამტარებელთა.
მე დავესწარი მეთევზეთა ღარიბულ პიკნიკს,
ვიუნოხე მათი მყრალი სურნელი,
კბილგადმოყრილნი ხარხარებდნენ, ვუმზერდი და ჩამესმოდა
იმათი ხრინწი.
და ახლა თქვენზე ბედნიერი ვარ.
ხოლო ისინი ბევრად უფრო ბედნიერნი არიან ჩემზე,
თევზი კი წყალში მიცურავს და, სხვათა შორის, ხულ შიშველია.

ელიოტის ადრეული ლექსებიდან ერთ-ერთი „ალბომია“ — „ალბომი ანა �ოსა“ — ეხება ანა ვოსის ცხოვრებას, ანა ვოსი — „ულამაზესი ქალი ინგლისში“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელი ბოლოდროინდელი“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ ბოლოდროინდელ“, ანა ვოსი — „ბოლოდროინდელ

...თუ ცოცხალი არსება, და განგებ აწვ-...ს მკითხველს მშრალ, განვრცობას მო-...ებულ სურათებს; იგი ცდილობს, ...-ერთი დეტალის პრიზმაში დაინა-... მთელი. ცდილობს და გამოსცდის კი-... იმ პერიოდის ამერიკულ პოეზიაში ...ილიამსის მეთოდს ანალოგი არ გააჩ-... თუ არ ჩავთვლით უოლეს სტივენ-...ს ლექსებს, რომლებიც „ირიბად“ ენა-...სავებიან უილიამსისას. საკმაოდ გვი-..., 50-იან წლებში, გამოჩნდნენ პოე-...ები, რომლებიც საკუთარ თავს უილი-...სის მოწაფეებად მიიჩნევდნენ; ვგუ-...ისხმობ ე.წ. „ბიტნიკებს“, —დენიზ ...ვერტოვის, ალენ გინსბერგისა და ჯე-... დიკის თაობას.

10-იანი წლების მიწურულისათვის, ...ალმა, თავისუფალმა პოეტურმა ფორ-...მამ თითქმის სრულიად განდევნეს ავა-...ნიდან ტრადიციული ლექსი, რომე-...საც საბოლოო დამარცხება არ ასცდე-...ოდა, რომ არ გამოჩენილიყო ისეთი გა-...ქვეთილი ნიჭის პოეტი, როგორიც იყო ...ობერტ ფროსტი, შემოქმედი, რომელ-ფროსტმა თავისი შემოქმედების საყრ-დენად. მას შეეძლო, იუველირის ოსტა-ტობით შეერჩია სიტყვები და ლექსებისთვის საოცარი მგრძნობელობა მიენიჭე-ბინა. 30-იან წლებში კრიტიკოსები ჯერ კიდევვარაუდობდნენ, რომ ფროსტი, ადრე თუ გვიან, მოდერნისტებს შეუერ-თდებოდა, მაგრამ პოეტი სიცოცხლის ბოლომდე თავისი შემოქმედებითი პრინ-ციპების ერთგული დარჩა. სწორედ მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ 30-იანი წლებისთვის ამერიკულ პოეზი-აში კვლავ იმძლავრა ტრადიციულმა ფო-რმამ, რომელმაც ახლებური ჟღერადობა შეიძინა ისეთი პოეტების შემოქმედება-ში, როგორებიც იყვნენ ჯონ ქროუ რენ-სომი, ალენ ტეიტი, ედნა სენტვინსენტ მილეი და სხვები.

ფროსტის ანტიპოდი იყო კარლ სენ-დბერგი — ალბათ, ყველაზე თანამედ-როვე პოეტი იმ პერიოდის ამერიკულ პო-ეზიაში. სენდბერგმა ხელაღებით უარყო თავის შემოქმედებაში რითმა, და საერ-თოდ — ყველაფერი, რაც ტრადიციულ

უილიამ კარლოს უილიამსი

1883 — 1963

ასახავენ სენდბერგის პოეზიის არსს — მის ლექსებში ირეკლე-ბოდა XX საუკუნის ამერიკა, ისეთი, რო-გორიც იყო, ყოველ-გვარი შელამაზებისა და, რაც მთავარია, ფერთა გამუქების-გარეშე.

20-იანი წლების მიწურულს ამერი-კულ პოეზიაში ხდება განსხვავებულ ჟანრ-თა და მიმდინარეო-ბათა ბალანსირება. უკვე ჭირს რომელიმე კონკრეტული სტი-ლის ლიდერობაზე საუბარი. 10-იანი წლების მოდერნის-ტულმა „რევოლუ-ციამ“ სტაბილური იერსახე მიიღო და ლოგიკურად დასტ-მო მეამბოხის სული-სკვეთება. სწორედ ამ პერიოდში გამოდის ასპარეზზე ერთ-ერ-თი ყველაზე საინტე-რესო პოეტ-ექსპე-რიმენტატორი, ედ-ვარდ ესტლინ კამინ-გსი. კამინგსი ექსპერიმენტირებს ყველა-ფრით — ენით, ფორმით, თემებით. მისი ექსპერიმენტების საყრდენს პოეტის კრი-ტიკული აზროვნება წარმოადგენს. მის შემოქმედებას ახასიათებს ზედმეტად თამამი ირონიულ-პაროდიული ხედვა, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ კამინ-გსი მუდმივად აკონტროლებს საკუთარ ექსპერიმენტს, არ აძლევს მას თვითმიზ-ნად ქცევის საშუალებას. კამინგსი ნიჭი-ერი, ჭკვიანი ავანგარდისტია, მისი ყოვე-ლი ლექსი ნათელი და გამჭვირვალეა. ის თვითგანმეორებებიც კი, რომლებიც მრავლად მოიპოვება მის შემოქმედებაში და რომლებიც, ალბათ, გარდაუვალნი და მოსალოდნელიც კი იყვნენ ამ ლექსების ექსპერიმენტული ხასი-ათიდან გამომდინარე, საკმაოდ ოსტატურად არიან შენიღბულნი და მკითხველში არანაირ უარყოფით რეაქციას არ იწვევენ. კამინგსმა, ჩემი აზრით, დაასრულა ახალი ამერიკული პოე-ზიის ფორმირების პირ-ველი ეტაპი, რომელიც სამი ათეული წლის მან-ძილზე გრძელდებოდა.

20-იანი წლების მიწურულისთვის ამე-რიკული პოეზიის ყველა ნაკადმა თავისი სადინა-რი იპოვა.

წინამდებარე წე-რილში მე ვისაუბრე მხოლოდ რამოდენიმე პოეტზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ იმ პერიოდში მოღ-ვაწე სხვა პოეტების შე-მოქმედება ნაკლებ მნი-შვნელოვნად მიმაჩნია. განსახილველი პოეტე-ბის შერჩევა არ მომხ-დენია უპირატესობის პრინციპით. მით უფრო, ეს არ მომხდარა ჩემი, როგორც მკითხველის, პირადი სიმპათიებიდან გა-მომდინარე. მე, უბრალოდ, ვთვლი, რომ პოეტები, რომლებზეც ვისაუბრე, რობინსონი, მასტერსი, პაუნდი, ელიო-ტი, ფროსტი, უილიამსი, სენდბერგი, კა-მინგსი, — თავ-თავიანთი შემოქმედებით ცალკეულ მიმდინარეობებს, ლიტერა-ტურული სპექტრის ნაირსახეობებს გა-ნასახიერებენ და ქმნიან იმ ზოგად სუ-რათს, რომელიც შეგვიძლია ვიმსჯე-ლოთ ამერიკულ პოეზიაში მიმდინარე პროცესებზე XX საუკუნის პირველი სამი ათწლეულის განმავლობაში.

პროლეტარული პორტრეტი

დიდრონი და ახალგაზრდა უთავსაფრო ქალი
წინსაფრით

და უკან გადაჭიმული თმებით
ქუჩაში მდგარი

წინდამოცმული ცალი ფეხით
ტროტუარის კიდეს ეყრდნობა

ხელში უჭირავს ფეხსაცმელი და დაკვირვებით
დასჩერებია

მერე იქიდან ამოაძვრენს ქაღალდის საფენს
და ეძებს ლურსმანს

ტომას სტერნზ ელიოტი

1888 — 1965

დეიდა ჰელენი

მის ჰელენ სლინგზბი, დეიდაჩემი, ხანში შესული შინაბერა.
ფეშენებლური სკვერის ახლოს ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა,
მოახლეთა მზრუნველობით გარემოცული.
ახლა, როცა ის მიიცვალა, დადუმდა ზეცა,
დუმილი მისი აღსასრულის დააჩნდა ქუჩას.
დარაბები ჩაირაზა, მესაფლავემ გაიწმინდა ფეხსაცმელები —
ეს ხომ მისთვის არ ყოფილა პირველი საქმე.
ძაღლი თავს გრძნობდა ნორმალურად,
მაგრამ ჟი, თუთიყუში მიიცვალა ორიოდ დღეში.
ბუხრის თავზე განუწყვეტლივ წიკწიკებდა დრეზდენული კედლის საათი.
მზარეული წამოსკუპდა სასადილო მაგიდაზე
და მუხლებზე დაიჭინა მოახლე გოგო,
რომელიც მუდამ სხვებზე მეტი მზრუნველობით
ეპყრობოდა მოხუც ქალბატონს.

...პრინციპულად უარყო მოდერნის-... მიერ შემოთავაზებული ახალი პო-... ფორმები, მაგრამ უარყო არა ...როც რეტროგრადმა, არამედ, პირი-... როგორც ნოვატორმა, რომელმაც ...ბულად აირჩია ყველაზე ძნელი და ...ყო გზა, რაც ტრადიციული ფორ-... და არატრადიციული სათქმელის ...ყმაში მდგომარეობდა. ფროსტი ...ით გვაგონებს თოკზე მოსიარულე ...ს: ერთი არაზუსტი, მოუზომავი ... და — მისი ლექსი მოსაწყენ აბდა-...ად იქცევა. ამას, როგორც ჩანს, თა-... პოეტიც გრძნობდა: მან, იქნებ თავის ...ევის მიზნით, თემატურ-შინაარ-...ვი ზღუდე დაუდო საკუთარ შე-...ედებას — ზურგი აქცია ქალაქს, ცი-...აციას, უარყო ზოგადსაკაცობრიო ...ლემების პოეტურ-ფილოსოფიური ...ის პრინციპი და მოახდინა მთელი ...ნიჭისა და ყურადღების მობილი-... სოფელზე, ბუნებაზე, ადამიანებ-... რომლებიც თავიანთი ყოფით მჭიდ-...ოდ იყვნენ დაკავშირებულნი მიწასთან. ...ერთი შეხედვით ღარიბული, სინა-...დვილეში კი — საკმაოდ ფართო და ...რავალფეროვანი ნიადაგი აირჩია ლექსთან იყო დაკავშირებული. მართა-ლია, სენდბერგი უიტმენის ერთ-ერთ ძი-რითად მემკვიდრედ ითვლება, მაგრამ მის ლექსებში (თუ არ ჩავთვლით ისეთ საყო-ველთაოდ აღიარებულ ნაწარმოებებს, როგორებიცაა „ჩიკაგო“, „ბალახი“, „ჯაზ-ფანტაზია“ და სხვანი) იშვიათად შეხვდე-ბით იმ ჰარმონიულ რიტმებს, რომლებიც უიტმენის ვერლიბრისთვისაა დამახასია-თებელი. სენდბერგის მთელი ყურადღება გადატანილია დაკვირვების ობიექტზე, ოღონდ, უილიამსისგან განსხვავებით, არა ობიექტის რომელიმე ცალკეულ დე-ტალზე, არამედ ამ დეტალების ერთობ-ლიობაზე. მისი ლექსების უმეტესობა პუ-ბლიცისტურ ხასიათს ატარებს. სტრუქ-ტურულად პროზაულ ჩანახატებს უფრო გვაგონებენ, ვიდრე ლექსებს, და მაინც — სენდბერგი პოეტია, მისი ხედვაა პოე-ტური, რაც სტრიქონში გადმოცემული აზრის სისხარტეში გამოიხატება და არა ლექსის გარეგნულ იერსახეში. 60-იანი წლების მიწურულს ჩარლი ჩაპლინი წე-რდა: „მე მიყვარს სენდბერგის პოეზია. მის შემოქმედებაში ცოცხლობს ერთი ადამიანის სამყოფი ამერიკა. ეს არც ისე ცოტაა“. ჩაპლინის ეს სიტყვები ზუსტად

ედვარდ ესტლინ კამინგსი

1894 — 1963

\+ \+ \+

ჯერ იყო ჯაკი იგი.
მოკლეს თანაც როგორი ლამაზი
ბიჭი მერე ჯეიმზი და
შემდეგ კი ერთი კარგად გავიხსენო
ჰო, მახსოვს ვილლი
ჭკუისკოლოფი
მოკლეს და კიდევ სულ პირტიტველა
ბიჭუნა მოკლეს ყველაზე ბოლოს ვეებერთელა
თვალები ჰქონდა მე ის მიყვარდა ვერც წარმოიდგენ
როგორ მიყვარდა ის ბიჭი ჰარრი და ჩემი
ღმერთიც მოკლეს სხვაც მოკლეს და ყველა მოკლეს

და შეარქვეს მათ მოკლულები

ედმუნდ კრისპინი

„ბოლიციასთან ხელმრობას არავის ვურჩევ. — თქვა ინსპექტორმა ჰაჰბლბიმ. — ჯერ ერთი, ხუმრობის მოყვარულს. როგორც წესი, დიდი უსიამოვნება ელოდება ხოლმე, მეორეც — თავისთავად ულამაზო საქციელია წესრიგის დამცველების დაცინვა.

ისე. ჩვენში დარჩეს, ერთი შემთხვევა კი მაგონდება — ამ ცოტა ხნის წინ მოხდა სწორედ, — როცა ხუმრობა დაუსჯელიც დარჩა და, უნდა ვაღიარო, მორალური თვალსაზრისით გამართლებულიც იყო".

ინსპექტორმა ულვაშებში ჩაიცინა და მოყოლა განაგრძო:

„ბეფიცებით, ამდენი არ გვიცინია მას მერე. რაც უფროსი ინსპექტორი ნოდი უინძორის სახახლესთან საკუთარი ლაბადის კალთებში გაიბლანდა და პირდაპირ მეფის ოჯახის თვალწინ გაიშხლართა... მითხარით ერთი, დეტექტივ სნოდგრასს თუ შეხვედრიხართ როდისმე?"

ჯერვას ფენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

„ვიფიქრე, როგორც ლიტერატურის პედაგოგს, შეიძლებოდა გცნობოდათ. ჩვენთან, სკოტლენდ-იარდში მთავარ სპეციალისტად ითვლებოდა ლიტერატურული სიყალბეების გამოვლენის საქმეში. თუმცა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ. მინდა თავიდანვე აგიხსნათ, ცუდი ადამიანი კი არ არის ბუნებით. ხასიათი არ უვარგა — სულ საკუთარ თავშია ჩაკეტილი. სულ ეჭვები აწუხებს. ერთს არ გაიცინებს და თან, არისტოკრატებს ვერ იტანს დასანახად. ლორდ უოთერბრიჯთანაც ამიტომ მოუვიდა კონფლიქტი".

„ეგ რომელთან, დიდი საგამომცემლო ფირმის პატრონთან?"

„სწორედ ამასთან. თუმცა, სნოდგრასს იმდენად უოთერბრიჯი გამომცემელი არ შეეცინა, რამდენადაც ათასნაირი დოკუმენტების და ლიტერატურული ძეგლების კოლექციისადმი ჩემს ნაჭმობში ამას მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ლორდი უოთერბრიჯი მართლაც შესანიშნავი კოლექციის მფლობელია და ლიტერატურული სიყალბეების ყველა ნიუანსშიც ზედმიწევნით ერკვევა. ცოდნასთან ერთად, რა თქმა უნდა, სახსრებიც და აუცილებელი ლაბორატორიული მოწყობილობებიც ჰოეკოვება ყალბი დოკუმენტების საკუთარი ხელით დასამზადებლად.

ცხადია, თანამონაწილეებიც ჰყავდა — სხვადასხვა დარგის ტექნიკური სპეციალისტები, მაგრამ სნოდგრასმა მაინც ვერაფრის დამტკიცება ვერ მოახერხა. მე მგონი, ლორდმა უოთერბრიჯმა მთელი ამ საქმის გასაიდუმლოება ყველაზე მარტივი გზით მოახერხა: უბრალოდ, თანაშემწეებსაც გაანდო ჩაფიქრებული ოინის დედააზრი.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო. ყველაფერი ამ ხუთიოდე წლის წინ დაიწყო, როცა გარკვეული პრობლემები წარმოიქმნა ერთ ნაწარმოებთან დაკავშირებით, რომელიც უოთერბრიჯმა მიჰყიდა მეორე კოლექციონერს. გაჩნდა ეჭვი, ეს ნაწარმოები ყალბი ხომ არ არისო.

საქმეს სნოდგრასი იძიებდა. ჩვენში დარჩეს და, წინასწარი მოკვლევის დროს უოთერბრიჯს, რომლის უდანაშაულობაც საბოლოოდ დამტკიცდა, მართლაც ვირუოლად ეჭცეოდა. იმდენად გამომწვევად და უხეშად, ლორდს თამამად შეეძლო გენერალურ კონსულთან ეჩივლა. მაგრამ, უოთერბრიჯი ასე არ მოიქცა. სულ სხვა იდეა დაებადა.

ამ იდეამ პირველი ნაყოფი მხოლოდ ექვსიოდე თვის წინ გამოიღო, ოქედანაც ჩანს რა გულმოდგინედ ემზადებოდა ლორდი შურისძიებისათვის.

ისე მოხდა, რომ ვინმე უოზერსი (უეჭველია, მან ლორდის გეგმის დეტალები ზედმიწევნით იცოდა), სკოტლენდ-იარდში მოგვადგა და განაცხადა, ძველი წერილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ლორდმა უოთერბრიჯმა მომყიდა, ნაყალბევი მგონიაო. წერილში გადახდილი თანხა სახსენებლადაც არ ღირდა — სულ რამდენიმე ფუნტი სტერლინგი. მაგრამ მთავარი სხვა იყო. თუ დოკუმენტი მართლა ყალბი გამოდგებოდა და თან დამტკიცდებოდა, რომ ამის შესახებ უოთერბრიჯმა თავიდანვე იცოდა, შესაძლებელი გახდებოდა მისთვის ყალთაბანდობის ბრალდების წაყენება. ლორდის, ინგლისის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის საბრალდებო სკამზე დასმა ხუმრობა არაა — წარმოიდგინეთ რა მგზნებარებით შეუდგებოდა ძიებას სნოდგრასი!

წერილი 1716 წლის 9 აგვისტოთი იყო დათარიღებული და სავარაუდო ავტორად ვინმე თომას გროუტი ითვლებოდა. იმედი მაქვს, ცნობილი გამომცემლის, ედმუნდ კურლის სახელი გაგონილი გაქვთ?"

„რა თქმა უნდა", — თავი დააქნია ჯერვას ფენმა. — „მაგაზე არ ამბობდნენ. მისი წიგნების წაკითხვის მერე სიკვდილის კიდევ უფრო მეტად გეშინიაო?"

„სწორედ მაგაზე. ჰოდა, იმას მოგახსენებდით — თომას გროუტი კურლის ფირმაში მუშაობდა კლერკად. სხვა მის შესახებ ფაქტობრივად არაფერია ცნობილი. არც მისი ხელწერის სხვა ნიმუშებს მოუღწევია ჩვენამდე. მისი წერილი — რომელიც ლორდმა უოთერბრიჯმა უიზერსს მიჰყიდა — ძირითადად იმდროინდელი ლიტერატურული და საგამომცემლო სამყაროს ჭორებს შეეხებოდა და მხოლოდ მინიმალური ისტორიული ინტერესი შეიძლებოდა გამოეწვია: ისიც იმიტომ, ერთ ჩვენს დიდ პოეტზე საკმაოდ უწმაწური და, უნდა გითხრათ, ყოვლად უმარილო ანეკდოტი რომ იყო მოხსენიებული.

თავს არ შეგაწყენთ ყველა იმ ტექნიკურ მეთოდზე დაწვრილებით ლაპარაკით, რაც სნოდგრასმა წერილის ნამდვილობის შესამოწმებლად გამოიყენა. ისინჯებოდა ქაღალდის შედგენილობა, ზომა, ნიშნები... მერე — მელნის ქიმიური შემადგენლობა, ყველა ცვლილება, რაც მას ორასზე მეტი წლის მანძილზე შეეძლო განეცადა. სნოდგრასმა გულდასმით გამოიკვლია ყოველი უმცირესი ლაქაც კი — აინტერესებდა, ეს ლაქები მელნის ფენის ზემოდან იყო თუ არა. კალიგრაფიაც გააანალიზა, სიტყვათა შეთანხმებაც, შეამოწმა წერილში ნახსენები ყველა ისტორიული ფაქტი, რისი შემოწმებაც კი შეიძლებოდა. ამას დაუმატეთ ულტრაიისფერი სხივები და სპექტრალური ანალიზიც! ცხადია, ამგვარი არსენალის პატრონ სნოდგრასს, არ უნდა გასჭირვებოდა ჩვეულებრივი ფალსიფიკატორის საშკარაოზე გამოყვანა.

მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ლორდ უოთერბრიჯს ჩვეულებრივი ადამიანების კატეგორიას ნამდვილად ვერ მიაკუთვნებ — ვერც ერთი თვალსაზრისით. ამიტომაც, წარმატების ნაპერწკალი მხოლოდ მაშინღა გაკრთა სნოდგრასის თვალში, როცა კითხვა გაუჩნდა — როგორი კალმითაა წერილი დაწერილიო? აღმოჩნდა, რომ ლითონის კალმით იყო ნაწერი, ლითონის კალმიანი კალმისტრები კი ფართო მოხმარების საგნად მხოლოდ დაახლოებით 1780 წლიდან იქცა, ეს ეჭვმიუტანელ ფაქტად ითვლება.

ასეთი აღმოჩენის შემდეგ, წესით, სნოდგრასს ცოტა სული უნდა მოეთქვა და კარგად დაფიქრებულიყო. ყველა შეცდომას შორის, რაც უოთერბრიჯს შეეძლებოდა დაეშვა, ეს ყველაზე ნაკლებად სავარაუდო ჩანდა. მართლაც, ჩემი კოლეგა ასე ძლიერ რომ არ ყოფილიყო მოწადინებული, ბელისუფლებაში თორების პარტიის მოსვლისთანავე, დათვის შესახვევს სახელი გადაარქვეს და უოლპოლ-ლეინი უწოდესო. ასე და ამგვარად, თუკი რეკლამის ავტორმა საკუთარი მისამართი არ იცოდა...

ლორდს მეორედაც წარედგინა სიყალბის მამხილებელი ხაბუთი, მან კი, ამჯერადაც „სრულიად შემთხვევით", მისი გაბათილებაც მოახერხა. ახლა უკვე გამომცემელ ლინტოტის წერილის ხაშუალებით, სადაც გარკვევით იხსენიებოდა — „მდიდარი ვაჭარი და თვითნასწავლი გამომგონებელი უოტონი, ვიგების ერთგული მომხრე და კონსერვატორების დაუძინებელი მოწინააღმდეგე, „ჭირვეული ბავშვის სიჩიუტით ამბობს უარს ქუჩის ახალი სახელწოდებით ისარგებლოსო". ვერაფერს იტყვი, მოტივი ლოგიკურია. დღესაც ასევე მოიქცევა ნებისმიერი ლეიბორისტი, თუკი მის ხაყვარელ ქუჩას უცებ რატომღაც ჩერჩილ-ლეინად მონათლავს ვინმე.

ეტყობა, სწორედ ამ წუთიდან ბოლოს და ბოლოს დაიწყო სნოდგრასის თვალისახელა, მიხვდა, უბრალოდ მასხარად მიგდებენო. ოღონდ, ისე ღრმად ჰქონდა შეტოპილი, უკანაც ველარ დაიხევდა ეს წერილიც საფუძვლიანად შეამოწმეს ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით. ამანაც გაუძლო ყველა ტესტს, გარდა ერთისა. ეს თითქოს მართლაც სერიოზული გაუფრთხილებლობა ჩანდა: წერილი არამყარი ხელით, აცა-ბაცა ასოებით იყო ნაწერი, რაც სრულებით არ ჰგავდა სხვა მრავალი ნიმუშითაც ნაცნობ ლინტოტის კალიგრაფიას...

უოთერბრიჯმა ნამდვილად გენიალურად დააგვირგვინა თავისი ჩანაფიქრი.

„დააგვირგვინა?" — გაუკვირდა ჯერვას ფენს. — „არ გეკამათებით. მართლაც გენიალური ოინია, ოღონდ ვერ მივხვდარვარ, როგორ დავიდა ყველაფერი ლინტოტის ხელნაწერამდე".

ჰამბლბიმ აშკარად კმაყოფილმა ჩაიღიმა.

„მანდ შეიკრა სწორედ მოჯადოებული წრე. გროუტის წერილში, საიდანაც როგორც გახსოვთ, დაიწყო კიდეც ყველაფერი, სხვა ჭორებსა და ახალ ამბებს შორის, ერთი ასეთიც ერია: „ამბობენ, ამ დღეებში გამომცემელ ლინტოტს დაბადება დაეცაო. საცოდავი ცოცხალი კი გადარჩენილა, მაგრამ იმის ნაწერს თურმე ვერარ იცნობ კაცი".

დანარჩენი უკვე ნათელი უნდა იყოს თქვენთვის. სნოდგრასი გროუტის წერილის სიყალბეს უოტონის განცხადების სიყალბის დაუმტკიცებლად ვერ დამტკიცებდა. განცხადების ფალსიფიკაციის დასამტკიცებლად ლინტოტის წერილის სიყალბის დამტკიცება იყო აუცილებელი, რაც გროუტის წერილის სიყალბის დამტკიცებამდე არანაირად არ მოხერხდებოდა...

ეს ამბავი მთელ სკოტლენდ-იარდში გახმაურდა. ბედოვლათი სნოდგრასი კანონიერად ლოგინად ჩავარდა, უფროსობა იძულებული შეიქნა, სამკურნალოდ გაეგზავნა. სხვათა შორის, მალე დაბრუნდება და ყველას გულწრფელად გვინდა გვჯეროდეს, ასეთმა დარტყმამ საბოლოოდ რომ არ წაუხდინა ხასიათი".

სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)

თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,

ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია

თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მოამსახურეები)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

25 მარტი
(12 მარტი ძვ.სტ.)
(1917 წ.)

ეკლესიის არსებობა
...ომე ქვეყანაში, რომელიმე
...ღვთის მადლია, ავტო-
...ობა. უკვე მის შვილთა
... და სულიერ შესაძლებ-
...ბზეა დამოკიდებული: თუ
... ისინი მზად შინაგანი
...მართველობისთვის, საეკ-
... იერარქიისა და მის
...ეთა საკუთარი ძალებით
...ებლობისთვის, ქრისტიანუ-
...ნივერსალობის წმიდად და
...ალავად სატვირთად და
...ვად.
...ეიძლება მოგვეჩვენოს, რომ
...ეფალობა ეკლესიისა სა-
...ფოებრივი დამოუკიდებ-
... სასულიერო ეკვივალენ-
... მაგრამ ეს არ იქნება
... სწორი. ეს ორი ხაზი
...თვის არ მისდევს ერთ-
... პარალელურად. ეკლესი-
... თავისთავადობა უფრო მეტ
...ეს მოითხოვს ხალხისგან,
... პოლიტიკური დამოუკი-
...ება. ქვეყანა შეიძლება
...ანდეს იძულებით ან გა-
...ძალით, მოიპოვოს და
...ონოს დამოუკიდებლობა
...ით, შეიარაღებული წი-
...ეგობით, მაგრამ სად უნ-
...ოს ხალხმა ის სულიერი
... რწმენა, რაც ეკლესიის
...იდებლად აღშენებასა და
...ნებას სჭირდება, თუკი
... არ იქნება საამისოდ
...ებული?
...კეფალია ერის სული-
...რდისა და სიმწიფის
... მაგრამ მას ახლავს
... „გადამწიფებისა“, გადა-
... ეკლესიურ ნაციონალი-
...ცა ადგილობრივ ერო-
...თავისებურებათა წინ
...თ და გააბსოლუტირე-
...ესია წყდება იმ წყა-
...დანაც ის აღმოცენდა
...ულიც ეგებავს მას.
...ვინმე არა დაადგოს
... განვარდეს გარე
...ნასხლევი (ვაზი) და
... (ი.15,6).
...ეიძლება მოხდეს, როცა
...ელია, რომ ავტოკეფა-
...რის ზოლოდ ლიტონი
...ებლობა, თვითმმართ-
... უფლება, საკუთარ
...და ძალებზე. დაფუძნე-
...ორგანიზაცია იერარქიისა,
... პასუხისმგებლობა,
...და მთელი სინამდვილით
...ბა იმ ჭეშმარიტებისა,
...ოციქულმა რომ გაუც-
...ალელთა ეკლესიას და
...საუკუნოდ განსაზღვრა
... ეკლესიის რაობა: „სა-
...არა არს წარმართი
...და ჰურია, წინადაცვე-
...და წინადაუცვეთელო-
...�ი, სკვითი, მონება,
...ება. არამედ ყოვლად
... შინა ქრისტე“
... და სხვაგან: „ერთ
...ქრისტე იესოს“ (გალ.

...ტური აზრით, თუ
...ავთ საეკლესიო პო-
... ყოველი ეკლესია,
...ება ევქარისტიის სა-
...ღა ეს უფლება
... აქვს ყოველ ტრა-
...ტოკეფალურია. ასე
...ალად. მართლაც, იმ
... ნაწილში ქრისტეს
... და ხორცად გარდაქ-
...ენისა და პურისა,
... ეზიარება მორწმუნე,
... ქრისტე მთლიანად,
... ნაწილი მისი — ეს
... გამოხატავს კათო-
...ლიკეთის საიდუმლოებრივ
... საკვირველი იგივე-
... ...ისა და ნაწილისა,
...ანის გონება ვერ
... შეიძლება სეკულა-
...ოფათის წინაშე იდ-

გეს, როცა ქახელმწიფო პოლიტიკას დაექვემდებარება და იარაღი ხდება გარეშე (პროფანული) ძალის ხელში მისთვის უცხო და წარმავალი მიზნების მისაღწევად... ამ დროს ბატონდება პროფანული თვალსაზრისი მის მოწოდებაზე. წარმავალი პოლიტიკა ცდილობს ამსახუროს ეკლესია თავის ინტერესებს, ამოიყენოს მხარში, რისი მოწმენიც გავხდით ჩვენ ამ ახლო წარსულში. უფრო ადრე, ამ საუკუნის დასაწყისში, წარმოითქვა მოსწრებული და ამის გამო ხანმოკლე მოქმედების რეპლიკა, რომელსაც დაჩაგრული ქართველი პატრიოტი ყოველთვის სიამაყით და ნიშნის მოგებით იხსენებდა: **Когда ваши предки в лесу бродили, наши предки Евангелие переводили,**

სადაც მასპინძელი უკანასკნელ ადგილზე მჯდარს „ზემო კერძო“ მიიწვევს (ლ.14,10), და ქრისტეს სიტყვები: „ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა და უკანანი წინა“ (მ.19,30). გავიხსენოთ, რომ დავტოვოთ ამაო ზრუნვა წარმავალზე, როცა ჩვენი ფიქრები ეკლესიას მიემართება...

ეკლესიას, როგორც ქრისტეს სხეულს, გადალახული აქვს ყოველგვარი საზღვრები და ყოველ რეალობაზე და საფეხურზე აღმატებულია, ყველა სახალხო მოწოდებაზე და იზმზე უპირატესია, ვინაიდან ვის შეუძლია ჰკრეტდეს ერის ჭეშმარიტ ინტერესებს უფრო ღრმად და მთელი სისავსით მის ესქატოლოგიურ პერსპექტივაში, ვიდრე ეს ეკლესიას შეუძლია,

მთელისა, მაგრამ როგორც ყოველი ანტინომია და პარადოქსი, ესეც რწმენაში პოულობს გახსნას: ქრისტეს ხორცი მრავალთათვის არის განტეხილი, მაგრამ ის ერთიანია... განტეხილია ქვეყნებში, ხალხებში, ენებში, მაგრამ ერთია მისი მისტიური სხეული. ასეა ეკლესიაც. ეგნატე ღმერთშემოსილი (35-107) ასწავლიდა ფილადელფიის ეკლესიას, რომ „ერთი პური განეტეხა ყოველთათვის და ერთი სასუმელი განეყო ყოველთა და ერთი საკურთხეველი აღმართებულ არს ყოველთა ეკლესიათა შინა...“ ეს ერთი საკურთხეველია, რომ ანიჭებს ყოველ ადგილობრივ ეკლესიას უნივერსალობას და იცავს მას ეროვნულ ჩარჩოებში გამოკეტვისაგან. მისი ავტოკეფალობა ამ

ლური ეკლესიის არსებობას.

დაირღვა მესამე მსოფლიო კრების განჩინება „ნუმცა ვინ ღმრთისმოყვარეთა ეპისკოპოსთაგანი მიიტაცებს სხვისა სამთავროსა...“ დაიკარგა თავისუფლება, „რომელი თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ“ — ეს იმავე მესამე მსოფლიო კრების განჩინების სიტყვებია. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ტყვეობაში მოექცა და, რაც ყველაზე მეტი ბოროტება იყო, იგი იძულებით ჩააყენეს იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის სამსახურში.

ასწლოვანი ტყვეობის შემდეგ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ფენიქსივით აღდგა თავისივე არათუ ფერფლიდან, არამედ ღადარიდან, რომელიც არასოდეს განელებულა. ტყვეობაში მას არ სტოვებდა შეგნება თავისი სამოციქულო წარმოშობისა, უფლებააყრილს არ დაუკარგავს სულიერი აზნაურობა, მას აღმოაჩნდა ნება და საკმარისი ძალაც იმისთვის, რომ აღედგინა თავისთავადობა, თავისი პიროვნული ინდივიდუალობა. ეკლესიამ ავტოკეფალობა უფრო ადრე დაიბრუნა, ვიდრე ქვეყანამ — პოლიტიკური დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა მალევე დაიკარგა, ავტოკეფალია კი, ღვთის განგებით და შეწევნით, დარჩა. ეროვნულად გატეხილ, „მოწინავე“ იდეებით გატაცებულ, პარტიებად დაქუცმაცებულ საქართველოში ერთადერთი ძალა ისევ და ისევ სამღვდელოება იყო, რომელმაც ჭეშმარიტი შვილობა გაუწია თავის დედას — სამოციქულო ეკლესიას. მას გაჰყვა ერის შეგნებული ნაწილიც. ის ინარჩუნებდა „საერო“ პატრიოტიზმსაც, თავისი ეკლესიის ღირსებასთან ერთად და, მიუხედავად უცხოს მოძალებისა, წინააღმდეგობის სულით შეპყრობილი, არასოდეს ჩავარდნილა ფილეტიზმის, ეკლესიური ნაციონალიზმის საცთურში, არ დაუკარგავს ცოცხალი, მკვებავი უნივერსალიზმი.

საქართველოს ეკლესიამ, რომელმაც გამოიარა „უწმიდესი სინოდის“ ეპოქა, ჩვენს ხანაში, ჩვენს თვალწინ, წარმოშვა წმინდანები, რომელთაც, როგორც ხდებოდა დევნილებათა ხანაში, თავიანთი სისხლით დაადასტურეს ერთგულება ეკლესიის მიმართ, როგორც ჭეშმარიტმა აღმსარებლებმა, და კიდევ ის ჭეშმარიტება, რომ წუთისოფლის შვილთათვის არცთუ მოულოდნელ დაცემათა მიუხედავად, ქართველი ხალხი კვლავ რჩება ქრისტეს წმიდა სისხლით მოსყიდულ ერად. ახალმოწამეთა აღსასრულმა და მათი სახელების კანონიზაციამ კიდევ ერთხელ ისიც დაადასტურა, რომ ეკლესიის ისტორია პირობითი ცნებაა, რომ მის წარსულსა და აწმყოს შორის არ არის ის უფსკრული, როგორიც სამოქალაქო ისტორიაში ჩანს. ის ცხოვრობს შინაგანი მარადიული აწმყოთი: რაც იყო გუშინ, განაგრძობს ცოცხალ, ცხოველმყოფელ არსებობას დღესაც. ყოველ ლიტურგიულ აქტში ადამიანი განიცდის სიცოცხლის ამ უწყვეტელობას. ბიბლიმეობრივად დაღვრილი სისხლი ბრწყინავს იმ პირველმოწამიდან უკანასკნელ მოწამემდე. ამ განცდით ცხოვრობს ეკლესია და ყოველი მისი ერთგული შვილი.

ზურაბ კიკნაძე

მაგრამ ჩვენს წინაშე არ დასმულა უბრალო კითხვა: იყო თუ არა თავად ამ სიტყვების წარმომთქმელი იმ წინაპართა სულიერი შთამომავალი? არ გვახსენდება არც იგავი მეათერთმეტე მუშაკისა (მ.20,1-16), რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როდის არის ღვაწლი დაწყებული — დღეს, გუშინ თუ გუშინწინ. დღესაც გვხიბლავს ეს სიძველე, დღესაც მის საცთურში ვიმყოფებით.

ხშირად ვამაყობთ მისი სიძველით. ჩვენ გვსურს, რომ მას ეკავოს ის რიგითი ადგილი, რომელიც მას ჟამთა სვლამ მოუტანა, თითქოს სიძველე მისი დამსახურება იყოს და განსაზღვრავდეს მის ღირსებას. მაგრამ როგორც წმიდა სამებაში არ არსებობს დროჟამული სხვაობა მის პირებს შორის, როგორც ჩამოთვლის რიგი არ ნიშნავს მათ შორის იერარქიულობას — სამივე პირი ერთბუნებოვანია, ასევე ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას ერთი ბუნება აქვს და მათ ღირსებას არაფერს მატებს, არც აკლებს „რიგითი სათვალავი“. მოციქულთაგან შეუწყვეტლივ მომავალ ხელდასხმას არა აქვს ფროჟამული საზღვრები — მისი ჟამი მარადისობაა. აქაც უნდა გავიხსენოთ იგავი მეათერთმეტე მუშაკისა და იგავი ქორწილისა,

რადგან ის ამისთვის არის მოწოდებული. ის ინახავს ხალხთა და ენათა საიდუმლოს და ჩვენ ველით ახალ გამოცხადებას. ხილული ეკლესიის მოწოდება არ მთავრდება ამ წუთისოფელში, ის სცილდება მის საზღვრებს, გადადის მარადიულში, რომლის სახე იოანე ღვთისმეტყველმა გამოცხადებაში იხილა.

ეკლესია ქმნიდა, აყალიბებდა ერს, როგორც კაცობრიობაში არსებულ ინდივიდუალურ ზეპიროვნებას, მაგრამ არა ნებისმიერ საწყისებზე, მით ნაკლებად რაიმე იზმის საფუძველზე... ერს მიცემული აქვს შესაძლებლობა- გახსნას თავისი გული მის წინაშე, მის წიაღში, რათა აივსოს მარადიული შინაარსით, შევიდეს მისი კარიბჭით ახალ ცხოვრებაში. ხილულ ეკლესიას ინახავდა ერი, მაგრამ თავის მხრივ უხილავი ეკლესია ინახავდა ერს, აჰყავდა ხალხი, ბუნებრივი ქმნილება, ახალ საფეხურზე, სხვა თვისობრიობაში, რასაც ძველად „ახალ მოდგმას“ უწოდებდნენ.

ხილული კერძოობა ეთვისებოდა შინაგან უხილავ უნივერსალიზმს. ის გამოყენული იყო, თითქოს გამოცალკევებული იყო, მაგრამ კვლავ ერთიანობდა უნივერსალურთან. ეს თითქოს ანტინომიაა კერძოსი და უნივერსალურისა, ნაწილისა და

საკურთხეველთან ერთიანობაშია. აქ არის მისი თავისუფლება, მაგრამ ბუნებით თავისუფალმა ტყვეობაში გაატარა მთელი საუკუნე. საქართველოს სამოციქულო ეკლესია რუსეთის „უწმიდეს სინოდს“ დაქვემდებარებულ ეგზარხატად გადაიქცა (1811 წ.).

„უწმიდესმა სინოდმა“ მაგრად, სულისშემხუთველად ჩაიკრა გულში თავისი ერთმორწმუნე ეკლესია — ქრისტეს სძალი ქართველთა ქვეყანაში, რათა მესამე რომობის მოჩემე რუსეთის ეკლესიაში გათქვეფილიყო მისი პიროვნული ინდივიდუალობა მის შვილებთან ერთად. სინოდი მისი ობერ-პროკურორის განჩინებით ავტოკეფალურ ეკლესიას მოექცა იმ პრინციპის საწინააღმდეგოდ, რომელსაც მდუმარედ ეფუძნებოდა ბიზანტიის საეკლესიო პოლიტიკა იმ ეპოქაში, როცა ახლადმოქცეული ხალხები თავისთავადობისთვის მწიფდებოდნენ. ავტოკეფალია იმავე ძალამ გააუქმა, რომელმაც საქართველოს სამეფო გვირგვინი მიიტაცა. საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა გაუქმდა, რათა უფლებააყრილ ხალხს უკანასკნელი თავშესაფარი — მშობლიური ეკლესია წართმეოდა. იმპერია ვერ მოითმენდა თავის გუბერნიაში ადგილობრივი ავტოკეფა-

საკუთრება თავისუფლების უსიღრმესი თანამგზავრია

„მიწაზე კერძო საკუთრება წმიდათაწმიდაა, ხელშეუხებელია“.

ალექსანდრე II

მიწის რეფორმა მიწაზე უფლებრივი, უფრო ზუსტად, საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლაა. იგი ეხება სოციალურ სტრუქტურას, ძირეულად ცვლის საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათსა და წყობილებას. მისი მიზანი არა არსებული ურთიერთობების სრულყოფა-შესწორება (ეს რეფორმის ფუნქციაა), არამედ მისი მსხვრევა და. ახლის დამკვიდრება. ასე იყო ძველად, ასე იქნება მომავალშიც, რადგანაც მიწის რეფორმა არის ძველი წყობილების ნგრევა და ახლის შენების საფუძველსაც იგი წარმოადგენს.

მიწის განსახელმწიფოებრიობა ის გასაღებია, რომლის გადაბრუნების შემდეგ შეუქცევადი ხდება რეფორმისტული მოძრაობა წინ. საკუთრებითი ურთიერთობების ფორმირების დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფოს მთავარი დასაურდენი და მოკავშირე უნდა იყოს მესაკუთრე, რომელიც თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის ბედ-ილბალზე. ამდენად, რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებაა. ეს პროცესი განსაზღვრავს მთლიანად რეფორმის, საზოგადოების კეთილდღეობისა და ომში გამარჯვების ბედსაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **1993** წლის ივლისში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა თხოვნით მიმართა ევროგაერთიანების იმჟამინდელ თავმჯდომარეს ბატონ ჟაკ დელორს, დახმარება გაეწია საქართველოსთვის მიწის კანონმდებლობის დამუშავებაში. მიწის კანონთა პროექტის შემუშავება დაევალა ტასისის პროგრამის პროექტის ხელმძღვანელს ბატონ მიშელ სიგოს, რომელიც **1992** წლის ნოემბრიდან მუშაობდა საქართველოში, სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესწავლასა და რეკომენდაციების მომზადების **მიზნით.**

1993 წლის ოქტომბრის ბოლოს მიწის კანონთა პროექტზე მუშაობა დასრულდა და დასკვნითი ანგარიში გაეგზავნა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომისიას, სოფლის მეურნეობის, იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროებს, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტს.

მიწის კანონმდებლობის ეს პროექტი პასუხობს მიწაზე საკუთრების ურთიერთობათა თანამედროვე მოთხოვნას — მიწაზე კერძო საკუთრება და წარმოებული პროდუქციის კერძო მოხმარება. მასში გათვალისწინებულია კონსტიტუციური აღშენებლობის ექვსი ძირითადი პრინციპი — სისტემა, სტრუქტურა, სტრატეგია, ტაქტიკა, კადრების მომზადება და კადრების ნება.

მიწის კანონთა პროექტით განსაზღვრულია მთავარი ამოცანა, მიზნის მიღწევის საშუალება და საბოლოო შედეგი. კერძოდ, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების რეფორმიის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კერძო საკუთრების აღორძინება; მესაკუთრე სოფლის მეურნის გამდიდრება-კეთილდღეობა; სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საგადასახადო, საკრედიტო და სხვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების გზით; სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის სრულყოფა და შრომითი რესურსების რაციონალური განსაზღვრა.

სამწუხაროდ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, მიწის კანონთა პროექტის განხილვა ვერ მოხერხდა ვერც მინისტრთა კაბინეტის და ვერც იმჟამინდელი პარლამენტის სხდომებზე. ამაში, უმირველეს ყოვლისა, უნდა დავინახოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მიწის კადასტრის დეპარტამენტისა და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომისიის არასწორი ხედვა, დროისა და მომენტის შეუფასებლობა. იგიჭე შეიძლება ითქვას მიწის გადასახადის შესახებ დადგენილების პროექტზე, რომელიც გულისხმობდა დიფერენციირებული გადასახადის დაწესებას სამი კატეგორიის მიწაზე და არა ისე, როგორც იგი საბოლოოდ მიიღო მინისტრთა კაბინეტმა ერთი საშუალო გადასახადის სახით და რომელიც უთანხმოების საგანი გახდა. აგრეთვე, არასწორადაა მოაზრებული შემდეგი საკითხები: მიწების ეკოლოგიური გაუჯობესებისთვის გაწეული დანახარჯების კომპენსაცია მიწის გადასახადის შემცირების ხარჯზე; ახალგაშენებული ხეხილის და ვაზის ნაკვეთების განთავისუფლება მიწის გადასახადისგან მათი სრული მსხმოიარების პერიოდის დადგომამდე.

მისასალმებელია, რომ ახლად არჩეულმა პარლამენტმა სწორედ მიწის კანონპროექტის განხილვით დაიწყო თავისი საქმიანობა. პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივამ და საჯარო განხილვისთვის გამოტანილმა კანონპროექტმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საშუალება მოგვცა, დეტალურად გაგვეანალიზებინა შემოთავაზებული კანონის პროექტი და მონაწილეობა მიგვეღო მის განხილვა-სრულყოფაში. ამასთან დაკავშირებით, მადლობა გვსურს გადაეუხადოთ პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას, პარლამენტარებს: ბატონ მიხეილ ჯიბუტას და ბატონ მიხეილ საკაშვილს ევროგაერთიანების ექსპერტთა მიერ მომზადებული მიწის კანონმდებლობის პროექტის გაცნობისთვის და განსახილველი პროექტში ჩვენი წინადადებების გაზიარებისთვის. ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია, კვლავაც დავუბრუნდეთ მეორე წაკითხვისთვის მომზადებულ კანონპროექტს და გამოვთქვათ ჩვენი შენიშვნები მის მიმართ.

დადგენილების პროექტი სუსტია. იგი, ფაქტობრივად, ხელახალ დამუშავებას მოითხოვს, პოლიტიკურ პოპულიზმს მაკავს მისი მესამე მუხლი (მაშინ, როდესაც, ქვეყანაში მიმდინარეობს სამეცნიერო და განათლების რეფორმა, რომელიც ფასიანია), გაუგებარია მეათე მუხლის შინაარსი — პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული საადგილმამულო ფონდის შექმნის თაობაზე. რა ფუნქციებით და უფლება-მოვალეობებით იქნება აღჭურვილი ფონდი? რა ფინანსური წყაროების ხარჯზე იქნება ფორმირებული?

ამავდროულად, დადგენილების პროექტში საერთოდ არაფერია ნათქვამი მიწის სანიფორმაციო სისტემისა და კადასტრის შესახებ. კანონის პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრების აღიარებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე და ეს საკითხი მხოლოდ დადგენილების ნაწილში ფიგურირებს. იგი ცალკე მუხლად უნდა იქნეს მოცემული კანონპროექტში. შემდეგი რედაქციით: „სასოფლო-სამეურნეო მიწებზე კერძო საკუთრება არის ამ მიწების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის. შეუზღუდავი უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა“.

კანონპროექტში არაა მითითებული საკუთრების სუბიექტები და მათი უფლებები. კანონს ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს (ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აბსოლუტური პრიორიტეტით დამუშავების აუცილებლობა.

პროექტში ნათლად არაა მოცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბედი მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში. ასეთი ფაქტის დროს მიწა უნდა გადავიდეს მუნიციპალურ საკუთრებაში მისი შემდგომი გასხვისების მიზნით. ცალკე თავადაა გადმოსაცემი (როგორც უმნიშვნელოვანესი) მიწის ექსპროპრიაციის საკითხი. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ვითარება, რომ მიწის ექსპროპრიაცია დასაშვებია სათანადო კომპენსაციით მხოლოდ საომარი მოქმედებების პერიოდში, ეკოლოგიური კატასტროფების, აუცილებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების და საგანგებო მშენებლობების დროს. სასურველია „საქართველოს მოკალაქეობის“ კანონში ცვლილებების შეტანა მოკალაქის მიერ ფიცის დადების საკითხში, რათა გამოიკვეთოს მისი იურიდიული პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. გაურკვეველია მემკვიდრეობის საკითხი რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას მიწის ანდერძით გადაცემის შემთხვევაში; სანქციების საკითხი მიწის დაუმუშავებლობის დროს. აქ მხოლოდ მიწის ეკოლოგიური ფაქტორი უნდა მოექმედებდეს, სხვა შემთხვევაში, მიწა აუცილებლად უნდა მუშავდებოდეს. სოფლის მეურნის სტატუსის არმქონე სუბიექტისგან მიწის გასხვისება ამ სტატუსის მქონე სუბიექტზე თავისუფალი უნდა იყოს, როგორც სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირებს შორის. სხვა შემთხვევებში სათემო და რაიონული კომისიების ნებართვის სისტემა უნდა მუშაობდეს.

•

მოიჯარის მიერ მიწის უპირატესი შესყიდვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მიწაზე არანაკლებ **10-15** წლის მუშაობის სტაჟი. გამოსაკვეთია ნოტარიუსის ფუნქცია და როლი. სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიწის უფლის დროს, სოფლად შრომითი რესურსების დაბერების გამო, უპირატესობა აბალაზრდა სოფლის მეურნეს უნდა მიენიჭოს. მიწის ღირებულება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გახსვნებისას უნდა დგინდებოდეს ამგვარად: მიწის საფინანსო-საკადასტრო ღირებულებას დამატებული ბანკის სადებო ზიტო წლიური განაკვეთის პროცენტი. ბუნდოვანია სახელმწიფოს მიერ მიწების უპირატესი შესყიდვის უფლება. იგი საშიროობას შეუქმნის საქართველოში მიწის კერძო საკუთრების აღორძინებას. ეს საკითხი უნდა რეგულირდებოდეს სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა შექმნის დებულებით, განსახლების სამსახურის მეშვეობით. საჭურველია განსახლების სამსახურის უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დებულება უნდა ითვალისწინებდეს განსახლების მიწების შექმნას სახელმწიფო მიწების ფონდიდან (ფაქტობრივად, ეს უნდა მოემსახუროს შიდამიგრაციულ პროცესს).

ყოველი აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ კანონპროექტში, ძირითადად, გადასამუშავებელია სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებაში გადაცემის, მიწების გასვლის, ნებართვების გაცემის (რომელიც უმაღლესი ინსტანცია უნდა იყოს იუსტიციის სამინისტრო) და მემკვიდრეობით გადაცემის საკითხები. რამდენიმე მემკვიდრეობა, მათ შორის, ერთ-ერთზე ანდერძის გაცემისას. უნდა არსებობდეს შეზღუდვა პირობით, რომ ანდერძით მიწის მიმღებ ხვდებოდეს **50** პროცენტი და დანარჩენ მემკვიდრეებს — მეოთხე ნახევარი თანაბრად. ანდერძის მიმღებს მეურნეობის ეკოლოგიის კვალიფიკაცია და უნარი უნდა ჰქონდეს. ფაქტობრივად, უნდა შეიქმნას მესაკუთრეთა გაერთიანება თითოეული საკაცო წილით, საადგილმამულო მეურნეობის განუყოფადობის გათვალისწინებით. ყოველივე ამის აუცილებლობას განაპირობებს ახალი სამოქალაქო კოდექსის არსებობა. ამასთან ერთად, დასამუშავებელია დადგენილების პროექტები (რათა სისტემაში იქნეს მოყვანილი მიწის კანონმდებლობა): სოფლის მეურნის სტატუსის, საადგილმამულო წიგნის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო რეესტრის, ფინანსური და მიწის დროებითი კადასტრის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის (დებიტიტების და გარანტიების), სალაროს), მიწის მესაკუთრეთა გაერთიანების შესახებ და სხვა.

დაბოლოს, შესაძლებელია სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მნიშვნელოვანი სექტორის მესაკუთრედ დარჩეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა არსებობდეს ნათელი საკანონმდებლო საფუძველი ამ მიწების კერძო სექტორში გაჭარგებისთვის. მიწის კერძო მფლობელობა უმოკლეს დროში უნდა გახდეს ერთადერთი პასუხისმგებელი მეურნე.

გამოყენებითი ხასიათის საკვლევი სამუშაოებისთვის უნდა არსებობდეს მკაფიო დიდიდის ფართობები საცდელი მეურნეობისთვის, კვლევა-ძიებისთვის გამოყენებისასოფლო-სამეურნეო საკარაულების ფართობები 1 პროცენტზე ნაკლები უნდა ფლობდეს. არ იქნება სასურველი, რომ საცდელი მეურნეობების ფართობები იყოს დიდი, რათა მეურნეობის წონასწორობა მის ბიუჯეტსა პროდუქციის წარმოებას შორის.

თესლის, ნერგის და ეთერზეთების წარმოება არის საქმიანობის ის სფერო, რომელიც ჩართული უნდა იყოს კონკურენციაში კერძო სექტორის მონაწილეობით.

აღნიშნულის გამო, აუცილებლად ჩანერგა წარმოდგენილი პროექტის შეცვლა, და, საბოლოოდ, აპრილის თვის პირველ ნახევარში მიღება, რათა არ აგვისრულდეს ჭარბილი ანდაზა „ბაბუის ნაბამმა ტყემალმა შვილს მოსპარა კბილიო“.

პაატა კოლუაშვილი

18.03.96

(მსოფლიო მეტეოროლოგიური დღის — 23 მარტის — აღსანიშნავად)

მეტეოროლოგია ქვეყნის სამსახურში

1950 წლის **23** მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (მმო) კონვენცია. ამის შემდეგ ეს დღე ყველა ქვეყანაში აღინიშნება, როგორც მსოფლიო მეტეოროლოგიური დღე.

1994 წელს **150** წელი შესრულდა თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის დაარსებიდან. ეს იყო კავკასიის რეგიონში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პირველი კერა, რომელმაც მთელ ამიერკავკასიაში დასაბამი მისცა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა კომპლექსის განვითარებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ, **1993** წელს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მიღებულ იქნა მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში. ამან გზა გაუხსნა ჩვენს რესპუბლიკას ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობასთან ურთიერთობის დასამყარებლად. რამაც შეიძლება, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ჩვენში მეცნიერების ამ დარგის აღორძინებისა და შემდგომ განვითარებაში. ჰიდრომეტეოროლოგია საერთაშორისო მეცნიერებაა, ატმოსფეროში მიმდინარე ფართომასშტაბური პროცესები არ ცნობენ სახელმწიფო საზღვრებს. ამიტომ, ქვეყნების მეტეოროლოგიური მომსახურების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია მათი მეტეოსამსახურების დონის საერთო ამაღლება. ეს განაპირობებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი ქვეყნებისთვის სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების გაწევას, რასაც მმო დიდ ყურადღებას უთმობს.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა დარგი ამინდის პირობებზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მგრძნობიარეა სოფლის მეურნეობა, ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, სამშენებლო ინდუსტრია, ენერგიის მატარებელთა გადაცემა, ტურიზმი, საკურორტო მეურნეობა, დიდი ქალაქების კომუნალური მეურნეობა და სხვა. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამინდის პირობები ჩვენი რეგიონის და, კერძოდ, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ რეჟიმს. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ძალზე გაძნელდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებებისა და სამეცნიერო გამოკვლევების, ტყეების მდგომარეობაზე — გვალვის დროს ხშირი ანძრევის გამო. ყოველივე ეს განაპირობებს იმ მოთხოვნების სირთულეს, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოება აყენებს ჰიდრომეტეოროლოგების წინაშე. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოწოდებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შემავალი ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის მთავარი სამმართველო. ხოლო სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. სამეცნიერო გამოკვლევებს აღნიშნულ დარგში აწარმოებენ, აგრეთვე, მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკასა და გეოგრაფიის ინსტიტუტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე კათედრა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები. ქართველი ჰიდრომეტეოროლოგების მიერ დაკვირვების საუკუნენახევრიანი მასალების ანალიზის საფუძველზე შექმნილია ბევრი ფუნდამენტური სამეცნიერო მონოგრაფია, მრავალი საცნობარო ხასიათის ნაშრომი, რომლებიც მრავალმხრივ ახასიათებენ ჩვენი რეგიონის და, კერძოდ, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ რეჟიმს. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ძალზე გაძნელდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებებისა და სამეცნიერო გამოკვლევებისთვის საჭირო კოდან უკვე მიღებულია ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის თანამედროვე სისტემა „კლაკიმი“, მალე მივიღებთ, აგრეთვე, აეროლოგიური ზონდირებისა და საზღვაო ჰიდრომეტდაკვირვებებისთვის საჭირო კომპლექსებს და სხვა. **1992** წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ჩარჩო-კონვენციის კლიმატის ცვლილების შესახებ, რითიც პასუხისმგებლობა იკისრა საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით გარემოს დაცვის საკითხებში რიგი ვალდებულებების შესრულებაზე.



• **2000** წლისთვის გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილების ეროვნული მოხსენების შედგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარსადგენად. ამ დოკუმენტში თავმოყრილი იქნება ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგები ამიერკავკასიის რეგიონში კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების შესახებ, გაანალიზებული იქნება მათი გამომწვევი მიზეზები, პროგნოზირებული იქნება მომავალი საუკუნეში საქართველოს ჰავის დათბობის რაოდენობრივი მხარე და დასახული იქნება ღონისძიებანი კლიმატის ამ ცვლილებასთან შესაგუებლად.

აღსანიშნავია, რომ გლობალური კლიმატის თანამედროვე დათბობა მიმდინარე საუკუნეში ეკოსფეროს ბიოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის თანამედროვე სისტემა „კლაკიმი“, მალე მივიღებთ, აგრეთვე, აეროლოგიური ზონდირებისა და საზღვაო ჰიდრომეტდაკვირვებებისთვის საჭირო კომპლექსებს და სხვა. **1992** წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ჩარჩო-კონვენციის კლიმატის ცვლილების შესახებ, რითიც პასუხისმგებლობა იკისრა საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით გარემოს დაცვის საკითხებში რიგი ვალდებულებების შესრულებაზე.

• **2000** წლისთვის გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილების ეროვნული მოხსენების შედგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარსადგენად. ამ დოკუმენტში თავმოყრილი იქნება ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგები ამიერკავკასიის რეგიონში კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების შესახებ, გაანალიზებული იქნება მათი გამომწვევი მიზეზები, პროგნოზირებული იქნება მომავალი საუკუნეში საქართველოს ჰავის დათბობის რაოდენობრივი მხარე და დასახული იქნება ღონისძიებანი კლიმატის ამ ცვლილებასთან შესაგუებლად.

აღსანიშნავია, რომ გლობალური კლიმატის თანამედროვე დათბობა მიმდინარე საუკუნეში ეკოსფეროს ბიოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის თანამედროვე სისტემა „კლაკიმი“, მალე მივიღებთ, აგრეთვე, აეროლოგიური ზონდირებისა და საზღვაო ჰიდრომეტდაკვირვებებისთვის საჭირო კომპლექსებს და სხვა. **1992** წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ჩარჩო-კონვენციის კლიმატის ცვლილების შესახებ, რითიც პასუხისმგებლობა იკისრა საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით გარემოს დაცვის საკითხებში რიგი ვალდებულებების შესრულებაზე.

• **2000** წლისთვის გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილების ეროვნული მოხსენების შედგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარსადგენად. ამ დოკუმენტში თავმოყრილი იქნება ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგები ამიერკავკასიის რეგიონში კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების შესახებ, გაანალიზებული იქნება მათი გამომწვევი მიზეზები, პროგნოზირებული იქნება მომავალი საუკუნეში საქართველოს ჰავის დათბობის რაოდენობრივი მხარე და დასახული იქნება ღონისძიებანი კლიმატის ამ ცვლილებასთან შესაგუებლად.

აღსანიშნავია, რომ გლობალური კლიმატის თანამედროვე დათბობა მიმდინარე საუკუნეში ეკოსფეროს ბიოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის თანამედროვე სისტემა „კლაკიმი“, მალე მივიღებთ, აგრეთვე, აეროლოგიური ზონდირებისა და საზღვაო ჰიდრომეტდაკვირვებებისთვის საჭირო კომ-

შედეგად გამოყოფილმა ნახშირორჟანგმ შეცვალა ატმოსფეროს შემადგენლობა, რამაც ე.წ. „სათბურის ეფექტი“ გამოიწვია. მისი მოქმედების შედეგად მომავალ საუკუნეში მოსალოდნელია გლობალური ტემპერატურის მომატება **2-3** გრადუსით, რაც შეიძლება მოჰყვეს მყინვართა ნაწილობრივი გადნობა, რამდენიმე ათეული სანტიმეტრით ზღვის დონის აწევა, ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა ეკოსისტემებში და სხვა არასასურველი შედეგები.

მმო-ს გენერალური მდივნის კოსიხის წერილის თანახმად, **1996** წელს მსოფლიო მეტეოროლოგიური დღე ტარდება დევიზით „მეტეოროლოგია სასარგებლად სამსახურში“. საქართველოსთვის იგი ეხ ლისხმობს, კერძოდ, ბაკურიანისა და ბაკურიის სათხილამურო ბაზების მეტეოროლოგიურ ფორმაციით მომსახურების გაუმჯობესებას, ზაფხულში დაგეგმილი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიების მეტეოროლოგიური მომსახურების მაღალ დონეზე უზრუნველყოფას.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამ, რომ საზოგადოების ფართო წრეები სათანადო დაინტერესებას გამოიჩენენ ჩვენში მეტეოროლოგიის აღორძინების მიმართ. რაც ხელს მოუტანს მისცემს ქართველ სპეციალისტებს ეფექტურად გამოიყენონ საერთაშორისო დახმარება და თანამედროვე დონეზე უზრუნველყონ ქვეყნის მომსახურება მეტეოროლოგიური ინფორმაციით.

ბ.სვანიძე

აკადემიკოსი

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ბ.ბერიტაშვილი

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე



ნადია აუერმანი

8 მლ.$

„გერმანელი დიტრიხი“ — ასე შეარქვეს მას. გასულ წელს ნადიამ უზარმაზარი ფული მოიხვეჭა: კონტრაქტი დადო თმის კოსმეტიკის ერთ-ერთ გიგანტთან, რომელმაც წლიური ჰონორარი 1,5 მილიონი დოლარი გადაუხადა. ამას გარდა, სუპერმოდელი ოცამდე სარეკლამო კომპანიასთან, მათ შორის, იოპთან და ლაგერფელდთან თანამშრომლობდა.

კლაუდია შიფერი

7 მლ.$

ილუზიონისტ დავით კოპერფილდის საკოლემ გასულ წელს კალენდარი გამოუშვა, ერთ-ერთ გერმანულ ტელეარხზე კი გადაცემის წამყვანად სცადა მუშაობა — კოსმეტიკის ფირმამ „რევლონმა“ სამი წლის განმავლობაში ათ მილიონ დოლარამდე გასამრჯელო გადაუხადა. გარდა ამისა, უველაზე ძვირადღირებულ სუპერმოდელებს შორის კლაუდიას მეორე ადგილი უკავია.

სინდი კროუფორდი

6.7 მლ.$

ერთი წლის წინ საგენტო „ელიტას“ ყოფილი უპირველესი კვლავ პირველი ნომერი იყო. წელს სინდი ოდენ მესამე ადგილზეა. მისი ფინანსური ზარალის მიზეზი ფილმში მონაწილეობა გახდა, რამაც ბევრი დრო დააკარგვინა. ის, რომ მიუხედავად დროის გაცდენისა, სინდი კვლავ პირველ ხუთეულში დარჩა, მისმა MTV-ში მუშაობამ და „რევლონის“ რეკლამამ განაპირობა.

ელი მაკპერსონი

6 მლ.$

ავსტრალიელი მოდელი წინ მიიწევს: 1995 წელს 1,7 მილიონი დოლარით მეტი მიიღო, ვიდრე ერთი წლის წინ. ძირითადი ფული გამაჯანსაღებელი ვარჯიშების ორმა ვიდეოკასეტამ და ნიუ-იორკში კლაუდია შიფერთან და ნაომი კემპბელთან ერთად დაარსებულმა კაფემ მოუტანა.

ქარენ მულდერი

5.2 მლ.$

ჰოლანდიელი ლამაზმანი უკვე [illegible] წელია მოდელად მუშაობს. [illegible] წელს ფიცარნაგზე ხშირი გამოჩენით (მოდების 80 ჩვენებაში [illegible] მონაწილეობა), რეკლამებით [illegible] ტელევიზიო სერიალში — „[illegible] დოლთა სახეები“ — მოგვიანებით სათავეში მოექცა.

$61,4 მილიონი
თოთხმეტი ტოპმოდელისთვის!

სინდი კროუფორდი, ნაომი კემპბელი, ამბერ ვალეტა... როგორ ფიქრობთ, რა შემოსავალი აქვთ ამ გოგონებს წელიწადში? თითოეულ მათგანს მილიონებს უხდიან რეკლამებსა თუ მოდების ჩვენებაში. რატომ იმეტებენ მათთვის ამოდენა თანხებს დიზაინერები თუ კოსმეტიკის კონცერნები? ბოლო ორი წელიწადია უველაზე ძვირადღირებული მოდელი, ბერლინელი ნადია აუერმანი რვა მილიონ დოლარად ფასობს. ალბათ, ბევრს უჭირდება კითხვა: იმსახურებენ კი, ტოპმოდელები ამოდენა გასამრჯელოს?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რისთვისაც ასეთ გულუხვ ჰონორარებს უხდიან ლამაზმანებს, ისაა, რომ ტოპმოდელები დიდი კონცერნებისთვის მხოლოდ სარეკლამო ფიგურები კი არ არიან, არამედ უშუალოდ მოქმედებენ ეკონომიკურ ფაქტორზე. როდესაც ამბერ ვალეტა ან სინდი კროუფორდი აკეთებენ რეკლამას, ახალ პროდუქციას სწრაფი ფასაღება გარანტირებული აქვს. მომხმარებელი, პირველ რიგში, მათ შესანიშნავ გარეგნობას აქცევს უურადღებას, შემდეგ კი თავად პროდუქციას. დღესდღეობით ეს ლამაზმანები ისეთივე სტატუსით სარგებლობენ, რაც ადრე მხოლოდ ჰოლივუდის ვარსკვლავების პრივილეგია იყო.

მათი ასეთი აღზევება 80-იანი წლებიდან დაიწყო, როცა იზაბელა როსელინიმ ლანკომს დაუდო ხელშეკრულება. ოი თერთმეტი წლის მანძილზე უკეთებდა ფუფუნების პროდუქციას რეკლამას. ლამაზი სახის და ცნობილი სახელის შექმნის სტრატეგია მოგვიანებით სხვა საგენტოებმაც შეითვისეს. უველამ თავისი ტოპვარსკვლავი წამოსწია წინ. მეტროპოლიტენის საგენტომ მოახერხა ერთ-ერთ გამოჩენილ ფიგურად კლაუდია შიფერი ექცია. გერმანელი სუპერმოდელი რევლონის პარფიუმერიის რეკლამის ერთ-ერთი სახეა. ამ რეკლამამ კლაუდიას სამი წლის განმავლობაში ათ მილიონამდე დოლარი მოუტანა.

მოამზადა **ნათია შანგუიკაძემ**

ნაომი კემპბელი

4 მლ.$

შავკანიანმა ლამაზმანმა გასულ წელს გაუმჯობესა თავისი მდგომარეობა. ამერიკის ერთ-ერთ რძის კომპანიასთან გაფორმებულმა კონტრაქტმა, კოსმეტიკის ფირმა „პუპასთან“ დადებულმა ხელშეკრულებამ და ნიუ-იორკის მოდურმა კაფემ დიდი შემოსავალი მოუტანა ნაომის.

ამბერ ვალეტა

3.1 მლ.$

ამერიკელი მოდელი სამი წელია, რაც ამოტივტივდა. ოი ჯერ კელვინ კლეინის სუნამოს რეკლამას აკეთებდა, შემდეგ კი კარლ ლაგერფელდმა მისგან ახალი შანელის გოგონა შექმნა.

ევა ჰერციგოვა

2,7 მლ.$

ჩეხმა მოდელმა, პირველ რიგში, ვონდერბრა — ბიუსტჰალტერის რეკლამით მიაღწია პოპულარობას. ახლა კი მას ბევრ ფილმშიც სთავაზობენ მონაწილეობას.

კეიტ მოსი

4,5 მლ.$

[illegible] პერიოდი ისე ჩანდა, [illegible] ამ სიფრიფანა მოდელი კარიერა დასასრულს [illegible] ებოდა, მაგრამ გა[illegible] წელს ლ'ორეალთან და [illegible] ლეინთან დადებულ[illegible] კონტრაქტებმა გულუხვი [illegible] ანაზღაურები მოუტანა.

3,2 მლ.$ ლინდა ევანჯელისტა

თავისი პროფესიის უწინდელი დედოფალი შედარებით მიიჩქმალა. ახლა ლინდა მხოლოდ ჯილ სანდერის და ქლოიას მოდელია. თმის კოსმეტიკის მეტად მომგებიანი რეკლამა, რომელსაც აქამდე ოი აკეთებდა, იძულებული გახდა, ნადია აუერმანისთვის დაეთმო.

ჰელენა პრისტენსენი

2,5 მლ.$

მაღალყვრიმა ლებიანი დანიელიც ნაკლებად ჩანდა გასულ წელს. ჰელენა პარიზსა თუ მილანში უთვალავ დიზაინერთან, უმთავრესად, მანეკენად მუშაობდა, ვიდრე ფოტომოდელად.

1,8 მლ.$ ტატიანა პატიტცი

გერმანულ-შვედური წარმოშობის მოდელი ძალიან დიდხანს შედიოდა პირველ ხუთეულში, მაგრამ გასულ წელს, გარემოს დამცველმა ტატიანამ მეტი დრო დაუთმო ცხოველებს და მხოლოდ ერთი რეკლამაში მიიღო მონაწილეობა.

1,7 მლ.$ შასმინ გაური

გასულ წელს გერმანელ-ინდოელი სუპერმოდელი უმჯობესელეს ყოვლისა, სცენაზე მოდებს აჩვენებდა. მისი ამაყი იერით, პოდიუმზე რომ დაბიჯებს და განსაკუთრებით დიზაინერი ვერსაჩი მოიხიბლა.

კრისტი ტარლინგტონი

5 მლ.$

1995 წელი ნაკლებად სარფიანი გამოდგა ამერიკელი ტოპმოდელისთვის. მისი შემოსავალი ერთი ძვირფასი კოსმეტიკის რეკლამით და დიზაინერ კელვინ კლეინთან თანამშრომლობით მიღებული თანხით შემოიფარგლა.

პოზიცია

„ბაზალეთისა ტბის პირას“

ბაზალეთისა ტბის პირას,
ჩვენთვის გულდანათუთქები,
უნივერსიტეტს გვიხსნიან
„მოსიყვარულე თურქები“.

ქართველი ხალხის თავებში
სიბნელის გასაფანტავად,
„უანგაროდ და უტვინოდ“
ფულების დასაფანტავად.

ეს რომ ცინიზმი არ არი,
ცოტაა ამის დამჭერი,
მაგრამ არც ისე ცოტაა
ამ „ეესტის“ მხარის დამჭერი —

ქვეუნისთვის „ტრადიციულად“
ძალის გამცლელი ძალები,
კარიერის და დოლარის
მძებნელი მაწანწალები.

რად უნდა დიდი გაჩხრეკა,
რად უნდა ბევრი მტკიცება,
რომ ხდება უმარტივესი —
მიწის უომრად მიცემა.

და ამას მხოლოდ ვერ ხვდება,
ბრიყვი „გულაჩუყებული“,
რომ ამ წესით გვაქვს სამშობლო,
ბაყიდულ-გაჩუქებული.

გაიგეთ, ხალხო! გვატყუებს.
ვინც ამ „იდეით“ ბყირდება.
გაიგეთ! „თურქული ცენტრი“
ვის და რა მიზნით სჭირდება;

რომ ეს ჩვენ წასალეკავად,
„ფუნდამენტური“ დელგმაა,
ჩვენი ტაძრების დანგრევის
„მშვიდობიანი“ გეგმაა.

და მისი ხელის შემწყობი
გველია ან და შტერია,
„მოყვარე მტერი მტერზედა
ათასჯერ უფრო მტერია.“

ჩვენ ვიცით, ვინ აფუთფუთებს
ამ ვირთხებს პოლიტიკურებს,
„პარტიებ-ბლოკ-ფრაქციებში“
ნაძრომიალ ფიგურებს.

ისიც ვიკითხოთ, ამ ზრახვას
ვინ დაჭკრა დასტურ-ბეჭედი,
რომ ბაზალეთ[illegible] [illegible]ვიდრდეს,
კულტურ[illegible] [illegible] ჩეთი“.

და თუ ძრ[illegible] [illegible]ერთ,
თავზე არ გვადგ[illegible] თუ რქები,
შუაგულ მთებში ტაშისკვრით
არ შევაცილოთ თურქები.

P.S.
წინაპრის სისხლ[illegible] ნაშოვრის
არ შეიძლება გაძღევა!
თუ გვინდა, ჩვენც შეგვიძლია,
შიმშილ-სიბნელის დაძღევა,
ოღონდ ნიჭს გარდა გვჭირდებ[illegible]
ტვინის და ხელის განძრევა.

რუსლან მიქაბერიძე

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იქიდება

- სამოთახიანი, არასტანდარტული, იზოლირებული, მაღალჰერიანი ბინა, საერთო ფართი 100 კვ.მ. მაღალ ბელეტაჟზე. ამასთანავე ნახევრადსარდაფში. ორი იზოლირებული ოთახი, საკუთარი ხელი წერტილებით 30 კვ.მ. ეზოში სათავსო. მისამართი ივანე ჯავახიშვილის 97 (ყოფილი კალინინი ქ.). ტელ.: 95-31-65. ფასი 32000 დოლარი.
- ერთოთახიანი კერძო სახლი, 700 კვ.მ. ხეხილიანი ნაკვეთით, წყლით და შუქით საბურთალოზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-60-05. ხათუნა გელოვანი.
- ოთხოთახიანი იზოლირებული უავლაშვილის პროექტის სუფთა ბინა. 16-სართლიანი სახლის მე-15 სართულზე. რკინის კარებით, მანქანის სადგომით, სარდაფით. ბინა პრივატიზებულია. გლდანის I მიკრორაიონში. მე-7 კორპუსი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 67-77-05.
- 7-ოთახიანი არასტანდარტული დიდი ბინა ქალაქის ცენტრში, მესამე სართულზე. საერთო ფართი 240 კვ.მ., ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- 4-ოთახიანი საუკეთესო ბინა ვაკეში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- კერძო სახლი ოჭროყანაში 600 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- სასწრაფოდ 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. ტელეფონი: 39-56-93.
- დიღმის მასივში სამოთახიანი სუფთა ბინა, აბაზანა და ტუალეტი კეფლითაა მოპირკეთებული, სარდაფით და მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-65-34; 71-72-42.
- ოროთახიანი ტიპიური პროექტის ბინა პეკინის ქ. №19, რემონტით, რკინის კარებით, მუხის პარკეტით, მანქანის სადგომით, „ატმორით", ტელეფონით, საკაბელო არხით. ტელ.: 88-58-52.
- ნაკვეთი გლდანში ოთხოთახიანი კაპიტალური ახალ გარემონტებული სახლით. სარდაფით და ეზოთი. 400 კვ.მ. ხეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-33-76, 67-77-64.
- ზანაძის ქუჩაზე (ყოფილი კალანდაძე) სამოთახიანი ბინა. პირველი სართული, ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 23-56-22.
- სამოთახიანად გადაკეთებული ოროთახიანი სუფთა ბინა თემქაზე მე-9 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-44-17 ან 95-35-97.
- გადასასვლელ ხიდთან არასტანდარტული ოთხოთახიანი იუგოსლავური სუფთა ბინა. აქვს მეხუთე ოთახი, ორი დიდი ეივანი, ტელეფონი, სარდაფი. ტელ.: 96-42-06. იკითხეთ კახა.
- 3-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. 8-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, გარემონტებული, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-26-51; 96-30-54.
- 5-ოთახიანი ბინა (34+33+18+16+10) საერთო ფართი 190 კვ.მ., ჰერის სიმაღლე 4 მ. სანკტ-პეტერბურგის (ყოფილი ლენინგრადის) ქ. №5-ში 3-სართულიანი სახლის ბელეტაჟი (7 კიბე); ორი სამზარეულო, ორი აბაზანა, ორი ტუალეტი, ორი ტელეფონი. მანქანის გასაჩერებელი ლოჯის ფანჯრებთან (ეზო იკეტება) აქვს ბევრი სათავსოები და ცალკე პატარა ეზო (ე.წ. პაციო) ტელ.: 96-30-68; იკითხეთ სერგო.
- საოფისე — აუაზბეგის გამზირზე (ყოფილი პავლოვის ქ.) 125 კვ.მ.+60 კვ.მ. სარდაფი. ჭერის სიმაღლე 3,8 მ. ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ცნობები ტელეფონით: 39-58-17 დღისით; 96-30-68 საღამოს. იკითხეთ სერგო.
- ან იცვლება უერძო სახლზე ეზოთი სამოთახიანი, მაღალჰერიანი, არასტანდარტული კუთხის ბინა დიდი ლოჯით და გადახურული ეივნით, სარდაფით, მანქანის სადგომით დიღმის მასივში, მე-6 კვარტალი, მე-6 კორპუსი, ხუთსართულიანის მე-5 სართულზე. ფასი 37 ათას ხუთასი ლარი. ტელ.: 95-89-13. იკითხეთ ჯიმი.

ვაქირავება

- ვარანცოვზე 2-ოთახიან ბინას ტელეფონით, ავეჯით, ტელევიზორითა და მაცივრით. ფასი 100 ლარი. ტელ.: 39-61-57 ან 96-81-72. რუსიკო.
- 2, 3, 4-ოთახიან ბინებს ვერასა და საბურთალოზე. ტელ.: 38-01-11.
- ერთოთახიან ბინას ლოჯით, ტელეფონით, მეტრო „ელექტროდეპოსთან". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-11-48; 39-43-60 (თამრიკო), ან 37-49-44 (ფისო).
- იზოლირებულ ოთახს ვაკეში, ყველანაირი დამხმარე სათავსოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-39-56.
- კერძო სახლის პირველ სართულს ქალაქის ცენტრში, 3 ოთახით, ლოჯით, ველა სათავსობი, ცხელი წყლითა და გათბობით — სოლიდური ოფისისათვის. ფართი 90 კვ.მ., ტელ.: 93-26-96. ალეკო.
- ოროთახიან იზოლირებულ, არასტანდარტულ ბინას, ლოჯით, ეივნით, ტელეფონით, მეტრო მარჯანიშვილთან ახლოს. ტელ.: 93-49-81.
- ოროთახიან იზოლირებულ ბინას, რემონტით, ყველა საჭირო ავეჯით. სისტემატურად არის სინათლე და წყალი, აქვს ეივანი (40 კვ.მ.), ტელეფონი. მე-7 სართულზე. ფასი 200 ლარი (დიდუბეში, წერეთელზე გამოფენის წინ). ტელ.: 34-35-29 (მარინა).

ავტოგირჟა

- ვეიდი გარაჟს, გადაადგილება შეიძლება. ფასი 1250 ლარი. ტელ.: 32-82-77.
- ვეიდი „BMW-316"-ის ოთხცილინდრიან მოტორს კარბურატორზე. ტელ.: 37-66-41 (6-სთ-ის შემდეგ), იკითხეთ დათო.
- ვეიდი ავტომანქანა BMW-325-ს, ექვსცილინდრიან პრისკზე, ABS-ის მუხრუჭით, ლუკით, ვერცხლისფერი. 1986 წლის გამოშვება. ტელ.: 37-66-41 (6 საათის შემდეგ), იკითხეთ დათო.
- ვეიდი მოსკვიჩს „რენო" 1991 წელს გამოშვებული, ფერი „ნარვა" კარგ მდგომარეობაში. ფასი 2800 ლარი. ტელ.: 72-15-18. დავითი.
- ვეიდი ავტომობილს „ზაპოროჟეცი" „ზაზ-9687", 1987 წელს გამოშვებული. მუშა მდგომარეობაში. საწყისი ფასი 500 ლარი. ტელ.: 98-75-21 (11-დან 14 საათამდე).
- ვეიდი მსუბუქ ავტომანქანას „მერსედეს ბენცი" — 200, ბენზინზე, 1983 წლის. ძალიან კარგ მდგომარეობაში. ტელეფონი: 39-47-96, მისამართი: ნუცუბიძის 77 ბ, მესამე სართული, ბინა 67.

სხვადასხვა

- ვეიდი ჩეხური წარმოების წიგნის თაროებს. ერთი ცალის ფასი 30 ლარი. ტელ.: 29-39-80 (საღამოს საათებში).
- ვეიდი ახალ დენის სამფაზიან, 4 კვტ-იან გენერატორს, რუსეთის გამოშვება. ტელ.: 37-52-79.
- ვეიდი ხის დამამუშავებელ ჩარხს, დამზადებულია ქარხნული წესით. ფასი 250 ლარი; ხტერეო მაგნეტოფონს თავისი გამაძლიერებლებით, ფასი 160 ლარი; სურათის სატენ აპარატს. ფასი 60 ლარი. ტელ.: 67-33-60 იკითხეთ ლამარა ან რობინზონი, 99-65-71 იკითხეთ მედიკო.
- ვეიდი გერმანულ პიანინოს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-58-57. იკითხეთ ნინო.
- ვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიაში 4 თვეში. სრული კურსის ფასი 80 ლარი. ტელ.: 30-33-96, 22-44-16.
- ვასწავლი ფრანგულ ენას. ტელ.: 30-18-82, 22-44-16.
- ვასწავლი ინგლისურ ენას. ტელ.: 30-33-96.
- ვეიდი ფინურ საძინებელს „ტავასტია" (7 ნაკეთ[illegible] ჩუქურთმებით, ღია ყავისფერი. ტელ.: 96-33-41.
- ვამზადებ მსურველებს ინგლისურ ენაში (ბინაზ[illegible] მისვლითაც). ტელ.: 30-33-51.
- ვეიდი კომპიუტერის კლავიატურას „ელექტრონიკა БК 0010-01" თავისი დისფლეით და მკვებავი ბლოკ[illegible]კებით. ფასი 120 დოლარი ან მისი შესაბამისი ლარ[illegible] მსურველებმა დარეკონ: 73-59-26, 73-02-69. [illegible] თხეთ ნინო ან ანზორი.
- სათანადო გამოცდილების მქონე სპეციალისტ[illegible] სამ თვეში შეგასწავლით სალაპარაკო ინგლისურ[illegible] ენას გრამატიკული საფუძვლით. გადასახ[illegible] თვეში 17 ლარი. ტელ.: 23-24-79. დარეკეთ 5 საათის შემდეგ.
- ვასწავლი ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას ოთხდ[illegible] თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს შეღავათიან ფ[illegible]ში. ტელ.: 38-00-35. იკითხეთ ლელა.
- ვეიდი გერმანულ პიანინოს „როსლერი". ფასი შ[illegible] თანხმებით. ტელ.: 78-31-08 ან 78-00-19. იკითხეთ დინარა.

„კოკა-კოლა კავკასიონი" ეძებს პროფესიონალურ ქიქ-ბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ღირსეულ მებრძოლს

პირველად საქართველოში 1996 წ.

4-5 მაისს სპორტული საზოგადოება „შევარდენის" სპორტულ კომპლექსში „იმედი" გაიმართება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის შესარჩევი ტურნირი პროფესიონალურ ქიქ-ბოქსინგში

ორგანიზატორები: „კოკა-კოლა კავკასიონი"

პრ.ქიქ-ბოქსინგის ეროვნული ასოციაცია

სპორტული საზოგადოება „შევარდენი"

ტურნირში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საბრძოლო ხელოვნების ფლობის ყველა მსურველმ[illegible] კრივი, კარატე, უშუ და ა.შ.

ტურნირი ჩატარდება WAKO-prof წესებით.

განაცხადების მიღება 25 აპრილამდე.

მისამართი: უნივერსიტეტის №6, სპორტული კომპლექსი „იმედი" (ველოტრეკთან), ტელ.: 22-64-75. დასაწყისი 12.00 საათზე.

ღიმილოროდი

თარაგულად: 1. ბლომადდახლიანი ადგილი მარნეულის რაიონში 5. ოფისი ძველებურად 9. „ჩვეულებით რაიცა საქმე სჭირდეს, კეთილი თუ ბოროტი"(სულხან-საბა) 10. „ყაზილარის" იარაღი 11. როგორი გლიცერინი სჭირდება ავადმყოფ გულს? 12. ის, რაც შეუძლია მხოლოდ თავისუფალ ფრინველს, ასეთსავე სივრცეში (რადიო) 13. ბაღიანი იუმორისტი (ხალხ.) 15. პიპინიას ძმაკაცი აფთიაქარი 18. ქალაქი, რომელზეც წერია, რომ 16 წლამდე ბავშვების დასწრება აკრძალულია 19. კეუერაძეთაგანი (ლიტ.) 20. რა ეგონათ მანანას ბებიას და ბაბუას მოპარული? 21. მივლინებიდან მოულოდნელად ადრე დაბრუნებული მამაკაცი 23. დაუმთავრებელი წრე 26. რწყილის იმედი ამხანაგის გადარჩენის საქმეში 27. ბიბოს სახელი აფხაზურად 30. ყველაზე კეთილი ნიანგი მსოფლიოში (ზღ.) 33. „მარიაზე ცოლი გადამერია, წუხელ ნახა მეორასე..." 34. პალტოსაც ორი აქვს და გემსაც 35. პრინციპში, ისიც ძროხაა 36. „ისაუზმა — იყო დილა, შუადღით კი — ..." 37. „დეპუტატი იყო რაკი, ჰქონდა დიდი..."



შვეულად: 1. ძალიან „გულმოსული" იტალიელი ქალი — ბათუმში იყო, თბილისში არა 2. ორმაგდაფეთ[illegible] მუსიკალური ინსტრუმენტი 3. ქახმელია თუ გკლავს, მაშინ, კარგი არის ცხელი..." 4. ჟანგბადზე ცოტა მეტი (ძალიან ჟანგბადი) 5. საყრელი (პოლიტ.) 6. საპროტესტო-მუსიკალური ერთეული 7. ცხოველთა დაცვის მოვალეობის შემსრულებელი ქართულ მითოლოგიაში 8. ორმოცთან მებრძოლი ერთი (ზღ.) 14. რა ნაყოფი უყვარს ნიუიორკელ ქალს? (სიმღ.) 16. ძალიან უბრალო ქალი (კინ.) 17. ბორთან, ქარელთან და სკრასთან დაძმობილებული გეოგრაფიული პუნქტი (სიმღ.) 21. საწერადაც გამოიყენება 22. როცა მარიას არ უნდა, მიხო კი ძალაზეა (პოლიტ.) 24. კოლუმბმა — მეო, რაკეტებმა — ჩვენო 25. ტრაგიკული გაფრენის ავტორი (მით.) 28. ქალაქი პორტუგალიაში — ნახადი სასმელი რუსეთში 29. შვილიშვილის ჭკუა აქვს (სიმღ.) 31. თეთრი არწივის მაგვარი ფრინველი 32. როცა მეორე არ მღერის.

წინა ნომერში გამოქვეყნებული პროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 7. მეიერხოლდი; 8. საფრანგეთი; 10. სტუდენტი; 11. ლაოკოონი; 12. დანიელი; 15. ტრიუმი; 18. ინდირა; 21. კარმენი; 22. საკმეველი; 23. გალაქტიკა; 25. ავსტრია; 26. ნიჩაბი; 28. ემისია; 33. როშფორი; 35. კირჩხიბი; 36. ლისაბონი; 37. სპირიტიზმი; 38. გასტრონომი.

ვერტიკალურად: 1."კენტი"; 2. ბენდერი; 3. სლაიდი; 4. ოფელია; 5. „ეგმონტი"; 6. ათენა; 9. ბაირამი; 13. ამირეჯიბი; 14. ანარქიზმი; 16. რიჩარდი; 17. ფახლავა; 18. ანტალია; 20. რაიკინი; 24. ატროფია; 27. ჩანჩურა; 29. სორბონა; 30. ბრინზა; 31. ნილოსი; 32. ლიეპა; 34. გნომი.

მომავლის სკოლა

არასახელმწიფო საერო სასწავლებელი «მომავლის სკოლა»

სკოლის და უფროსი ასაკის მსმენელებს იწვევს სკოლასთან არსებულ, როგორც სასაუბრო, ასევე საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო

ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე

კურსებს გაუძღვებიან სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ამერიკული კორპორაცია A.C.E.-ს პროგრამით ინგლისურ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება გააჩნიათ.

ანგარიშსწორების ფორმა, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო

ასს „მომავლის სკოლის" ოფისის მისამართი: ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №69. შესასვლელი ეზოდან.

ტელეფონი: 23-31-99.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე

გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.